

ზიანის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2021, № 11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2021, № 11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2021, № 11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2021, № 11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

ადმინისტრაციული წესით უკანონო დაკავებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი	4
ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების საჭიროება	58
ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის დადგენის კრიტერიუმი	100
მომვლელის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობა	127
ზიანის ანაზღაურების კონკრეტული ოდენობის განსაზღვრა	147
მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა	168

**ადმინისტრაციული წესით უკანონო დაკავებით
გამომწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების
საფუძველი**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-222(კ-კს-20)

27 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 12 ივნისს ლ. ბ-მა, დ. გ-ამ, მ. ბ-მა, ნ. ნ-ემ, გ. რ-ამ, ჯ. ჯ-ემ, რ. მ-ემ, ლ. რ-ამ, ვ. მ-ამ, ზ. ხ-ამ, ჯ. ს-მა, ლ. ჭ-ემ, გ. კ-მა, რ. კ-მა და ბ. შ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ნ. ძ-ის, გ. მ-ის, თ. გ-ის, ბ. მ-ის, ნ. ნ-ის, ა. ს-ის, ბ. მ-ის, გ. მ-ის, დ. კ-ის, ნ. ნ-ის, გ. ა-ის, ვ. კ-ის, გ. ხ-ის, ლ. ხ-ას, დ. ჭ-ას, ვ. ს-ის, ფ. გ-ასა და ვ. გ-ის მიმართ, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით:

ლ. ბ-ის სასარგებლოდ მოთხოვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ნ. ძ-ისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 15 000 ლარის ოდენობით.

მ. ბ-ის სასარგებლოდ მოთხოვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და გ. მ-ისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 5 000 ლარის ოდენობით.

ნ. ნ-ის სასარგებლოდ მოთხოვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და თ. გ-ისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 5 000 ლარის ოდენობით.

ჯ. ჯ-ის სასარგებლოდ მოთხოვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს,

თვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 5 000 ლარის ოდენობით. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ვ. ს-ისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 5 000 ლარის ოდენობით.

გ. რ-ას სასარგებლოდ მოთხოვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ბ. მ-ისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 5 000 ლარის ოდენობით, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ა. ს-ისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 5 000 ლარის ოდენობით.

დ. გ-ას სასარგებლოდ მოთხოვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ნ. ნ-ისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 5 000 ლარის ოდენობით. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და გ. მ-ისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 5 000 ლარის ოდენობით.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში უკანონოდ მიცემით, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე მათ მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებით, პოლიციის ორგანოებში დაბარებით, გადაყვანით, იძულებითი წარდგენით, ღამის საათებში დაკითხვებით, ღამე საპატიმრო იზოლატორში გატარებით, თავისუფლებაშეზღუდულ პირობებში ყოფნით, ხელბორკოლებით დაკავებისა და საპატიმრო დაწესებულებაში მოთხოვნების შედეგად, განიცადეს უსამართლობის შიში, შეიგრძნეს მათ მიმართ უკანონო ფორმებით მიზანმართული დევნის განცდა, განიცადეს სულიერი ტკივილი, დაეუფლათ უსამართლობის და დაუცველობის განცდა, უსაფუძვლოდ წარდგენ მართლმსაჯულების ორგანოში, მათ წინაშე პოლიციელთა მხრიდან მტკიცებულებების წარუდგენლობით თავი იგრძნეს შეურაცხყოფილად, უსამართლო დევნილებად, შეელახათ საზოგადოებაში არსებული პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, საინფორმაციო საშუალებებში მათი დაკავების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოების წინაშე წარმოჩნდნენ, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ხულიგნები, კანონიერი მოთხოვნების არშემსრულებლები, აკრძალული საქმიანობის საჯარო სივრცეებში ჩამდნენ. საზოგადოებას პოლიციციამ მათი თავი წარუდგინა ასოციალური ქცევის მქონე პიროვნებებად. ყოველივე აღნიშნულით, მოსარჩელებმა განიცადეს არაქონებრივი (მორალური) ზიანი, რომლის ანაზღაურებაც სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოპასუხეებს.

მოსარჩელები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ მათგან ერთ-

ერთი – ლ. ბ-ი, დაკავებისას სარგებლობდა იმუნიტეტით, შესაბამისად, მის შემთხვევაში, ხელყოფილ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრის თავისუფლებისათვის დადგენილი კონსტიტუციური გარანტიები, მოპასუხეების მხრიდან არ იქნა უზრუნველყოფილი საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელება, რეალურად პასუხისგებაში მიცემა განხორციელდა გამოთქმული აზრებისა და შეხედულებების საფუძველზე, კანონსაწინააღმდეგო დაკავების ფონზე. საქართველოს კონსტიტუციის 52.2 მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. საქართველოს კონსტიტუციის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით. მოპასუხეთა ქმედებებით ლ. ბ-ს წაერთვა საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული გარანტიები, რასაც შეუქცევადი ხასიათი აქვს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.06.2017წ. განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე სასამართლოს 11.12.2017წ. საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე მ. ბ-ის შუამდგომლობა და მისი სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე გ. მ-ის ნაწილში დარჩა განუხილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ლ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება – 500 ლარის ოდენობით; დ. გ-ას სასარგებლოდ – 200 ლარის ოდენობით; მ. ბ-ის სასარგებლოდ – 200 ლარის ოდენობით; ნ. ნ-ის სასარგებლოდ – 200 ლარის ოდენობით; გ. რ-ას სასარგებლოდ – 400 ლარის ოდენობით; ჯ. ჯ-ის სასარგებლოდ – 200 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ლ. ბ-მა, დ. გ-ამ, მ. ბ-მა, ნ. ნ-ემ, გ. რ-ამ, ჯ. ჯ-ემ, რ. მ-ემ, ლ. რ-ამ, ვ. მ-ამ, ზ. ხ-ამ, ჯ. ს-მა, ლ. ჭ-ემ, გ. კ-მა, რ. კ-მა, ბ. შ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ლ. ბ-ის, დ. გ-ას, მ. ბ-ის, ნ. ნ-ის, გ. რ-ას, ჯ. ჯ-ის, რ. მ-ის, ლ. რ-ას, ვ. მ-ას, ზ. ხ-ას, ჯ. ს-ის, ლ. ჭ-ის, გ. კ-ის, რ. კ-ის და ბ. შ-ას სააპელაციო საჩივრები; დაკმაყოფილდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება ლ. ბ-ის, დ. გ-ას, მ. ბ-ის, ნ. ნ-ის, გ. რ-ას, ჯ. ჯ-ის სასარგებლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში; არ დაკმაყოფილდა ლ. ბ-ის, დ. გ-ას, მ. ბ-ის, ნ. ნ-ის, გ. რ-ას, ჯ. ჯ-ის სარჩელი; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დანარჩენ მოსარჩელეთა სარჩელი; არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი ადვოკატის ხარჯის ანაზღაურებისა და ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურების უფლება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლით, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა ამ მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ყველას, ვინც ამ მუხლის მოთ-

ხოვნათა დარღვევით არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 59.5 მუხლის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ნესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით დადგენილი ნორმებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმებით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არის გათვალისწინებული.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები იმპერატიულად არის განსაზღვრული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. სამოქალაქო კოდექსის 413.1 მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე კოდექსის 18.6 მუხლი ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლებების მატერიალური სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განხორციელების და დაცვის საშუალებას იძლევა მხოლოდ ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედე-

ბასა (მოქმედება ან უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს (ზიანი) შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებიდან და არსებობდეს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული ორგანოს მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში. ადმინისტრაციული ორგანო შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას ან/და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ამდენად, მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. ამასთან, ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია ზიანის გამომწვევ კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის (სუს 10.04.2014წ. №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება).

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ დადგენილ ერთიან პრაქტიკაზე და მიუთითა, რომ „...ზიანის ანაზღაურების საფუძვლის არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს დაკავებულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არსებობას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო მოსამსახურის – პოლიციელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის არსებობა, რაც უნდა შეფასდეს პოლიციელის უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონმდებლობით დადგენილი წესით... „პოლიციის შესახებ“ კანონის მეორე თავით გათვალისწინებულია პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები: პოლიციის საქმიანობის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპები, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, თანაზომიერების პრინციპი, დისკრეციული უფლებამოსილების გან-

ხორციელების პრინციპი. მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ აღნიშნული პრინციპების დაცვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის – პოლიციელის მიერ „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულების მიზნით, ამავე კანონის მე-13, მე-17 და მე-18 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპოლიციო ღონისძიების გამოყენების – მოსარჩელეთა მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების შესახებ, რაც განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავებისა და დაკავების ოქმის შედგენის პროცედურის დაცვით. პოლიციელის საქმიანობის კონტროლის წესი დადგენილია „პოლიციის შესახებ“ კანონის IX თავით. აღნიშნული კანონის 56-ე მუხლი ითვალისწინებს პოლიციელის ქმედების გასაჩივრების პროცედურას, რომლის პირველი ქვეპუნქტით პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიციელის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში. იმავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტით საპოლიციო ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე ხორციელდება, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის გასაჩივრების შესაძლებლობას დაინტერესებული პირის მიერ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურატურაში.. (სუს 02.10.2018წ. №ბს-1143-1137(2კ-17) გადაწყვეტილება).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული, ქ. თბილისის პროკურატურაში წარდგენილი ლ. ბ-ის, დ. გ-ას, მ. ბ-ის, ნ. ნ-ის, გ. რ-ას, ჯ. ჯ-ის, რ. მ-ის, ლ. რ-ას, ვ. მ-ას, ზ. ხ-ას, ჯ. ს-ის, ლ. ქ-ის, გ. კ-ის, რ. კ-ისა და ბ. შ-ას ადმინისტრაციული საჩივრებით (19.06.2017წ. №56239 და 20.06.2017წ. №01/13-56530 წერილები) მოთხოვნილი იყო საჩივრის ავტორების ადმინისტრაციული წესით დაკავების, პირადი და ნივთების გასინჯვის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უსაფუძვლოდ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უკანონოდ ცნობა. ქ. თბილისის პროკურატურის 24.07.2017წ. №13/01-48614 წერილით საჩივრის ავტორებს ეცნობათ, რომ „საქართვე-

ლოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. განცხადებაში დაფიქსირებულ შემთხვევებში პოლიციელები მოქმედებდნენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამდენად, არ არსებობს პოლიციელთა მიმართ გამოძიების დანყებისა და განცხადებაში დაფიქსირებული მოთხოვნების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.“

სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ერთ-ერთ ადმინისტრაციულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული განმარტება, რომლის თანახმად, „...ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და „პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილია სახელმწიფო მოსამსახურის – პოლიციელის მიერ მოვალეობის დარღვევის შესახებ ფაქტის დადგენის შესაძლებლობა, ქმედების გასაჩივრების წესი და პროცედურა. აღნიშნული წესით პოლიციელის მიერ განხორციელებული ქმედებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა საფუძვლად დაედოს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას...“.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.10.2018წ. გადაწყვეტილებაზე (საქმე №ბზ-1143-1137(2კ-17)) და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელებმა ვერ წარმოადგინეს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხეების მხრიდან მოსარჩელეთა ადმინისტრაციული წესით დაკავებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველობას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს მოსარჩელების – ლ. ბ-ის, დ. გ-ას, მ. ბ-ის, ნ. ნ-ის, გ. რ-ას, ჯ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება მოსარჩელების – რ. მ-ის, ლ. რ-ას, ვ. მ-ას, ზ. ხ-ას, ჯ. ს-ის, ლ. ჭ-ის, გ. კ-ის, რ. კ-ის და ბ. შ-ას სასარჩელო მოთხოვნების უსაფუძვლოდ მიჩნევის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება დ. გ-ას გ. მ-ის მიერ, ლ. რ-ას დ. კ-ის მიერ, ლ. ჭ-ის გ. ა-ის მიერ, გ. კ-ის ვ. კ-ის მიერ, რ. კ-ის გ. ხ-ის მიერ, ზ. ხ-ას ლ. ხ-ას ან ფ. გ-ას მიერ, რ. მ-ის დ. ჭ-ას ან ვ. გ-ის მიერ, ბ. შ-ას დ. ჭ-ას ან ვ. ს-ის მიერ, ვ. მ-ას ნ. ნ-ის, ჯ. ს-ის დ.

კ-ის მიერ დაკავების ფაქტი. მოსარჩელეთა მხრიდან ვერ იქნა უზრუნველყოფილი მითითებული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ერთობლიობაში და ყოველმხრივ შემონიშნა-შეფასების შედეგად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნულმა მოსარჩელებმა, მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარმოადგინეს, შესაბამისად, მათი სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.12.2017წ., 21.02.2018წ. განჩინებების გაუქმებისა და მოწინააღმდეგე მხარისთვის სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების შესახებ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას: საქმის განხილვის გადადების საპროცესო შესაძლებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. მოცემულ შემთხვევაში, 2017 წლის 11 დეკემბერს ჩატარდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, სადაც სასამართლომ იმსჯელა მტკიცებულებათა წარდგენისა და მხარეთა მორიგების თაობაზე. ამასთან, საქმის მთავარი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 21 თებერვალს, 14:00 საათზე. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსახილველ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა არ დაურღვევია.

სააპელაციო პალატამ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 თებერვლის განჩინების გაუქმების თაობაზე და აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედ-

ვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 თებერვლის განჩინებით გადაიდო მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს, და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დავის სირთულის განსაზღვრა მოსამართლის შესაფასებელ კატეგორიას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადება გამართლებულია კონკრეტული დავის სირთულითა და საქმის სწორად გადაწყვეტის ინტერესით. ამდენად, არც ამ ნაწილში არსებობს აპელანტების მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

მოსარჩელეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს მათი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების ნაწილში ანაზღაურების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ბ-მა, დ. გ-ამ, ნ. ნ-ემ, გ. რ-ამ, რ. მ-ემ, ლ. რ-ამ, ვ. მ-ამ, ზ. ხ-ამ, ჯ. ს-მა, ლ. ჭ-ემ, გ. კ-მა, რ. კ-მა, ბ. შ-ამ და ჯ. ჯ-ემ. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

მითითებულმა კასატორებმა ასევე გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულების დართვაზე უარის შე-

სახებ 20.09.2018წ. საოქმო განჩინება და უსწორობის გასწორების შესახებ 27.12.2018წ. განჩინება, ამასთან, წარმოადგინეს შუამდგომლობები, საკასაციო ეტაპზე განეული სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების მონინალმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო პრეტენზია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის შემაჯამებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ:

კასატორების განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სადავო როგორც ქვედა ინსტანციაში ფაქტების არასწორად დადგენა, ისე გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონის დარღვევით მიღება. მოსარჩელებთან მიმართებაში სასამართლომ დაადასტურა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების წარმოება მიმდინარეობდა კანონის დარღვევით, არ არსებობდა შესაბამის ქმედებათა კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის საფუძვლები. აღნიშნულით, იმთავითვე დადასტურდა ხსენებულ პირთა მიმართ გამოყენებული დაკავების ფაქტის უკანონობა, თანმდევი იურიდიული შედეგით.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლით, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 5.5 მუხლით, ასევე კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლით (კომპენსაცია უსწორო მსჯავრდებისათვის). აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლშიც. კასატორები მიუთითებენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე, სამოქალაქო კოდექსის 1005.1, 1005.3, 413.1 მუხლებზე და მიიჩნევენ, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა დაკავებისა და მათ მიმართ საქმის წარმოების დასრულების საკითხების ცალკ-ცალკე შეფასებით, მოსარჩელეთა დაკავება არ ჩაითვალა უკანონო მოქმედებად, თავად დაკავების ფაქტის (დაკავების საპოლიციო მოქმედების) კანონიერების გამო. მითითებული, ერთმანეთზე დამოკიდებული საკითხები, სააპელაციო სასამართლომ ცალკ-ცალკე შეაფასა საქმეზე უარყოფითი საპროცესო შედეგის განსაზღვრის მიზნით.

კასატორების მოსაზრებით, ფორმალურად კანონიერი საპროცესო აქტების საფუძველზე მათი დაკავება არ ადასტურებს მარეაბილიტირებელი გარემოებების არარსებობას. რეაბილიტაციის საფუძველს ქმნის არა ცალკეული საპროცესო დოკუმენტის კანონი-

ერ სანქციებზე მიღება, არამედ დამდგარი შედეგი – პირის უკანონოდ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის ფაქტი, რაც ამ შემთხვევაში, სახეზეა. სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის ნორმატიული დანაწესი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას არ უკავშირებს ბრალის არსებობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ზიანის ანაზღაურების იურიდიულ საფუძველს ქმნის არა ცალკეული მოხელის ბრალეულობა, არამედ პირის გამამართლებელი შედეგის დამდგენი სასამართლო აქტი, რომელიც ადასტურებს, რომ პირმა სახელმწიფოსაგან გაუმართლებლად განიცადა ის ზემოქმედება, რაც უკავშირდება მის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში უკანონოდ მიცემას და ამგვარ პასუხისგებაში მიცემის თანმდევად – ადმინისტრაციულ დაკავებას. შესაბამისად, მითითებული მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო ვალდებულია, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ პასუხისგებაში მიცემასთან, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რომლებითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა, მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებით.

კასატორების განმარტებით, მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის უკანონოდ დაწყება, ამგვარი წარმოების გამო, საქმის სასამართლოში განხილვამდე დაკავების, როგორც იძულების ღონისძიების გამოყენება, ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს პირისთვის მინიმალური მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, რამეთუ სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოსარჩელებმა მათი უკანონო დაკავება სათანადო წესით და ვადაში გაასაჩივრეს დადგენილი წესით, თუმცა დაკავების კანონიერებაზე საჩივრის განმხილველი ორგანოს უარყოფითი გადაწყვეტილება არ ნიშნავს იმას, რომ მათი დაკავება კანონიერი იყო. მთავარია, რომ სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა მოსარჩელეთა უკანონოდ მიცემა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, რასაც შედეგად მოჰყვა უკანონო ადმინისტრაციული დაკავება, როგორც პირისათვის თავისთავად ზიანის მომტანი ქმედება. კასატორები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ უკანონოდ დაკავება არ წარმოშობს ზიანს დაკავებულისათვის.

კასატორების მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო აქტებით მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავება კანონიერად

არის მიჩნეული, დაკავების გასაჩივრებასა და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, რაც იმთავითვე არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონობას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოება, სამართალდარღვევის ფაქტების არარსებობის გამო, რაც ავტომატურად განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების შეწყვეტის თანმდევი შედეგია ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევა, რადგან ადმინისტრაციული დაკავების კანონიერებას განაპირობებს როგორც ადმინისტრაციული დაკავების კანონით დადგენილი წესების დაცვა, ისე იმ სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურება, რომელზე რეაგირების მიზნითაც მოხდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამდენად, პროკურატურისა და შსს-ს მიერ საჩივრების განხილვის შედეგად მიღებული გადანყვეტილებების მიმართ, მოსარჩელებს კანონიერი ინტერესი აღარ გააჩნიათ. მათი ინტერესი უკვე მიღწეული და რეალიზებულია – ადმინისტრაციული დაკავება უკანონოდ არის მიჩნეული ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.02.2017წ. განჩინება №3/128-16 საქმეზე).

კასატორების განმარტებით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა და მისგან გამომდინარე, დაკავების მომენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე (გამართლებისთანავე), სკის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, მიიჩნევიან უკანონოდ, რადგან ხსენებული ნორმა მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას, კერძოდ, გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას. მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება კასატორებისათვის უკანონო დაკავებით, უკანონოდ პირადი და ნივთების გასინჯვით ზიანის მიყენება, შესაბამისად, მათ უნდა აუნაზღაურდეთ არაქონებრივი ზიანი, ბრალის მიუხედავად.

კასატორები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ მოსარჩელეთაგან ერთ-ერთის – ლ. ბ-ის დაკავებისას, იგი სარგებლობდა იმუნიტეტით, შესაბამისად, მის შემთხვევაში, ხელყოფილ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრის თავისუფლებისათვის დადგენილი

კონსტიტუციური გარანტიები, მოპასუხეების მხრიდან არ იქნა უზრუნველყოფილი საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელება, რეალურად პასუხისგებაში მიცემა განხორციელდა გამოთქმული აზრებისა და შეხედულებების საფუძვლით, კანონსაწინააღმდეგო დაკავების ფონზე. მოპასუხეთა ქმედებებით, მოსარჩელეს წაერთვა საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული გარანტიები, რომელსაც შეუქცევადი ხასიათი აქვს. საგულისხმოა, რომ არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და არც დამკავებელმა პოლიციელებმა, საქართველოს პარლამენტის წევრის – ლ. ბ-ის დაკავების შესახებ კონსტიტუციის შესაბამისად აცნობეს საქართველოს პარლამენტს. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა, სწორი იყო თუ არა იმ ფორმებით დაკავების გამოყენება საქართველოს პარლამენტის წევრის მიმართ, როგორც ეს მოხდა ლ. ბ-ის შემთხვევაში, საბოლოოდ ისარგებლა თუ არა პირმა პარლამენტის წევრის სტატუსით და მისი სტატუსის კვალობაზე გამართლებული იყო თუ არა დაკავება, პირადი და ნივთების გასინჯვა, იძულებით გადაყვანა საპოლიციო ორგანოში. სასამართლომ აღნიშნულ, უმნიშვნელოვანეს საკითხზე საერთოდ არ იმსჯელა.

კასატორები ასევე ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.09.2018 საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც მათ უარი ეთქვათ საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე წარდგენილი მტკიცებულების დართვაზე.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო ეტაპზე წარდგენილი მტკიცებულების დართვაზე უარის თქმით სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ რ. მ-ე, ლ. რ-ა, ვ. მ-ა, ზ. ხ-ა, ჯ. ს-ი, ლ. ქ-ე, გ. კ-ი, რ. კ-ი და ბ. შ-ა არ ყოფილან ადმინისტრაციული წესით დაკავებულნი. მითითებული მოსარჩელები საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ფაქტობრივად დააკავეს დაკავების ოქმის შედგენის გარეშე და მათ რეალურად შეეზღუდათ თავისუფლება. იმის გამო, რომ აღნიშნულზე არ შედგა შესაბამისი ოქმი, მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოში ვერ წარადგინა დაკავების დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა საქმის სააპელაციო ეტაპზე განხილვისას, მსოფლიოს გლობალურ ქსელში – youtube.com აიტვირთა მოსარჩელეთა დაკავების ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელიც წარდგენილ იქნა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე. საკითხი მნიშვნელოვანი იყო – საქმე შეეზღუდა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას პოლიციის მხრიდან, რაც საკმარისი გულმოდგინებით უნდა შეემოწმებინა სააპელაციო პალატას.

კასატორების განმარტებით, ასკ-ის მე-4 მუხლიდან გამომდი-

ნარე, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს როგორც შეჯიბრებითობის, ისე სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი. აღნიშნული გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც ყოველმხრივ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია, რომ საქმის განხილვის სხვა ეტაპზე მხარეს არ ჰქონდა საშუალება, წარედგინა დაკავების დამადასტურებელი და მოპასუხეთა უკანონობის მამხილებელი მტკიცებულებები, თუმცა სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის ნამდვილი შინაარსის გაუცნობიერებლად უარი განაცხადა ახალი მტკიცებულების დაშვებაზე. ყოველივე აღნიშნულმა იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და ხარისხზე. სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმე განიხილა ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სასამართლოს, ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით უნდა მოეპოვებინა მტკიცებულებები და მათი შეფასების შემდეგ ემსჯელა მოსარჩელეთა დაკავების საკითხზე. სასამართლოს შეეძლო, საკუთარი ინიციატივით მტკიცებულების შეგროვების საპროცესო საშუალებით მაინც მიეღო და საქმეზე დაერთო მითითებული მტკიცებულება, რამდენადაც იგი უზრუნველყოფდა საქმისათვის საკვანძო საკითხის დადგენას.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოს განსაკუთრებული როლის არსიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ინიციატორმა უნდა მოისმინოს შესაბამისი არგუმენტები მის მიერ დაყენებული საკითხის განხილვის შედეგებზე. საოქმო განჩინებას წაეყენება ის პრეტენზიები და მოთხოვნები, რაც ზოგადად, სასამართლო აქტს – იგი დასაბუთებული უნდა იყოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებულ საოქმო განჩინებაში ვერ ვხვდებით ასეთ მსჯელობას, განჩინებით არ დასაბუთებულა ის არგუმენტები, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284.3 მუხლიდან გამომდინარე, დასაბუთებული სასამართლო აქტის მსგავსად, საოქმო განჩინება უნდა შეიცავდეს სასამართლო გადაწყვეტილების ყველა ნაწილს, მათ შორის – სამოტივაციო ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს, თუ რატომ დააკმაყოფილა სასამართლომ ესა თუ ის მოთ-

ხოვნა ან რატომ უარყო მის წინაშე დაყენებული საკითხი. საოქმო განჩინების ბუნება, მისი დასაბუთებით ნაწილთან ერთად მიღებაში მდგომარეობს, მისი ადგილზე თათბირით გამოცხადებასთან ერთად, ადგილზე ცხადდება ის მოტივები, რამაც განაპირობა მისი მიღება. ამდენად, საოქმო განჩინება დასაბუთებული, მოტივირებული უნდა იყოს.

კასატორები მიიჩნევენ, რომ უნდა გაუქმდეს უსწორობის გასწორების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.2018წ. განჩინება.

კასატორების განმარტებით, მითითებული განჩინება შეეხება საქმეზე მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში მოსარჩელე ვ. მ-ას შესახებ არასწორად მითითებული მონაცემის (გვარის) გასწორებას, მაშინ, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ამგვარ უსწორობას. თუ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს უსწორობას, ის არ უნდა შესწორდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებისას და მცდარი სახით უნდა დარჩეს დასაბუთებული აქტის სარეზოლუციო ნაწილში. მის შესწორებას უნდა ადგენდეს მხოლოდ უსწორობის გასწორების შესახებ განჩინება. ამდენად, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს უსწორობას მოსარჩელე ვ. მ-ას გვართან მიმართებაში, უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების მიღებასაც არ გააჩნდა სათანადო საფუძველი და იგი უნდა გაუქმდეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორების მოსაზრებით, თანმდევი იურიდიული შედეგით უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნები ქვედა ინსტანციის სასამართლოში სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლიდან გამომდინარე, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

კასატორები შუამდგომლობენ მოწინააღმდეგე მხარისათვის თითოეული კასატორის სასარგებლოდ, დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად, სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის ანაზღაურების დაკისრებას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის დახმარებისათვის – 9000 ლარის ოდენობით.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის – ადვოკატის დახმარებისათვის გადასახდელი თანხის მო-

პასუხისათვის დაკისრებაზე უარი დაუშვებელია მისი გადაუხდელობისა და შესაბამისი ქვითრის საქმეში არარსებობის გამო. სუს 09.02.2012წ. №ბს-1330-1315(კ-11) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული, ადვოკატების ხარჯების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებული ხსენებული მიდგომა თავსებადია და გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული ევროპული სტანდარტიდან.

კასატორები მიუთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადრე მოქმედი პირველი სექციის მიერ 09.06.2005წ. განხილულ საქმეზე – „ფადეევა, რუსეთის წინააღმდეგ“, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მესამე სექციის მიერ 27.12.2012წ. განხილულ საქმეზე – „გივი ჯანიაშვილი, საქართველოს წინააღმდეგ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-69-ე, 709-710-ე მუხლებზე, სუს 08.09.2006წ. №ას-39-489-06 განჩინებაზე და განმარტავენ, რომ ქართული საპროცესო სამართლის საფუძვლებით, ასევე შიდასახელმწიფოებრივი და ევროპული მყარი სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, გამართლებული და მხარდასაჭერია ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილება. ანალოგიური დასაბუთება სრულად გაზიარებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.11.2014წ. №2/15800-2014 შემაჯამებელი გადაწყვეტილებით. ამავე საკითხზე საინტერესოა ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19.06.2015წ. გადაწყვეტილება (საქმე №3ბ/698-2015 №190310015716798), რომელიც შესულია კანონიერ ძალაში.

კასატორები საგულისხმოდ მიიჩნევენ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, წერილობითი მტკიცებულების გარეშე ადვოკატის ხარჯს აკუთვნებს მონინაალმდეგე მხარეს მაშინაც, როდესაც კასატორის საკასაციო პრეტენზია განუხილველი რჩება დაუშვებლობის გამო (№ას-444-423-2015 საქმეზე 30.10.2015წ. მიღებული განჩინებები). ამასთან, კასატორების განმარტებით, მნიშვნელოვანია სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.07.2016წ. №776-768(2კ-4კს-15) განჩინებით დადგენილი პრაქტიკა.

კასატორების განმარტებით, ჯერ კიდევ გადაუხდელი საადვოკატო მომსახურების საფასური, კანონით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში, მონინაალმდეგე მხარისათვის დაკისრებას ექვემდებარება (სუს 11.02.2008წ. №ას-792-1114-07 განჩინება). საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების წერილობით დადების ვალდებულება კანონმდებელს არ დაუდგენია, სახელშეკრულებო თავისუფლების იდეიდან გამომდინარე, შესაბამისად, არ გამორიცხ-

ხება მისი არსებობა ზეპირი გარიგების საფუძველზე. გარიგების არსებობა გარეგნული გამოხატულებით მინიმუმ უნდა დგინდებოდეს. სამივე ინსტანციის სასამართლოში ერთი და იგივე ადვოკატის მონაწილეობა და საადვოკატო ხარჯების მოთხოვნის ფაქტი, სხვა არაფერს ადასტურებს, თუ არა საადვოკატო მომსახურების გარიგების დადებისა და არსებობის ფაქტს.

კასატორები შუამდგომლობის სახით მიუთითებენ, რომ მონი-ნაალმდეგე მხარეს, კასატორების სასარგებლოდ, ინდივიდუალურად უნდა დაეკისროს მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამონშებისათვის გაღებული სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის ანაზღაურება – 70 ლარის ოდენობით, ასევე საკასაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას აპელანტებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 20 ლარის ოდენობით, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად, მე-3 ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივრის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 70 ლარის, საკასაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისათვის – 40 ლარის, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისათვის – 0.10 ლარის, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის – 60 ლარის, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯის – 10 ლარის, ასევე აპელანტების და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეული გაზრდილი დანახარჯების ანაზღაურება – 100 ლარის, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება – 4 000 ლარის ოდენობით, საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 500 ლარის ოდენობით. კასატორების განმარტებით, ხსენებული მოთხოვნები გაზიარებულია სუს სამოქალაქო საქმეთა პალატის

30.09.2019წ. №ას-1054-2019, №330310018002614430 განჩინებით, ასევე სუს 07.05.2018წ. №ას-316-316-2018, №210210012000152909 განჩინებით.

მითითებული შუამდგომლობის დასაბუთების მიზნით, კასატორები მიუთითებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლზე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე და მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ, 2012 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ განზოგადებულ სასამართლო პრაქტიკაზე.

კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.01.2014წ. გადაწყვეტილებით, №ას-165-158-2013 საქმეზე დადგინდა ერთიანი, განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების საპროცესო შეცდომათა გაანალიზების შედეგად. მითითებული გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ამასთან, სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით.

კასატორები მიუთითებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე, 53-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე და აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ნორმის საფუძველზე გამოუყენებელ საპროცესო უფლებაზე ცალკე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს კანონი, ანუ სამართლებრივად დაუშვებელია საპროცესო უფლების მატერიალურ უფლებასთან გათანაბრების სამართლებრივი შესაძლებლობის დაშვება და თანმდევ საპროცესო უფლებაზე სარჩელის წარდგენა (სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.06.2009წ. №ბს-1665-1619(კ-08) გადაწყვეტილება). საგულისხმოა მოცემულ საკითხთან დაკავშირებული მყარი, სტაბილური და 2012 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული განზოგადებული სასამართლო პრაქტიკაც. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.01.2014წ. №ას-165-158-2013 გადაწყვეტილებით დადგინდა ერთიანი, განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა საპროცესო შეცდომების გაანალიზების შედეგად. ხსენებული მოთხოვნები გაზიარებულია სუს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.09.2019წ. №ას-1054-2019,

№330310018002614430 განჩინებით.

კასატორები ასევე შუამდგომლობენ საკასაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საბანკო სერვისით მომსახურებაზე განეული 1 ლარის დაკისრებას მონინალმდევე მხარისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.04.2020წ. განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხარვეზის შევსების შედეგად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ბ-ის, დ. გ-ას, ნ. ნ-ის, გ. რ-ას, რ. მ-ის, ლ. რ-ას, ვ. მ-ას, ზ. ხ-ას, ჯ. ს-ის, ლ. ჭ-ის, გ. კ-ის, რ. კ-ის და ბ. შ-ას საკასაციო საჩივარი. ამავე თარიღის განჩინებით, საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა კასატორ ჯ. ჯ-ის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.06.2020წ. განჩინებით ლ. ბ-ის, დ. გ-ას, ნ. ნ-ის, გ. რ-ას, რ. მ-ის, ლ. რ-ას, ვ. მ-ას, ზ. ხ-ას, ჯ. ს-ის, ლ. ჭ-ის, გ. კ-ის, რ. კ-ის და ბ. შ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. ამავე განჩინებით დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელეთა ინტერესს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მათი ადმინისტრაციული წესით უკანონოდ დაკავებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრება. ამდენად, მოცემული დავის ფარგლებში, უნდა განიმარტოს – წარმოშობს თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, როგორც პირის მარეაბილიტირებელი გარემოება, ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევის საფუძველს და ვრცელდება თუ არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირზე, იმ პირობებში, როდესაც 1005.3 მუხლი პირდაპირ არ შეიცავს მითითებას რეაბილიტირებული პირისათვის ადმინისტრაციული წესით უკანონოდ დაკავების შედეგად მიყენებული ზიანის სახელმწიფოს

მხრიდან ანაზღაურების შესაძლებლობაზე. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძირითადი მოტივებიდან გამომდინარე, უნდა განიმარტოს, რელევანტურია თუ არა სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის მიზნებისათვის ადმინისტრაციული დაკავების კანონიერება/უკანონობის დადგენა მისი ამსახველი აქტის გასაჩივრების შედეგების გათვალისწინებით.

ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო პირველ რიგში მიუთითებს შემდეგ მოსაზრებებზე: საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოადგენს კონსტიტუციური რანგის უფლებას. ამასთან, ეროვნული თუ ევროპის სასამართლოს არაერთი განმარტებიდან გამომდინარე, ეს უფლება მოიცავს მოთხოვნას როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. დაზარალებული პირის ინტერესების დაცვას და სახელმწიფოს სახსრებიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ემსახურებოდა ასევე 13.10.2017წ. ცვლილებამდე მოქმედი კონსტიტუციის 42.9 მუხლი, რომლის მნიშვნელობაც ხაზგასმულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლომ 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „...სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას..“.

საქართველოს კონსტიტუციის 13.6 მუხლი ხაზს უსვამს ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ნორმა კონკრეტულად შეეხება უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მი-

ყენებული ზიანის ანაზღაურება (ამავე უფლებას შეეხებოდა კონსტიტუციის 13.10.2017წ. ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლიც – 18.7 მუხლის შესაბამისად, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს მინიჭებული ჰქონდა კომპენსაციის მიღების უფლება). ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებულობას შეეხო საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ დაადასტურა ამ უფლებაში ჩარევის სიმძიმე სხვა უფლებებში ჩარევასთან შედარებით და კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების სიმკაცრის მაღალი ხარისხის საჭიროება. დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნების ფიზიკური თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მისი ყოველმხრივ დაცვის აუცილებლობას ადასტურებს ასევე სუს დიდი პალატა და 24.03.2003წ. №3გ-ად-329-კ-02 გადაწყვეტილებით განმარტავს, რომ „...ეს უფლება ყველა იმ სახელმწიფოებრივი სისტემის ქვაკუთხედიცაა, რომელიც კანონიერების პატივისცემისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტულ მნიშვნელობას აღიარებს. კონვენცია ადგენს კომპენსაციის შესაძლებლობას მასში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისათვის...“. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლთან კავშირშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი, რომლითაც აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. 5.5 მუხლი ადგენს, რომ ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საჯარო მმართველობის განმახორციელებელი სუბიექტების ლეგიტიმაციის ხარისხიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ორგანოებისა თუ პირებისაგან მიყენებული ზიანის ეფექტიანი და ქმედითი ანაზღაურების მექანიზმის არსებობა. სწორედ ამ სამართლებრივი ინტერესის დაცვას ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული 18.4 მუხლის ზოგადი დანაწესი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების სავალდებულობის თაობაზე, რომლის დეტალური საკანონმდებლო მოწესრიგება მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწი-

ფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. 208.3 მუხლის თანახმად კი, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. ამასთან, ზაკ-ის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი („ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოთქმის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო“ (სუს 10.04.2014წ. №ბს-648-623(2კ13) გადაწყვეტილება)).

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო

რო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე. კერძოდ, 1005.3 მუხლის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს („დისციპლინური პატიმრობის“ შესახებ ჩანაწერი ნორმას დაემატა 01.06.2017წ. ცვლილებით).

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზიანი ანაზღაურდება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მწარმოებელ ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე. ამ მუხლის მიზნებისათვის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია პირის მარეაბილიტირებული გარემოების არსებობა და შესაბამისი ქმედების უკანონობის დადგენა. ამ შემთხვევაში, რელევანტურია, დადგინდეს პირობა, ურომლისოდაც ზიანის გამომწვევი შედეგი არ დადგებოდა. შეფასების საგანს სცილდება ბრალეული მიზეზობრიობის (კონკრეტული პირის ბრალეული ქმედების არსებობის) დადგენა, რამაც გამოიწვია ზიანი. ბრალი არ წარმოადგენს უკანონო ბრალდების/მსჯავრდების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობას. „...დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მონესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში...“ (სუს 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება). მნიშვნელოვანია, რომ სკ-ის 1005.3 მუხლიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე

იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება, რომლის განსაზღვრებაც 1005.3 მუხლში არ არის მოცემული. კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას.

საკასაციო სასამართლო, იმავე სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლზე მითითებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლში ასახული, პირის მარეაბილიტირებელი გარემოებების არსებობის პირობებში „უკანონოდ შეფასებადი“ ქმედებების ჩამონათვალი უკავშირდება როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს („მსჯავრდება“, „სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა“, „აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება“, „ადმინისტრაციული პატიმრობა“, „დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება“). ამასთანავე, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოყენებად თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიებებთან მიმართებაში ნორმა უფრო დეტალიზებულია – შეიცავს მითითებას პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემიდან მისთვის სასჯელის შეფარდების ჩათვლით, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი შეიცავს მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელების – „ადმინისტრაციული პატიმრობისა“ და „გამასწორებელი სამუშაოების“ შესახებ ჩანაწერს. „ადმინისტრაციული დაკავება“, როგორც სამართალდარღვევის საქმეზე რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ მისაჩნევი ზემოქმედების ღონისძიება, ნორმაში მითითებული არ არის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო საკითხის სწორად გადანიშნვის მიზნით, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის განმარტება მნიშვნელოვანია არამარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ მასში გამოხატული ნამდვილი აზრის გათვალისწინებით.

რეაბილიტაცია, თავისი არსით, შელახული ღირსების აღდგენას, ჩამორთმეული უფლებების დაბრუნებას გულისხმობს. სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი წარმოადგენს გარანტიას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის საქმეებზე რეაბილიტირებული პირებისათვის, მიიღონ სახელმწიფოსაგან ზიანის ანაზღაურება მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (გამამართლებელი განაჩენი; დადგენილება, რომლითაც დასტურდება, რომ პირს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია), რაც თავის მხრივ, წარმოშობს მარეაბილიტირებელი გარემოების დადგომამდე პირის მიმართ გან-

ხორციელებული თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიების (დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა) უკანონოდ ცნობის წინაპირობას. სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი გამომდინარეობს კონსტიტუციის 13.6 მუხლში ასახული პრინციპიდან, რომელიც ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ნებისმიერ უკანონოდ თავისუფლებაზეზღუდულ პირთან მიმართებაში ადგენს სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი და ამ მუხლთან მიმართებაში ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადამიანის თავისუფლებაში ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ჩარევა და კომპენსაციის ქმედითი უფლების წარმოშობა უკავშირდება ნებისმიერ პირს, ვისაც ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უკანონოდ შეეზღუდება თავისუფლება. საყურადღებოა, რომ კონვენციის მე-5 მუხლში მითითებული ტერმინი „თავისუფლების აღკვეთა“, ზოგადი მნიშვნელობისაა და მოიცავს ნებისმიერი სახის დაკავებას, დაპატიმრებას თუ სხვაგვარ თავისუფლების შეზღუდვას, ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით. კონვენციის სხვა მუხლების მსგავსად, მე-5 მუხლთან მიმართებაშიც ევროპული სასამართლო გაცდა კონვენციის ტერმინების სიტყვასიტყვით განმარტებას. მე-5 მუხლით დაწესებულ შეზღუდვათა განმარტება ვიწრო ფარგლებში მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული, რამდენადაც კონვენციის მიზანია, დაიცვას ადამიანის ნამდვილი უფლებები, მათი რეალური შინაარსის გათვალისწინებით და ფორმალური გარანტიის მინიჭების გამორიცხვით (მაგ.: დისციპლინური სახდელი, რომელიც უკავშირდება ჰაუპტგახტში მოთავსებას, სტრასბურგის სასამართლოს მიერ შემუშავებული სტანდარტებით ერთმნიშვნელოვნად ხვდება ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოქმედების არეში (იხ. „ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“ Engel and others v. the Netherlands, 08.06.1976), მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შეზღუდვის ფორმაზე კონვენციის მე-5 მუხლში ჩანანერი არ არსებობს).

საკვსაცვიო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლში გამოყენებული ტერმინები – „თავისუფლების აღკვეთა“, „პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა“, „დაკავებული“, „დაპატიმრებული“, ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის განსხვავებულ შემთხვევებს და მიზნებს უკავშირდება. ამასთან, კონსტიტუციის მე-13 მუხლით გარანტირებული სტანდარტები

არ იზღუდება სამართლის ერთი დარგით ან ერთი კონკრეტული საკანონმდებლო აქტით. 13.3 მუხლის მიხედვით, პირის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. ამ შემთხვევაში, ტერმინი „დაკავება“ კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სახის დაკავებას გულისხმობს, შესაბამისად, ამავე მუხლის საფუძველზე სასამართლოსადმი წარდგენის საპროცესო გარანტია ყველა სახის დაკავებულ თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირზე ვრცელდება. საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-18 მუხლთან მიმართებაში (თავისუფლების უფლება) საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „...კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული დაცვა ვრცელდება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებასა და დაპატიმრებაზე, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოწესრიგებულ იმავე ურთიერთობაზეც (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415, 04.02.2005წ. №2/1/263 განწყვეტილებები).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დაკავება, როგორც საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომა, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევას წარმოადგენს. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მიზნებისათვის. ამასთანავე, ადმინისტრაციული დაკავება ექცევა კონვენციის მე-5 მუხლით დაცულ სფეროში, მისი ხანგრძლივობის სიმცირის მიუხედავად. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 5.1 მუხლის ა-ფ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები, რომელთა დროსაც გამართლებულია თავისუფლების შეზღუდვა, ცალკე არ მიუთითებს ადმინისტრაციულსამართლებრივ ასპექტებზე, თუმცა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ადასტურებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევების თავსებადობას კონვენციის მე-5 მუხლთან. ამდენად, კონვენციის 5.1 მუხლის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტერმინები: „პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება“, „სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი“, „სამართალდარღვევის ჩადენის აღკვეთის აუცილებლობის საფუძვლიანად მიჩნევა“, კავშირშია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებასთან (იხ. მაგ.: S., V. and A. v. Denmark [GC]). კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისათვის, ტერმინები: „დაკავება“ და „დაპატიმრება“ მოი-

აზრებს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც პირს თავისუფლებას უზღუდავს – მნიშვნელობა არ აქვს, რა სახელი ეწოდება მას ეროვნულ კანონმდებლობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი აკმაყოფილებს განსაზღვრულობის მოთხოვნებს. აღნიშნული ნორმა თანაბრად ადგენს სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე რეაბილიტირებულ პირთათვის კომპენსაციის გარანტიას, შესაბამისად, ნებისმიერ თავისუფლების შეზღუდვის ფორმას (მათ შორის – ადმინისტრაციულ დაკავებას) უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში. საგულისხმოა, რომ „ადმინისტრაციული დაკავება“, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ზემოქმედების ღონისძიება, ნაკლები ინტენსივობით და ხარისხით განსხვავდება „ადმინისტრაციული პატიმრობისაგან“, რომელიც ამავე კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის სახეა, თუმცა ორივე შემთხვევა ცალსახად უკავშირდება კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვას და მისგან გამომდინარე ნეგატიურ შედეგებს. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ისევე, როგორც ადმინისტრაციული პატიმრობა, ადმინისტრაციული დაკავებაც თავის არსით ექცევა სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის შემადგენლობაში. ნორმის ფართოდ განმარტებით, არარელევანტურად უნდა ჩაითვალოს მასში მითითებული შეზღუდვის ფორმების ამომწურავი ხასიათი. 1005.3 მუხლში „ადმინისტრაციული დაკავების“ შესახებ ჩანაწერის არარსებობა არ ადასტურებს, რომ ადმინისტრაციულ დაკავებას, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ფორმას, არ გააჩნია მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის პირადი თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, თუმცა, ის დაცულია უკანონო, უსაფუძვლო და თვითნებური შეზღუდვისგან. კანონმდებლის უფლება, კანონის საშუალებით დაადგინოს თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები, თავის მხრივ შეზღუდულია ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით. „...ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს, როგორც ultima ratio. თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმა ექვემდებარება უმკაცრეს კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ჩარევის პროპორციულობის კუთხით. ამასთან, რაც უფ-

რო განგრძობადი და ინტენსიურია ჩარევა, მით უფრო იზრდება შეფასების სიმკაცრე მისი კონსტიტუციურობის განხილვისას...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება). დაკავების სახით თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვა, ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება ან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა, კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცულ უფლებაში განსხვავებული სიმწვავეთ ჩარევის მაგალითებს წარმოადგენს.

ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის ფორმებს შორის ზღვარის დასადგენად აუცილებელია კონკრეტული, ინდივიდუალური გარემოებების შეფასება. უნდა განისაზღვროს ჩარევის მიზანი და ამოცანა, განხორციელებული ჩარევის ინტენსივობა, შეფასდეს უფლებაში ჩარევის ხარისხი და ხანგრძლივობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სივრცეში პირის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ყველა შემთხვევაში არ განაპირობებს კონსტიტუციის მე-13 მუხლთან შემხებლობას. „...არასწორია პოლიციელის მიერ პირის გადაადგილების თავისუფლების ნებისმიერი ხანმოკლე შეზღუდვის დაკავებასთან გათანაბრება...საჭიროა, რომ უფლებაში ჩარევამ ინტენსივობის (სიმწვავის) გარკვეულ ხარისხს მიაღწიოს, როგორც მინიმუმ, თავისუფლების შეზღუდვის ვადა ხანგრძლივი უნდა იყოს...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. №1/2/503,513 გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დაკავება“ თავისი არსით, თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ნაკლებად მძიმე ფორმაა, რომელიც მოქცეულია კონსტიტუციურსამართლებრივ ჩარჩოებში, ექვემდებარება დამოუკიდებელ შემოწმებას და გათვალისწინებულია როგორც სისხლის სამართლის საპროცესო, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი ადამიანის დაკავებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში („ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა შესაძლებელია მკაცრი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებლო თვითნებობისაგან...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება)).

დაკავების შემთხვევა სახეზეა, თუ პირი ეჭვმიტანილია დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენაში და აუცილებელია საზოგადოებისგან მისი დროებითი იზოლირება, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, ან მისი დახურულ სივრცეში გადაყვანა აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის

წარმოების უზრუნველყოფის მიზნებისათვის. „...დაკავების განსაზღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სივრცე, ანუ პირის განსაზღვრულ (როგორც წესი, დახურულ) სივრცეში მოთავსების ფაქტი, როდესაც მას ამ სივრცის დატოვების შესაძლებლობა არ აქვს.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2013წ. №1/2/503,513 გადაწყვეტილება). გარდა ამისა, დაკავების, ისევე, როგორც კონვენციის მე-5 მუხლში მოაზრებული თავისუფლების შემზღუდავი სხვა ღონისძიების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს იძულების ელემენტის არსებობა. არ აქვს მნიშვნელობა, პირი თავისი ნებით ჩაბარდა თუ არა, ან პირმა იცის თუ არა თავისუფლების შეზღუდვის ფაქტის შესახებ. მთავარია, რომ ის აღარ არის თავისუფალი და აღარ შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ გადაადგილება დაკავების უფლებამოსილების მქონე პირის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისას მის მიმართ ძალის/იძულების გამოყენების შიშით (*De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*).

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს თავისუფლების აღკვეთა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის გაგებით და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა, რომელსაც მოიცავს კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მეორე მუხლი (ადამიანის თავისუფლებას შეეხება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი, ხოლო მიმოსვლის თავისუფლებას – მე-14 მუხლი). თავისუფლების უფლების შეზღუდვისას სახელმწიფოს მკაცრი მოთხოვნები წაეყენება. ამასთან, იგი მოიცავს გადაადგილების თავისუფლების აღკვეთასაც, თუმცა კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული სიკეთისაგან განსხვავებით, ხასიათდება ჩარევის მაღალი ინტენსივობით, ამასთან, მე-14 მუხლით გარანტირებული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას პირს არ აქვს აკრძალული გარესამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთისას დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეზღუდული აქვს გარეშე პირებთან ურთიერთობა.

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ძირითად უფლებას დაცულად მიიჩნევს პირის თავისუფლების ნებისმიერი ხანგრძლივობით აღკვეთის შემთხვევაში, რაოდენ ხანმოკლეც უნდა იყოს იგი (*Krupko and Others v. Russia*, no. 26587/07, 26.06.2014). ღონისძიების ხანგრძლივობის მიუხედავად, თავისუფლების აღკვეთად იქნა მიჩნეული პირის ნების საწინააღმდეგოდ მისი მიყვანა პოლიციის ოფისში, იზოლატორში მოთავსებით (*Ostendorf v. Germany*, no. 15598/08, 07.03.2013) ან იზოლატორში მოთავსების გარეშე (*Krupko and Others v. Russia*, no. 26587/07, 26.06.2014). თავისუფლების აღკვეთად იქნა მიჩნეული პირის პოლიციის გან-

ყოფილებაში 45 წუთის განმავლობაში ყოფნა (Shimovolos v. Russia, no. 30194/09, 21.06.2011), ასევე შემთხვევა, როდესაც პირის პოლიციის ოფისში მიყვანა, შემონმება და იზოლაციაში მოთავსება არ აღემატებოდა ერთ საათს (Novotka v. Slovakia (dec.), no. 47244/99, 04.11.2003).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაკავება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომლის ძირითადი მახასიათებელი და განმასხვავებელი სხვა შეზღუდვის ფორმებისაგან, არის მისი ხანმოკლე ხასიათი. ამასთან, „დაკავება“, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ხანმოკლე ფორმა, გათვალისწინებულია ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, იგი წინ უსწრებს ამავე კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების – წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას და თავისი შინაარსით განსხვავდება თავისუფლების აღკვეთისგანაც, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელის სახეს წარმოადგენს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დაკავებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, კონკრეტულ პირთან მიმართებით არსებობს იმ სახის ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნულმა პირმა ეს კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა (სისხლის სამართლის პროცესში, პირის მიმართ დაკავების ღონისძიების გამოყენების ეტაპზე მოქმედებს „გონივრული ეჭვის“ სტანდარტი, რომელიც ხაზს უსვამს მხოლოდ გამოძიების წარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მცდელობას – სარწმუნო მტკიცებულებებით დაადასტუროს შესაძლო დანაშაულის არსებობა. გონივრული ეჭვის სტანდარტს ბრალდების მხარე იყენებს პირისათვის ბრალდების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად).

რაც შეეხება ადმინისტრაციულ დაკავებას – საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედების სავარაუდო ჩადენის ფაქტზე პირველად რეაგირებას ადასტურებს უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომლის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო პირის ადმინისტრაციული წესით დაკავების შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები) იყენებენ მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული მიზნებისათვის. ასკ-ის 244.1 მუხლის შესაბამისად, პირის ადმინისტრაციული დაკავება დასაშვებია საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, რო-

ცა ამონურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად. საგულისხმოა თავისუფლების დაკარგვის მომენტის იდენტიფიცირება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სასამართლოს წინაშე დაკავებული პირის წარდგენამდე დაკავების საერთო ხანგრძლივობის შეფასებისათვის. „...პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას..“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 04.02.2005წ. №2/1/263 გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიზნებისათვის, დაკავება წარმოადგენს სასამართლოში სამართალდარღვევის საქმის განხილვის დაწყებამდე და სახდელის დადების საკითხის გადანყვეტამდე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ იძულებით ღონისძიებას, რომლითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი ქმედების გამოვლენა, მისი აღმოფხვრა და მართლმსაჯულების განხორციელება. აღნიშნული ღონისძიება ემსახურება კონკრეტულ მიზნებს. ამასთან, სხვა სახის შეზღუდვებისაგან ადმინისტრაციული დაკავების განსხვავებულობას ხაზს უსვამს მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების იმნუთიერად მიღების შესაძლებლობა და თავად დაკავების ხანგრძლივობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული დაკავების დროს პირი ახორციელებს სავარაუდო დარღვევის შემცველ ქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან/და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებათა გამოვლენის პროცესის უშუალო შემსწრეა, შესაბამისად, იგი ადგილზე იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვა სახის ზემოქმედების ზომების ამონურვის შემდეგ. ასეთ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს წვრილმანი ხულიგნობის (ასკ-ის 166-ე მუხლი) შემადგენლობის გამოვლენაზე რეაგირება, როდესაც უფლებამოსილი ორგანოს თანამშრო-

მელი, ქმედების გამოვლენის პროცესში, მისი აღკვეთის მიზნით, სავარაუდოდ დამრღვევს თავდაპირველად მოუწოდებს სიმშვიდისაკენ, ქმედების შეწყვეტისაკენ და შესაბამისი მითითების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, იყენებს ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიებას. ასკ-ით გათვალისწინებული ქმედების პროცესის აღკვეთაში უფრო მეტად ჩართულობას ადასტურებს 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, რომელიც უშუალოდ ქმედების აღმკვეთი პირისაკენ მიემართება და გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ამ პირის სიტყვიერ შეურაცხყოფას, ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას. ასეთ შემთხვევაშიც, ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ხდება პირის გაფრთხილება, მოწოდება ქმედების შეწყვეტისაკენ, პოლიციელის მოთხოვნისადმი დამორჩილებისაკენ.

მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციული წესით თავისუფლების შეზღუდვის წინასწარ სანქცირებაში ან გადაუდებელ შემთხვევაში მისი გამოყენებისას – შემდგომში კანონიერად ცნობაში სასამართლო არ მონაწილეობს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად, სასამართლო კონტროლი ასრულებს თავისუფლების და უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტიის, დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ სასამართლოს გარეშე დაკავებული პირის ბედის განსაზღვრის პრევენციის ფუნქციას, თუმცა ადმინისტრაციული წესით დაკავების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი იმწუთიერად გამოყენების საჭიროებისა და ხშირად დაკავების მეტისმეტად მცირე დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, შეუძლებელი ხდება ადმინისტრაციული სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტამდე, მითითებულ პროცედურაში სასამართლოს ჩართულობა.

ადმინისტრაციული დაკავების საკანონმდებლო ფორმულირება ასევე არ შეიცავს მინიშნებას გონივრული ეჭვის თაობაზე, თუმცა უდავოა, რომ აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვის ფორმის გამოყენებისას დაკავებაზე უფლებამოსილი პირი არ უნდა მოქმედებდეს ინტუიციით, სუბიექტური განცდით. დაკავების ღონისძიების განხორციელებისას უნდა ივარაუდებოდეს, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პოლიციელს, მსგავს გარემოებებში, სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით ასეთივე ეჭვი წარმოექმნებოდა და მისი აღკვეთის მიზნით, ამავე სახის გადაწყვეტილებას მიიღებდა. დაკავების მომენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ადგენს გარკვეულ კავ-

შირს გამოვლენილ ქმედებასა და თავისუფლებაზეზღუდულ პირს შორის. იგი ხდება სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის შემსწრე, რომელიც შემდგომ სასამართლოს გზით უნდა დამტკიცდეს ან გაქარწყლდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული დაკავება უფლებაში ჩარევის დაბალი ინტენსივობით ხასიათდება, თუმცა პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემამ, მისი ადმინისტრაციული წესით დაკავებამ, შესაძლოა წარმოშვას ნეგატიური განცდები, სტრესული მდგომარეობა, რეპუტაციის შელახვის საფრთხე, რაც თავის მხრივ, წარმოშობს სახელმწიფოს მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას რეაბილიტირებული პირისათვის, მიუხედავად ზიანის მიმეყენებლის ბრალისა. „...არ დაიშვება ნორმის ისე განმარტება, რომ გამართლებულ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შესაძლებლობა („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-13 მუხლი), საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია არ თავსდება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებების, როგორც უმაღლესი ფასეულობის პრიორიტეტულობასა და პატივისცემასთან...“ (სუს 07.02.20196. №ბს-432-429 (2კ-17) გადაწყვეტილება). ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამგვარი განცდებით გამოწვეული მორალური ზიანის მოცულობას სასამართლო ვერ განსაზღვრავს მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნაში ჩამოყალიბებული მოსაზრებების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 413.1 მუხლით დადგენილი ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, ასანაზღაურებელი მორალური ზიანის მოცულობა სასამართლომ უნდა განსაზღვროს გონივრულად და სამართლიანად.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენებისას, საქმის მწარმოებელ ორგანოს არ აქვს საქმის შედეგის წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა, რამდენადაც მტკიცებულებათა შეფასება წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას, დადგენილების გამოტანის ეტაპზე. ამდენად, ადმინისტრაციული დაკავების მომენტში, შესაძლოა პოლიციის თანამშრომელს შეექმნას დასაბუთებული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა და აუცილებელია მისი დაკავება, თუმცა სასამართლოში საქმის განხილვისას დადგინდეს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულის მიუხედავად, სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, კა-

ნონი არ გამორიცხავს სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე (სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი), თავისთავად იმ ფაქტის დადასტურება, რომ მოსარჩელეთა მიმართ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება, წარმოშობს სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების უფლებას, შესაბამისი ღონისძიების გამოყენებაზე უფლებამოსილი პირის შესაძლო ბრალეულობის დადასტურების გარეშე. ამ შემთხვევაში წარმოიშობა მხოლოდ ზემოქმედების ღონისძიების შინაარსის, მისი ხასიათის და სიმძიმის კვლევის ვალდებულება, იმ მიზნით, რომ არაქონებრივი ზიანის მოცულობასთან დაკავშირებული დასკვნა არ გასცდეს გონივრულობის ფარგლებს.

როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა ინტერესს წარმოადგენს სახელმწიფოსთვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რაც გამომდინარეობს მათთან მიმართებაში მარეაბილიტირებელი გარემოებების დადგენიდან და ამ გარემოებების გათვალისწინებით, სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების მიმდინარეობისას გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიებების უკანონოდ ჩათვლის აუცილებლობიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „არაქონებრივი ზიანის“ ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს, თუმცა სამართლის თეორიაში და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტების შესაბამისად, აღნიშნული მოიაზრებს არაქონებრივი სიკეთისათვის მიყენებულ ზიანს, რომლის ფულადი სახით განსაზღვრა შეუძლებელია. არაქონებრივი ზიანის წარმოშობა შეიძლება დაუკავშირდეს როგორც ადამიანის სხეულებრივი ან სულიერი ტკივილის განცდას, ისე მისი პიროვნული უფლებების ხელყოფას. ამასთან, არამატერიალური ზიანის არსებობის დადასტურება, მისი ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სირთულეს წარმოადგენს და კანონმდებლობით მისი ანაზღაურება უკავშირდება მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებს. სამოქალაქო კოდექსი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ადგენს კანონით მხოლოდ პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (413-ე მუხლი). თავის მხრივ, კანონით გათვალისწინებული შემთხვევები შეიძლება უკავშირდებოდეს პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და სხვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ პირის თავისუფლე-

ბის შეზღუდვის შედეგები შეიძლება დაუკავშირდეს სულიერ განცდებს და ფიზიკურ ტანჯვას. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები (კონვენციის მე-5 მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი) არ შეიცავენ პირდაპირ მითითებას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო საპროცესო მოქმედებების განხორციელებისა და უკანონო გადაწყვეტილების მიღების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლების თაობაზე, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებულ, ასანაზღაურებელ ზიანში მოაზრებულ უნდა იქნეს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი, რამდენადაც პირის მიმართ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უკავშირდება მისი საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვას. ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევაში, შეიძლება შეილახოს სუბიექტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რომლის დაცვის შესაძლებლობაც კანონით არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მემუვობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან). „...პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, სისხლის სამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ქმნის ერთგვარ დისკომფორტულ, სტრესულ სიტუაციას. არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვა..“ (სუს 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება). მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც (მაგ.: საქმეზე – „თეიმურაზიანი სომხეთის წინააღმდეგ“ (Teymurazyan v. Armenia), სასამართლოს განმარტებით, „...კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ის მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლებას ითვალისწინებს, ის ასევე მოიცავს კომპენსაციის უფლებას ნებისმიერი შფოთვისა და გაბრაზებისთვის, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს კონვენციის მე-5 მუხლის სხვა დებულებების დარღვევით..“).

საკაცაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ასკ-ის 166-ე, 173-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული დაკავების ფაქტისა და მარეაბილიტირებელი გარემოების (დადგენილების) არსებობა უდავოდ დასტურდება მოსარჩელე ლ. ბ-ის შემთხვევაში. ამავე გარემოებების არსებობა დადასტურებულია ასევე დ. გ-ასთან, ნ. ნ-ესთან და გ. რ-ასთან მიმართებაშიც, ასკ-ის 173-ე მუხლის საფუძველზე მიმდინარე სამართალდარღვევის საქმის წარმოების ეპიზოდში, კერძოდ:

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში, 04.07.2014წ., 23:50 საათზე, შსს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ადმინისტრაციული წესით დააკავა ლ. ბ-ი. ადმინისტრაციული დაკავების ოქმის თანახმად, ლ. ბ-ი იგინებოდა უმისამართოდ, არაერთგზის მონოდების მიუხედავად, არ ემორჩილებოდა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას, შეენწყვიტა აღნიშნული ქმედება. ადმინისტრაციული დაკავების ოქმი შედგენილ იქნა 05.07.2014წ., 00:40 საათზე. დაკავებულმა განმარტა, რომ არის საქართველოს პარლამენტის წევრი, რის გამოც, ოქმის შედგენა დროებით შეჩერდა. ლ. ბ-ის მიმართ 05.07.2014წ. შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №ბბ142901, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.07.2014წ. №4/4112-14 დადგენილებით ლ. ბ-ის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე მუხლების საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოება შეწყდა, სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

06.04.2016წ., 15:30 საათზე, შსს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს ნ. ნ-ე, დ. გ-ა და გ. რ-ა. ადმინისტრაციული დაკავების ოქმების მიხედვით, თბილისში, ...ის ქუჩა №7-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, ნ. ნ-ე, დ. გ-ა და გ. რ-ა იგინებოდნენ, ილანძლებოდნენ, არ ემორჩილებოდნენ პოლიციის თანამშრომელთა მონოდებას, შეენწყვიტათ შესაბამისი ქმედება. აღნიშნულთან დაკავშირებით, 14.04.2016წ. ნ. ნ-ის, გ. რ-ას და დ. გ-ას მიმართ შედგა №აკ000000874, №აკ000000876 და №აკ000000875 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის ფაქტზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.04.2016წ. დადგენილებით ნ. ნ-ე, დ. გ-ა და გ. რ-ა

ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის და სახდელის სახით, თითოეულს დაეკისრა ჯარიმა – 100 ლარის ოდენობით. ამავე დადგენილებით, ნ. ნ-ის, დ. გ-ას და გ. რ-ას მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, სამართალდარღვევის შემთხვევების არარსებობის გამო.

17.05.2017წ., 00:10 საათზე, ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე, შსს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორმა ადმინისტრაციული წესით დააკავა გ. რ-ა, ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე. ადმინისტრაციული დაკავების ოქმის მიხედვით, გ. რ-ა არ დაემორჩილა პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.05.2017წ. №4/4095-17 დადგენილებით გ. რ-ას მიმართ ასკ-ის 173-ე მუხლის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მითითებული მოსარჩელების მიმართ გამოტანილი, საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში არსებული დადგენილებები (ლ. ბ-ის მიმართ გამოტანილი 07.07.2014წ. დადგენილება; ნ. ნ-ის, დ. გ-ას და გ. რ-ას მიმართ გამოტანილი 18.04.2016წ. დადგენილება, ასკ-ის 173-ე მუხლის ნაწილში; გ. რ-ას მიმართ გამოტანილი 17.05.2017წ. დადგენილება) წარმოადგენს ამ პირების რეაბილიტაციის საფუძველს. დადგენილებებით უტყუარად დასტურდება სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტების არარსებობა, შესაბამისად, მოსარჩელების მიმართ ფორმალურად კანონიერად გამოყენებული ზემოქმედების ღონისძიება – დაკავება, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ. თავის მხრივ, დაკავების უკანონოდ მიჩნევა ადასტურებს, რომ მოსარჩელებს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შემზღუდავი ზემოქმედების ატანა მოუწიათ შესაბამისი თმენის ვალდებულების დაკისრების დასაბუთებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლიდან გამომდინარე, მითითებულ მოსარჩელებს უნდა აუნაზღაურდეთ მიყენებული არაქონებრივი ზიანი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების მიზნით, მოსარჩელეთა მხრიდან

„პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით საჩივრის წარუდგენლობა, გამოორიცხავს ადმინისტრაციული წესით დაკავებისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაუცველობას და შესაბამისად, უსაფუძვლოს ხდის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. ამასთან, „პოლიციის შესახებ“ კანონის 56.1 მუხლის თანახმად, პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიციელის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ ასკ-ის 166-ე, 173-ე მუხლების საფუძველზე მიმდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების პროცესში, მოსარჩელების – ლ. ბ-ის, ნ. ნ-ის, დ. გ-ას და გ. რ-ას მიმართ დაკავების ღონისძიება განხორციელდა ფორმალურად კანონიერი საპროცესო აქტების საფუძველზე, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებებით შეწყდა საქმეთა წარმოება, სამართალდარღვევის შემთხვევების არარსებობის გამო. ამდენად, დადგენილებებით დადასტურდა მოსარჩელეთა არაბრალეულობა და წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალური მართლზომიერების მიუხედავად, დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგოდ შედეგის არსებობა (უკანონო დაკავება) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, ვინაიდან დადგენილების გამოტანამდე ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, მიიჩნევიან უკანონოდ. რაც შეეხება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრების წესს, საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაკავების გასაჩივრებას და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება

ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, რაც იმთავითვე არ გამორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონობას, ან როდესაც სადავოდ არის ქცეული ადმინისტრაციული დაკავების პროცედურა და მისი უკანონობა დამოუკიდებლად წარმოადგენს დავის საგანს ისე, რომ არ უკავშირდება საქმეზე საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას – საქმის წარმოების შეწყვეტას.

მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტულ მოსარჩელეთა მიმართ სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული მარეაბილიტირებელი გარემოებები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტით გამოირიცხა მათი მხრიდან იმ ქმედებების ჩადენა, რომელთა აღკვეთის მიზანსაც ემსახურებოდა ადმინისტრაციული დაკავება. აღნიშნული კი, საკმარისია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის, შესაბამისი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარების აუცილებლობის გარეშე.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ პირთათვის ასანაზღაურებელი მორალური ზიანის მოცულობას: საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანის მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, თუმცა მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებას ასახავს. ანაზღაურების რეალური მოცულობა სასამართლოს შეხედულებით უნდა განისაზღვროს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, ასევე ობიექტური გარემოებები. მნიშვნელოვანია, რომ ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებით, არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება არა ეკვივალენტურობის პრინციპის, არამედ ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რამდენადაც მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. „...კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს..“ (სუს 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება). ამდენად, იმისათვის, რომ არ მოხდეს ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის დაუსაბუთებლად ხშირი გამოყენება და შენარჩუნდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობა, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, როგორც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ვალ-

დებულებითსამართლებრივი ნორმა, შესაბამისი მოთხოვნის უფლებას გამოაკლისის სახით უშვებს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებისთვის. სასამართლომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების ოდენობა უნდა დაადგინოს შემთხვევასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით და სამართლიანობის პრინციპის დაცვით, ამასთან, როგორც წესი, კომპენსაცია ასეთ შემთხვევაში ატარებს სიმბოლურ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სამი ფუნქცია აქვს: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. ამასთან, როგორც აღინიშნა, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობის მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ზიანის გამომწვევი ქმედების ხასიათი და სიმძიმეა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია საქმის ინდივიდუალურ გარემოებებთან.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ლ. ბ-ი ადმინისტრაციული წესით დააკავეს 04.07.2014წ., 23:50 საათზე. ადმინისტრაციული დაკავების ოქმი შედგენილ იქნა 05.07.2014წ., 00:40 საათზე, თუმცა ოქმის შედგენა შეჩერდა მას შემდეგ, რაც გამორკვეულ იქნა, რომ პირი სარგებლობდა საპარლამენტო იმუნიტეტით. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომლებმა ნ. ნ-ე, დ. გ-ა და გ. რ-ა დააკავეს 06.04.2016წ., 15:30 საათზე. ამასთან, საქმეში არსებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.06.2016წ. №4ა/385-16 დადგენილებით დადასტურებულ გარემოებად არის მიჩნეული, რომ აღნიშნულ პირებთან მიმართებაში საქმეზე წარდგენილი იყო 2016 წლის 6 აპრილით დათარიღებული ხელწერილები, პირველივე გამოძახებისთანავე მათი საპატრულო პოლიციაში გამოცხადების შესახებ, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სამივე პირთან მიმართებაში თავისუფლების შეზღუდვა მცირე დროის მონაკვეთით შემოიფარგლა. ასევე დაკავების პერიოდის ხანგრძლივობის სიმცირეს ადასტურებს გ. რ-ასთან მიმართებაში გამოვლენილი შემთხვევის მეორე ეპიზოდიც (დააკავეს 17.05.2017წ., 00:10 საათზე; დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქნა 17.05.2017წ.)

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული მოსარჩელების მიმართ გამოყენებული თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიების ნაკლებად ინტენსიური ხასიათის, ასევე თითოეულთან და-

კავშირებულ ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით (გ. რ-ასთან მიმართებაში დაკავების ღონისძიების გამოყენება სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტის ორ ეპიზოდში; ლ. ბ-თან მიმართებაში – ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიების გამოყენება იმუნიტეტით სარგებლობის პირობებში), მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიჩნეულ უნდა იქნეს: ლ. ბ-ის შემთხვევაში – 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, დ. გ-ას და ნ. ნ-ის შემთხვევაში – 70 (სამოცდაათი) ლარი, ხოლო გ. რ-ას შემთხვევაში – 140 (ას ორმოცი) ლარი, რამდენადაც მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოემვა ორი დამოუკიდებელი ფაქტის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ლ. ბ-ის მოთხოვნა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ემყარება არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მოხდა მისი უკანონო დაკავება (რასაც ადასტურებს მის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტა), არამედ მისი, როგორც პარლამენტის წევრის იმუნიტეტის საკითხის უგულვებლყოფა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზოგადად, იმუნიტეტის მქონე პირის დაკავებაც კი შესაძლებელია, თუ დაცულია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობები (კონსტიტუციის 39.2 მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს), თუმცა განსახილველი დავის ფარგლებს სცდება იმ საკითხის შეფასება, თუ რამდენად იქნა დაცული აღნიშნული პირის დაკავებისას კონსტიტუციით განსაზღვრული წესი. ადმინისტრაციული დაკავების პროცედურის კანონშესაბამისობის გადამოწმება დამოუკიდებელი შეფასების საგანია, რომელიც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის გზით უნდა განხორციელდეს. განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს კომპეტენციას სცდება მითითებული პროცედურის მართლზომიერების შემოწმება, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც განსახილველი დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადავო საკითხის სწორად გადანყვეტისათვის რელევანტურია ლ. ბ-ის დაკავების უკანონოდ მიჩნევა მის მიმართ მიმდინარე სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის გამო.

საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას,

რომ მოსარჩელები არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ როგორც ადმინისტრაციული ორგანოებისაგან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი), ისე იმ პირებისაგან, რომლებმაც უშუალოდ განახორციელეს მათ მიმართ ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევებში (166-ე, 173-ე მუხლები), სამართალდარღვევის ოქმისა და დაკავების ოქმის შედგენის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებს (ასკ-ის 239.13 მუხლი, 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ამასთან, „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, პოლიცია ფუნქციონირებს სამინისტროს სისტემაში, სადაც დასაქმებულნი არიან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წოდებების მქონე პირები, აგრეთვე სხვა საჯარო მოხელეები. პოლიციის სამსახურები სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებენ სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნურო დანესებულების სახით.

დადგენილია, რომ ლ. ბ-ის, დ. გ-ას, ნ. ნ-ის და გ. რ-ას ადმინისტრაციული დაკავება განახორციელეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, შესაბამისად, მათი მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობისას განხორციელებულ ქმედებაზე პასუხისმგებელია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია მოსარჩელეთა დაკავებას, ასევე, რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას, რომელიც მოსარჩელებს ზიანს მიაყენებდა.

რაც შეეხებათ მოპასუხედ დასახელებულ ფიზიკურ პირებს, მართალია, დაკავება უშუალოდ მათი მხრიდან განხორციელდა, თუმცა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისინი სახელმწიფოს სახელით მოქმედებდნენ. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განმტკიცებული პრინციპებიდან გამომდინარე, შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ სახელმწიფო ორგანოს, რომელშიც დასაქმებულია უშუალოდ ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შედგენაში მონაწილე თანამშრომელი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებულია საჯარო მოხელეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა, თუ ისინი მოქმედებდნენ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, თუმცა აღნიშნული თავად სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, რომ სათანადო საფუძვლების არსებობისას ზიანის ანაზღაურებით

გამონვეული ზარალი რეგრესის წესით მიიღოს შესაბამისი საჯარო მოხელისაგან. ამდენად, ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც იმთავითვე უზრუნველყოფს დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებას და წარმოშობს რეგრესულ მოთხოვნას საჯარო მოხელის მიმართ, თუკი ეს უკანასკნელი მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს მოპასუხე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთს ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს, თუმცა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მეორე მხარე არ თავისუფლდება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულებებისაგან, რომლებზეც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას თუ შესაგებელს. ამდენად, კანონის მითითებული დანაწესი მოსარჩელეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, ამტკიცოს მის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა/კანონშესაბამისობა.

საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეების – რ. მ-ის, ლ. რ-ას, ვ. მ-ას, ზ. ხ-ას, ჯ. ს-ის, ლ. ჭ-ის, გ. კ-ის, რ. კ-ის, ბ. შ-ას და დ. გ-ას მიმართ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა 21.05.2016წ. შეადგინა №ეი..., №ეი..., №ეი..., №ეი..., №ეი..., №ეი..., №ეი..., №ეი..., №ეი..., №ეი... საჯარიმო ქვითრები, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. აღნიშნული საჯარიმო ქვითრები გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.07.2016წ. №4/4002-16 დადგენილებით, შესაბამისი ქმედების ჩადენის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. ამასთან, სასამართლომ შეწყვიტა წარმოება ვ. მ-ას და ჯ. ს-ის საჩივარზე, მათი ადმინისტრაციული წესით დაკავების უკანონოდ ცნობის ნაწილში, იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ 09.03.2017წ. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ბ. შ-ას მიმართ შეადგინა №აკ000020961 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹.4 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.04.2017წ. №4/1827-17 დადგენილებით ბ. გ-ს ძე შ-ას მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

12.07.2015წ. პატრულ-ინსპექტორმა რ. მ-ისა და ზ. ხ-ას მიმართ შეადგინა №აკ000004314, №აკ000004526 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150.2 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. გორის რაიონული სასამართლოს 25.08.2015წ. დადგენილებებით შეწყდა ზ. ხ-ას და რ. მ-ის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევების დაუდასტურებლობის გამო.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულ მოსარჩეელებთან მიმართებაში დასტურდება სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა, ოქმის შედგენა და სასამართლოს დადგენილებების არსებობა, რომლებითაც არ დადასტურდა მათ მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენა, თუმცა საქმეს არ ერთვის მითითებულ ეპიზოდებში უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომლების მიერ მათი ადმინისტრაციული წესით დაკავების ამსახველი ოქმები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, ისე მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისი ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მოცემულ შემთხვევაში, მითითებულმა მოსარჩეეებმა ვერ წარმოადგინეს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები. მათი მოთხოვნა ემყარება უკანონო დაკავებიდან გამომდინარე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, თუმცა სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება შესაბამის ეპიზოდებში დაკავების ფაქტები. წარმოდგენილი არ არის დაკავების ამსახველი ოქმები. მოპასუხეთა მხრიდან უარყოფილ იქნა აღნიშნული მოსარჩეეების დაკავების ფაქტი. ამასთანავე, მათი დაკავების შესახებ მითითებას არ შეიცავს სასამართლოს დადგენილებები. ამდენად, მოსარჩეეების – რ. მ-ის, ლ. რ-ას, გ. მ-ას ზ. ხ-ას, ჯ. ს-ის, ლ. ჭ-ის, გ. კ-ის, რ. კ-ის, ბ. შ-ას და დ.

გ-ას (საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ეპიზოდში) მოთხოვნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ განსახილველი საკასაციო საჩივრის ფარგლები არ მოიცავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობის შეფასებას მოსარჩელების – მ. ბ-ისა და ჯ. ჯ-ის ნაწილში (მ. ბ-ს საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.04.2020წ. განჩინებით ჯ. ჯ-ის ნაწილში საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა, დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37.1 მუხლის თანახმად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

ამავე კოდექსის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება იმ სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55.3 მუხ-

ლიდან გამომდინარე, ვინაიდან ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე განეულ ხარჯებს სახელმწიფო აანაზღაურებს.

რაც შეეხება მოთხოვნას სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების თაობაზე:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლი განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მარწმუნებელსა და ადვოკატს შორის წარმომობილი ურთიერთობის მატერიალური საფუძველია დავალების ხელშეკრულება (სკ-ის 709-ე მუხ.), მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სკ-ის 710-ე მუხ.). განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოცემულ შემთხვევაში პრეზიუმირებულია, ვინაიდან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხოლო ადვოკატის მომსახურების ღირებულება საპროცესო კანონმდებლობის თანახმად წაგებულ მხარეს უნდა დაეკისროს. იურიდიული მომსახურების განევის შემთხვევაში ივარაუდება მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, სანინააღმდეგო საჭიროებს დამტკიცებას. ამასთან, მინდობილობა და დავალების ხელშეკრულება ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტებია, შესაბამისად, არ გამოირიცხება მათი ერთ დოკუმენტში – მინდობილობაში მოქცევა. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 709-722-ე მუხლები) გათვალისწინებული არ არის სპეციალური მოთხოვნა ხელშეკრულების ფორმის თაობაზე, თუმცა დაცული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის მოთხოვნა, მარწმუნებლის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების მინდობილობის გაცემის შესახებ, რათა წარმომადგენელმა შეძლოს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეს ერთვის 30.11.2015წ. სანოტა-

რო წესით დამონმებული, 5 წლის ვადით გაცემული რწმუნებულება, რომლითაც ი. პ.-ს გ. რ.-ასაგან მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დაიცვას მისი ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში. რწმუნებულება შეიცავს მითითებას, მინდობილი მოქმედების შესასრულებლად განეული აუცილებელი ხარჯების რწმუნებულისათვის ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე. საქმეზე ასევე წარმოდგენილია 23.03.2018წ. სანოტარო წესით დამონმებული, განუსაზღვრელი ვადით გაცემული რწმუნებულება, რომლითაც ი. პ.-ს დ. გ.-ასაგან მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დაიცვას მისი ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში. რწმუნებულებაში მითითებულია, რომ დავალებების შესრულების სანაცვლოდ, მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს განეული სამუშაოს საზღაური, შეთანხმებისამებრ.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარეობს, რომ ადვოკატის მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საკითხი, მოსარჩელე გ. რ.-ას შემთხვევაში, სარჩელის აღდგრისთანავე დაისვა სასამართლოს წინაშე, ხოლო დ. გ.-ას შემთხვევაში – საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის ეტაპზე. საქმის მასალებით დასტურდება ადვოკატის მიერ მითითებული მოსარჩელეებისათვის იურიდიული მომსახურების განევა შესაბამისი ინსტანციის სასამართლოებში. ამდენად, საკასაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს არა მარწმუნებლების მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების საკითხზე (რაც საქმის მასალებით არ დასტურდება), არამედ საქმის მასალებით დადასტურებულ, ადვოკატის მიერ მარწმუნებლისათვის განეული მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საკითხზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, ზოგადი წესის მიხედვით ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა (სუს 11.02.08წ. №ას-792-1114-07 განჩინება), თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება განეულია. იურიდიული მომსახურების ანაზღაურების ამსახველი ქვითრის, საგადახდო დავალების შესრულების დოკუმენტაციის წარუდგენლობა, არ გამოორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (სუს 09.02.2012წ., №ბს-1330-1315(კ-11); 30.10.15წ. №ას-444-423-2015; 25.03.2016წ. №ას-12-12-

2016წ., 17.01.2019წ. №ბს-809-805(3კ-17) გადაწყვეტილებები).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ამასთან, საპროცესო ხარჯის ოდენობა უნდა განისაზღვროს საქმეზე დამდგარი საბოლოო შედეგის მიხედვით, სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგის გათვალისწინებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არსებობს საკასაციო საჩივრის და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, შესაბამის ნაწილში არსებობს ასევე წარმომადგენლობაზე განეული ხარჯის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების წინაპირობაც. ამდენად, საქმის სირთულისა და მნიშვნელობის, წარმომადგენლობის ინტენსივობის, ინსტანციურობის, დავის გადაწყვეტის შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს უნდა დაეკისროს იურიდიული მომსახურების ანაზღაურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103.1 მუხლის შესაბამისად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (სსკ-ის 102-ე მუხლი).

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს მოთხოვნას, რომელიც შეეხება მოწინააღმდეგე მხარისათვის მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამონმებისათვის გაღებული ხარჯის ანაზღაურების დაკისრებას. კასატორების მიერ მითითებული დოკუმენტებიდან, საქმის მასალებით დასტურდება რამდენიმე მოსარჩელის მიერ ადვოკატებზე გაცემული რწმუნებულებების სანოტარო წესით დამონმება, თუმცა არ დასტურდება, რომ მინდობილობები მხოლოდ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის წარმოების მიზნით არის გაცემული, შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ვერ იქნება მიჩნეული უშუალოდ განსახილველ საქმეზე განეულ ხარჯად.

რაც შეეხება მოსარჩელეთა წარმომადგენლების გადაადგილების გამო ტრანსპორტირებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურებას – საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების ყვე-

ლა ეტაპზე დ. გ-ას და გ. რ-ას წარმომადგენლის მონაწილეობა, ადასტურებს მისი გადაადგილებისათვის გარკვეული ხარჯის განევას, თუმცა ამ საფუძვლით საპროცესო ხარჯის სახით 100 ლარის ანაზღაურების მოთხოვნა დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მგზავრობის მანძილისა და ტრანსპორტის სავარაუდო სახეობის გათვალისწინებით, ამასთან, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ობიექტური მტკიცებულებების წარმოდგენლობის გამო, შეუძლებელია თანხის კონკრეტული ოდენობის დადგენა, მითითებული ხარჯის გონივრული ოდენობა უნდა განისაზღვროს 50 ლარით.

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორების შუამდგომლობას, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე (20 ლარი), საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე, წერილობით განცხადებებზე, შუამდგომლობებზე დახარჯულ ქალაქის ფურცლებზე (70 ლარის), მათ ასლებზე (40 ლარი), აკინძვასზე (0,10 ლარი) განეული ხარჯის, ასევე საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის (60 ლარი), მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯის (10 ლარის), აველანტების და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისთვის და მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე განეული გაზრდილი დანახარჯების (100 ლარი), სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის (4 000 ლარი), სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ხარჯის (500 ლარი) მოპასუხეებისათვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად) განეულ (გასანე) ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა. საკასაციო პალატა თვლის, რომ რამდენადაც მოცემული საქმე საკასაციო სასამართლომ განიხილა სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, უსაფუძვლოა მოთხოვნა ტრანსპორტის, კვების, სასამართლოში დროის დაკარგვის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. რაც შეეხება ქალაქის ფურცლებთან, მათ ასლებთან, მასალების აკინძვასთან და საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებულ დანახარჯის ანაზღაურებას, კასატორს არ წარმოდგენია ამ მიმართულებით დანახარჯების განევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია. ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯის მოპასუხე მხარისათვის დაკისრების თაობაზე, რამდენა-

დაც სასამართლოსგარეშე ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობაზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება სასამართლოში საქმის წარმოების პერიოდში მარნმუნებლის სახელით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაურკვეველია კასატორების მოთხოვნა, საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საბანკო სერვისით მომსახურებაზე განეული 1 ლარის მონინაალმდევე მხარისათვის დაკისრების თაობაზე, რამდენდაც განსახილველ საქმეზე, კასატორები კანონის საფუძველზე გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, შესაბამისად, საქმეზე არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, შესაბამისი საბანკო მომსახურების განვეისათვის გადახდილი თანხის თაობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404.2 მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მართ კერძო საჩივრის შეტანა.

კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.09.2018 საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც მათ უარი ეთქვათ საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე წარდგენილი მტკიცებულების დართვაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

კასატორების განმარტებით, საქმის განხილვის სხვა ეტაპზე მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, წარედგინათ ადმინისტრაციული დაკავების დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნულის შეუძლებლობის თაობაზე სათანადო დასაბუთებას არ შეიცავს არც სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობა მტკიცებულების დართვის შესახებ და არც საკასაციო საჩივრის ის ნაწილი, რომელიც შესაბამისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ 20.09.2018 საოქმო განჩინების გაუქმებას შეეხება. რაც შეეხება კასატორების მითითებას, სააპელაციო სასამარ-

თლოს მხრიდან ასკ-ის მე-14, მე-19 მუხლების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე – საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, საჭიროებისამებრ, თავისი ინიციატივით შეაგროვოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ 20.09.2018 განჩინების მიღებით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონით დადგენილი მოთხოვნები. განჩინება მტკიცებულების დართვაზე უარის შესახებ დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასევე უსაფუძვლოა კასატორების მოთხოვნა უსწორობის გასწორების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.2018წ. განჩინების გაუქმების თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან ამკარა არითმეტიკული შეცდომები. გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.12.2018წ. განჩინების მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა გასწორდეს 27.12.2018წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში დაშვებული უსწორობა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში, „ვ. გ-ას“ ნაცვლად, მითითებულ უნდა იქნეს „ვ. მ-ა“. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.12.2018წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტით დგინდება, რომ მასში რეალურად არ არის დაშვებული უსწორობა, მოსარჩელის – ვ. მ-ას სახელი და გვარი მითითებულია სწორად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარისათვის სასამართლო აქტის გასაჩივრების უფლების მინიჭება მისი უშუალო ინტერესის დაცვის მიზანს ემსახურება. თავის მხრივ, მართლმსაჯულების საქმიანობა მიმართულია დარღვეული უფლების აღდგენისა და პირის კანონიერი ინტერესის დაცვისაკენ. საკასაციო პალატა თვლის, რომ მართალია, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების მიღების საჭიროება, თუმცა იმ პირობებში, როდესაც 27.12.2018წ. განჩინების არსებობა უშუალოდ არ ახდენს გავლენას კასატორების ინტერესებზე, არ ცვლის მათ სამარ-

თლებრივ მდგომარეობას, მხოლოდ ზოგადი ხასიათის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიღებას არ გააჩნდა სათანადო საფუძველი, ვერ შექმნის მისი გაუქმების წინაპირობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. რ. მ-ის, ლ. რ-ას, ვ. მ-ას, ზ. ხ-ას, ჯ. ს-ის, ლ. ქ-ის, გ. კ-ის, რ. კ-ის და ბ. შ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ლ. ბ-ის, დ. გ-ას, ნ. ნ-ის და გ. რ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება ლ. ბ-ის, დ. გ-ას, ნ. ნ-ის და გ. რ-ას ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ლ. ბ-ის, დ. გ-ას, ნ. ნ-ის და გ. რ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ლ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გ. რ-ას სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 140 (ას ორმოცი) ლარის ოდენობით;

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით;

8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით;

9. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწ-

ყვეტილება დარჩეს უცვლელად;

10. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის და 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებები;

11. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დაეკისროს იურიდიული მომსახურებისათვის განეული საპროცესო ხარჯის ანაზღაურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით და ტრანსპორტირებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

12. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების საჭიროება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-568(2კ-კს-20)

02 ივნისი, 2021წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შედეგად მ. ა-მა მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის მ. ა-ის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების დავალება, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს №1110 ბრძანების ბათილად ცნობა.

დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოვალე

ლ. კ-ისათვის გამარტივებული წარმოების წესით თანხის დაკისრების მოთხოვნით. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 26.02.2014წ. ბრძანებით ლ. კ-ს მ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 18360 ლარის გადახდა. 20.11.2014წ. მ. ა-მა მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს იძულებითი აღსრულების მოთხოვნით. 25.11.2014წ. მოვალე ლ. კ-ს გაეგზავნა წინადადება გადანყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რომლის მიხედვით ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების მიზნით მოვალეს განესაზღვრა 7-დღიანი ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ლ. კ-ი გაფრთხილებულ იქნა ქონების დაყადაღების და ამ ქონების დაყადაღებიდან 1 თვის ვადაში საჯარო აუქციონის გამართვის შესახებ.

26.11.2014წ. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ლ. კ-ს მიმართა დაყადაღებული ქონების ნებაყოფლობით წარმოდგენის შესახებ, სადაც ასევე განმარტებულია, რომ მიმდინარე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ყადაღა დაედო მის კუთვნილ ავტომანქანას, 27.11.2014წ. გამოქვეყნდა საჯარო შეტყობინება ლ. კ-ის მიმართ გადანყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების მოთხოვნით. 10.12.2014წ. აღსრულების ეროვნულ ბიუროს განცხადებით მიმართა შპს „ე...“-მა და როგორც პირველი რიგის მოგირავენემ, მოითხოვა ლ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ავტომობილზე რეგისტრირებული ყადაღის, შეზღუდვის და ძებნა-დაკავების გაუქმება, რაც დაკმაყოფილდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ. მოსარჩელემ 16.03.2015წ. აღნიშნული ქმედება გაასაჩივრა. აღსრულების ეროვნული ბიუროს 24.03.2015წ. ბრძანებით უარი ითქვა საჩივრის განხილვაზე.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ლ. კ-ის კუთვნილ ავტომობილზე ყადაღის მოხსნის შედეგად მოსარჩელემ დაკარგა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოვალის ქონებიდან, რადგან მოვალეს გარდა მანქანისა, თავის სახელზე რიცხული ქონება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა თანხის ამოღება, არ გააჩნია.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ლ. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ ავტომობილზე ყადაღა მოხსნილი იქნა პირველი რიგის მოგირავენის, შპს „ე...“-ის მოთხოვნით. ყადაღის მოხსნის პერიოდისათვის მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება მოსარჩელის სასარგებლოდ. ყადაღის მოხსნის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას აღმასრულებელი ვალდებული იყო შეემონებინა მანქანის საფუძველზე მოგირავენის მოთხოვნის დაკმაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმასრულებელს უნდა ემოქმედა მოსარჩელის ინტერესების შესაბამისად და ყადაღა დაედო ლ. კ-ის სახელზე რიცხულ ავტომობილზე მოსარჩელის სასარგებლოდ, რითაც უზრუნველყოფილი იქ-

ნებოდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. შპს „ე...“-ის მოთხოვნით ავტომობილზე ყადაღის მოხსნის შემდეგ არ განხორციელებულა მისი საკუთრებაში მიღება ან რეალიზაცია, შესაბამისად, არ შესრულდა ყადაღის მოხსნის მიზანი, რაც მხარის არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებს. ყადაღის მოხსნის შემდეგ არ განხორციელებულა შესაბამისი მოქმედებები და ყადაღა მოხსნილ იქნა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიდგომოდა მოსარჩელეს. აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებისათვის წინასწარ იყო სავარაუდო, რომ ლ. კ-ის სახელზე რიცხულ ავტომობილზე ყადაღის მოხსნის შემთხვევაში, მ. ა-ის მოთხოვნა იქნებოდა აღუსრულებელი, რის გამოც ამკარაა, რომ ზიანი მათთვის წინასწარ იყო სავარაუდო და ზიანის დადგომა სწორედ მათმა ქმედებამ გამოიწვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.01.2018წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული შპს „ე...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.01.2018წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. ა-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირებად ლ. კ-ისა და ლ. ბ-ის ჩაბმის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.05.2018წ. გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სასაქონლო ზედნადებების თანახმად 2012 წლის დეკემბრისა და 2013 წლის იანვრის თვეებში შპს „...ამ“ ლ. კ-ს მიანოდა სხვადასხვა სახეობის თევზი, რომლის საფასურის გადაუხდელობის გამო შპს „...ას“ წარმომადგენლის მ. ა-ის განცხადების საფუძველზე სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დაიწყო გამარტივებული წარმოება ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, აპლიკანტი ითხოვდა წარდგენილი სასაქონლო ზედნადებების გათვალისწინებით ი/მ ლ. კ-ისათვის 18 360 ლარის დაკისრებას. ამასთან, მას არ მოუთხოვია რესპონდენტის – ი/მ ლ. კ-ის ქონებაზე ყადაღის დადება. სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ლ. კ-ს 27.01.2014წ. გაუგზავნა „შეტყობინება გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ“, რომელიც ადრესატს ჩაბარდა პირადად. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს 26.02.2014წ. №... ბრძანებით ლ. კ-ს დაეკისრა დავალიანების გადახდა 18 360 ლარის ოდენობით შპს „...ას“ სასარგებლოდ.

შპს „ე...“-სა და ლ. კ-ს შორის 30.09.2014წ. დაიდო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება № 110466/თ, რომლის საფუძველზე შპს „ე...“-მა (გამსესხებელი, რომელიც გირავნობის მიზნებისათვის იმავდროულად წარმოადგენს მოგირავნეს) ლ. კ-ს (მსესხებე-

ლი, რომელიც გირავნობის მიზნებისათვის იმავდროულად წარმოადგენს დამგირავებელს) სესხის სახით გადასცა 3 000 აშშ დოლარი და ამასთან, სესხის დაბრუნებისა და სარგებლის გადახდის, აგრეთვე შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად („უზრუნველყოფილი მოთხოვნა“), ამ უკანასკნელმა კომპანიის სასარგებლოდ გირავნობით დატვირთა მის საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომლის მახასიათებლებია: მარკა, მოდელი: ტოიოტა ...; სარეგისტრაციო ნომერი: ...; გამოშვების წელი: 2002; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №: ...; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AV....

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 07.10.2014წ. ცნობით დგინდება ამავე მონაცემების მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე, 30.09.2014წ. №110466/თ სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გირავნობის უფლების რეგისტრაცია 07.10.2014წ..

შპს „...ას“ წარმომადგენელმა მ. ა-მა 20.11.2014წ. მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 26.02.2014წ. №... ბრძანების (სააღსრულებო ფურცლის) აღსრულების მოთხოვნით, კერძოდ, კრედიტორის მოთხოვნას შეადგენდა ლ. კ-ისთვის 15 855 ლარის გადახდის დაკისრება. აღნიშნული განცხადების საფუძველზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 25.11.2014წ. დაიწყო სააღსრულებო საქმის წარმოება (№A14086506). სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 25.11.2014წ. №A14086506-004 მიმართვის საფუძველზე ლ. კ-ი დარეგისტრირდა მოვალეთა რეესტრში. ამავე დღეს დაყადაღდა ლ. კ-ის საბანკო ანგარიშები ყველა საბანკო დაწესებულებაში და ლ. კ-ს გაეგზავნა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. მითითებული წინადადების ლ. კ-ისთვის ჩაბარების შეუძლებლობის გამო თბილისის სააღსრულებო ბიუროს 27.11.2014წ. №A14086506-009/002 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ საჯარო შეტყობინების გზით გავრცელდა 01.12.2014წ..

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 25.11.2014წ. №A14086506-007/001 მიმართვის შესაბამისად, ლ. კ-მა ამავე ბიუროს აცნობა, რომ მის სახელზე ირიცხება ავტომანქანა, რომელიც დაგირავებულია, არ ფლობს აქციას/წილს რომელიმე სანარმოში, არ გააჩნია მოთხოვნები მესამე პირების მიმართ, არ ეკუთვნის ქონება არავისგან და ქირით ცხოვრობს მისა-

მართზე: ქ. თბილისი,ის ქ. №19.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 26.11.2014წ. №A14086506-008/001 მიმართვის თანახმად №A14086506 სააღსრულებო საქმის წარმოების ფარგლებში ყადაღა დაედო ლ. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ ავტომანქანას.

შპს „ე...“-ის წარმომადგენელმა, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც პირველი რიგის მოგირავნემ, 10.12.2014წ. განცხადებით მოითხოვა ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული ავტომობილზე რეგისტრირებული ყადაღის, შეზღუდვის და ძებნა-დაკავების მოხსნა.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 01.04.2015წ. №A14086506-012/006, №A14086506-012/005 წერილით სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ეთხოვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19⁴ მუხლის შესაბამისად, არ გაავრცელოს მოვალეთა რეესტრი ლ. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე.

2015 წლის აპრილის თვის მდგომარეობით, ლ. კ-მა დაფარა შპს „ე...“-თან 30.09.2014წ. დადებული №110466/თ სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მიერ გაცემულ ცნობებზე, რომელთა თანახმად ლ. კ-ის საკუთრებად ავტომობილი ფიქსირდებოდა 2012 წლის 28 აგვისტოდან 2015 წლის 29 ივნისამდე, ხოლო ლ. ბ-ის საკუთრებად ფიქსირდებოდა 2015 წლის 29 ივნისიდან 2015 წლის 22 დეკემბრამდე. 2015 წლის 22 დეკემბრიდან მანქანა გ. ქ-ის საკუთრებაა. ამასთან, ავტომანქანაზე შეზღუდვა მოიხსნა 22.12.2015წ..

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 17.12.2014წ. №3507 ბრძანებით დაკმაყოფილდა შპს „...ას“ წარმომადგენლის მ. ა-ისა და ლ. კ-ის 12.12.2014წ. ერთობლივი განცხადება ლ. კ-ზე დაკისრებული თანხის 2014 წლის დეკემბრის თვიდან 2015 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით განწესებასთან დაკავშირებით. აღსრულების საფასურის ჩათვლით მოვალის დავალიანებამ შეადგინა 16 964,85 ლარი. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 03.02.2015წ. №363 ბრძანებით მ. ა-ის თანხმობის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდა მოვალის ლ. კ-ის 27.01.2015წ. განცხადება მოვალის მიერ ამავე ბიუროს 26.02.2014წ. №... გადახდის ბრძანებით მასზე დაკისრებული თანხისა და აღსრულების საფასურის განაწილვადების თაობაზე. აღსრულების საფასურის ჩათვლით მოვალის დავალიანებამ შეადგინა 16 964,85 ლარი, თანხა 2015 წლის იანვრიდან დეკემბრის თვის

ჩათვლით განწილვადდა, ხოლო განწილვადების პერიოდში №A14086506 სააღსრულებო საქმეზე აღსრულება შეჩერდა.

განწილვადების თაობაზე შეთანხმების შეუსრულებლობის გამო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ 10.12.2014წ. შედგა ნივთის აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტი №50303, რომლის თანახმად აღწერილი იქნა და დაყადაღდა ლ. კ-ის სარეცხი მანქანა, ლეპტოპი და ტელევიზორი.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ 04.01.2015წ. ლ. კ-ს გაეგზავნა №A14086506-026 გაფრთხილება დაყადაღებული მოძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

21.01.2015წ. მოვალის მისამართიდან გამოტანილი იქნა დაყადაღებული ტელევიზორი და ლეპტოპი, ხოლო სარეცხი მანქანა დარჩა მოვალეს, შეფასების თანხით გამოსყიდვით. ყადაღის აქტი მითითებული ლეპტოპი დაზიანების გამო არ განთავსდა საჯარო აუქციონზე, ხოლო ტელევიზორი საჯარო აუქციონზე გასხვისდა 40 (ორმოცი) ლარად. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართებით დგინდება, რომ №A14086506 სააღსრულებო საქმის ფარგლებში აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობა შეადგენდა 16 964,85 ლარს, ხოლო უკვე აღსრულებული მოთხოვნის ოდენობა – 333,9 ლარს.

შპს „...ას“ წარმომადგენელმა მ. ა-მა 16.03.2015წ. №8315 საჩივრით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და მოითხოვა მისი თანხმობის გარეშე ლ. კ-ის კუთვნილ ავტომანქანაზე ყადაღის მოხსნით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 24.03.2015წ. №1110 ბრძანებით შპს „...ას“ წარმომადგენელს მ. ა-ს 16.03.2015წ. №8315 საჩივრის განხილვაზე ეთქვა უარი, საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის გასვლის გამო.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 01.10.2015წ. №90491 გადაწყვეტილებით მ. ა-ს უარი ეთქვა აღმასრულებლის ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობის მოტივით.

შპს „...ას“ დირექტორის ზ. ა-ის 20.01.2016წ. №1 ცნობით დგინდება, რომ ი/მ ლ. კ-ს შპს „...ას“ მიმართ დებიტორული დავალიანება არ ერიცხება, მასზე 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით რიცხული დავალიანების თანხა – 17 841,70 ლარი დაიფარა მ. ა-ის მეშვეობით.

საქალაქო სასამართლომ სარჩელის უარყოფის საფუძვლად მი-

უთითა შემდეგ გარემოებებზე: მოსარჩელე ითხოვს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად განუხორციელებლობით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, მოპასუხის მიერ მოვალის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ყადაღისაგან გათავისუფლდა მოსარჩელის თანხმობის გარეშე. აღნიშნულის შედეგად კი მოვალემ ავტოსატრანსპორტო საშუალება გაასხვისა, რითაც შეუძლებელი გახადა მ. ა-ის მიმართ არსებული მისი ვალდებულების შესრულება – თანხის გადახდა. სასამართლომ მიუთითა, რომ არ დასტურდებოდა ზიანის ანაზღაურებისთვის სავალდებულო წინაპირობების არსებობა, კერძოდ, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁴ მუხლის შესაბამისად, წარმოების დაწყების საფუძველია დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემას. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, თუ აპლიკანტი ითხოვს მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებას, მან უნდა მიუთითოს რესპონდენტის ქონება, ქონების საიდენტიფიკაციო მარკენებლები და გადაიხადოს ასეთი ღონისძიებისათვის განსაზღვრული საფასური. ამასთან, ამავე საკანონმდებლო აქტის 91¹⁰ მუხლი ადგენს, რომ აპლიკანტის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით აღსრულების ეროვნული ბიურო მარეგისტრირებელ ორგანოში რესპონდენტის დარეგისტრირებულ ქონებას დაადებს ყადაღას ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში: ა) აპლიკანტი ითხოვს მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით რესპონდენტის ქონებაზე ყადაღის დადებას; ბ) აპლიკანტი ითხოვს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას და საგარანტიო თანხის სახით შეტანილი თანხა აკმაყოფილებს აღსრულების წინასწარი საფასურისათვის გათვალისწინებულ ოდენობას; გ) აპლიკანტი თავად მიუთითებს, თუ რესპონდენტის რომელ ქონებაზე უნდა იქნეს გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება; დ) აპლიკანტს გადახდილი აქვს ყადაღის დადებისათვის გათვალისწინებული საფასური.

სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91¹⁰ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია ყადაღის გაუქმების საფუძველები, თუმცა აღ-

ნიშნული არ გულისხმობს გამარტივებული წარმოების განხორციელების ფარგლებში ამავე საკანონმდებლო აქტით დადგენილი ზოგადი წესების უფლებელყოფის შესაძლებლობას, კერძოდ, ისეთი დებულებების გათვალისწინებაზე უარის თქმას, რაც დადგენილია ამავე საკანონმდებლო აქტის 40-40¹ მუხლებით. 40¹ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულია, რომ არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ იძულებითი აღსრულების განხორციელებისას, თუ მოვალის მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ამ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებისა, მოგირავნე განაცხადებს ამ ქონებაზე თავის უფლებას და აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს გირავნობის უფლების დამადასტურებელ ამონაწერს შესაბამისი რეესტრიდან, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებას ყადაღისაგან ათავისუფლებს. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში ყადაღა გამოყენებული იქნა გამარტივებული წარმოების ფარგლებში, მოპასუხე არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული იყო მოგირავნის მოთხოვნის საფუძველზე კანონის 40¹ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ყველა გარემოების არსებობის შემთხვევაში, მიელო გადაწყვეტილება ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ.

სასამართლომ მიუთითა სკ-ის 255-ე მუხლით განსაზღვრულ გირავნობის 2 სახეზე: მფლობელობითი გირავნობა და რეგისტრირებული გირავნობა. რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. გამარტივებული წარმოების ფარგლებში ყადაღის გამოყენების შემთხვევაშიც აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ, თუკი სახეზეა კანონის 40¹ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ყველა გარემოება, რაც განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ განხორციელა. კერძოდ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 26.02.2014წ. №... ბრძანებით ლ. კ-ს დაეკისრა 18 360 ლარის გადახდა შპს „...ას“ სასარგებლოდ. თუმცა მოგვიანებით, დავალიანების თანხა 17 841,70 ლარი საზოგადოების წინაშე გადაფარა მ. ა-მა. ლ. კ-ის საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებაზე შპს

„ე...“-სა და ლ. კ-ს შორის დადებული 30.09.2014წ. №110466/თ სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, 07.10.2014წ. დარეგისტრირდა გირავნობის უფლება.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 26.02.2014წ. №... ბრძანების საფუძველზე, 25.11.2014წ. დაიწყო სააღსრულებო საქმის წარმოება №A14086506 და აღმასრულებლის შესაბამისი მიმართვების საფუძველზე ლ. კ-ი დარეგისტრირდა მოვალეთა რეესტრში, ყადაღა დაედო მის საბანკო ანგარიშებს ყველა საბანკო დაწესებულებაში და მის კუთვნილ ავტომანქანას. შპს „ე...“-ის წარმომადგენელმა 10.12.2014წ. განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და როგორც უზრუნველყოფილმა კრედიტორმა – მოგირავნემ მოითხოვა ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის ყადაღისაგან გათავისუფლება, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა 14.12.2014წ.. მიუხედავად იმისა, რომ ლ. კ-ის კუთვნილი ავტომანქანა გათავისუფლდა ყადაღისაგან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19⁴ მუხლით გათვალისწინებული საფუძველების არარსებობის გამო, ავტოსატრანსპორტო საშუალება მოვალეთა რეესტრის შეზღუდვისაგან არ გათავისუფლებულა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მონაცემებით ლ. კ-ის საკუთრებაში ავტოსატრანსპორტო საშუალება ირიცხებოდა 2012 წლის 28 აგვისტოდან 2015 წლის 29 ივნისამდე, ხოლო შემდგომ ჯერ ლ. ბ-ის, ხოლო მოგვიანებით გ. ქ-ის საკუთრებაში გადავიდა. ავტომანქანაზე შეზღუდვა მოიხსნა 22.12.2015წ..

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ყადაღისაგან კანონით დადგენილი წესით გათავისუფლდა.

სასამართლომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების შეფასების მიზნით მიუთითა, რომ შპს „ე...“-სა და ლ. კ-ს შორის 30.09.2014წ. სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად რეგისტრირებული გირავნობა იქნა გამოყენებული. თანხის დაფარვის ვადაგადაცილების გამო, შპს „ე...“-მა რეგისტრირებული მოგირავნის უფლება გამოიყენა და ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება მოითხოვა, რაც დაკმაყოფილდა, თუმცა გირავნობის საგანი მოვალეთა რეესტრის ვალდებულებისაგან არ გათავისუფლდა. ვინაიდან ლ. კ-მა მასზე რიცხული დავალიანება შპს „ე...“-ის მიმართ დაფარა, შპს „ე...“-ს გირავნობის საგნის რეალიზაცია საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აღარ დასჭირდა.

სააღსრულებო წარმოება, რა დროსაც ლ. კ-ის ავტოსატრანსპორტო საშუალება ყადაღისაგან გათავისუფლდა, არა მ. ა-ის, არამედ შპს „...ას“ სასარგებლოდ მიმდინარეობდა. შესაბამისად, 26.11.2014წ. ყადაღა შპს „...ას“ სასარგებლოდ განხორციელდა, და არა მ. ა-ის უფლების დასაცავად. მოგირავნის შეტყობინება ლ. კ-ის ავტოსატრანსპორტო საშუალების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე 10.12.2014წ. განხორციელდა, ხოლო ლ. კ-ისა და შპს „...ას“ ერთობლივი განცხადება დავალიანების განაწილვადების თაობაზე თბილისის სააღსრულებო ბიუროს 12.12.2014წ. წარედგინა. ამდენად, ლ. კ-ის ავტოსატრანსპორტო საშუალების ყადაღისაგან გათავისუფლება მაშინ მოხდა, როდესაც ჯერ კიდევ აღსრულება შპს „...ას“ სასარგებლოდ ხორციელდებოდა. მ. ა-მა უფლება მას შემდეგ მოიპოვა, რაც სააღსრულებო ბიუროს მიერ ლ. კ-ის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღა დიდი ხნის მოხსნილი იყო. მას შემდეგ, რაც მ. ა-მა ლ. კ-ის ვალდებულება დაფარა, მას ლ. კ-ის ქონებაზე მის სასარგებლოდ არ მოუთხოვია ქონებაზე ყადაღის დადება. ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება სადავო ავტომანქანის ყადაღისგან გათავისუფლებისათვის მოსარჩელის თანხმობის საჭიროების თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ყადაღისაგან კანონის მოთხოვნათა დაცვით გათავისუფლდა და მ. ა-ს ყადაღის დადების მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ მიუმართავს, აღმასრულებლის მხრიდან ლ. კ-ის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღის მოხსნა მ. ა-ის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ვერ განიხილება. შესაბამისად, დავის საგნის განხილვას სცდება ლ. კ-ის მიერ სადავო ავტოსატრანსპორტო საშუალების ლ. ბ-ის სახელზე გადაფორმების ფაქტის შეფასება, რაც განხორციელდა 29.06.2015წ., ანუ სადავო ავტომანქანა მასზე არსებული ყადაღის მოხსნიდან თითქმის 6 თვის შემდეგ სხვა პირზე გადაფორმდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება აღმასრულებლის ქმედებების მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ აღნიშნული ქმედებები კანონით დადგენილი წესით არ არის უკანონოდ ცნობილი და ამასთან, არ იკვეთება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აღმასრულებლის ქმედებასა და მოსარჩელისთვის მიყენებულ ზიანს შორის. შესაბამისად, სარჩელი ფაქტობრივ-სამართლებრივად მიჩნეული იქნა დაუსაბუთებლად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ა-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2018წ. განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ა-ის შუ-

ამდგომლობა და საქმეში სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ერთად თანამოპასუხედ ჩაერთო შპს „ე...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2018წ. განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ა-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად ლ. ბ-ის ჩაბმის თაობაზე და ეს უკანასკნელი საქმეში ჩაბმული იქნა მესამე პირად სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს 04.12.2018წ. საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა საჯარო რეესტრში უძრავი ქონების დატვირთვის სისწორის და საფუძველიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.07.2019წ. განჩინებით სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული ლ. კ-ა, ხოლო სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული შპს „...ა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.12.2019წ. განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „ე...“-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა შპს „ე...“-ის, როგორც სარჩელზე ერთ-ერთი მოპასუხის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და შპს „ე...“-ის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.12.2019წ. განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ა-ის სააპელაციო საჩივარი, საქმე ხელახლი განხილვისთვის დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მ. ა-ის სარჩელი ისე მიიჩნია უსაფუძვლოდ, რომ შეფასება არ მისცა შემდეგ გარემოებებს: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 14.12.2014წ. №A14086506-012/001 წერილით მოგირავენე შპს „ე...“-ის წარმომადგენელს განემარტა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 26.02.2014წ. №... აღსრულების ქვემდებარე აქტი (გადახდის ბრძანება), რომლის მიხედვით მოვალეა ლ. კ-ი. იმავე წერილში აღინიშნა, რომ ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული ავტომობილის ყადაღისაგან გათავისუფლების მიუხედავად მოვალე რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხემ ზემოთ მითითებულ წერილში ერთი მხრივ ლ. კ-ი მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ პირად მოიხსენია, ხოლო მეორე მხრივ იმავე ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ მოვალის მიმართ გააუქმა

ზემოაღნიშნულ ავტომანქანაზე ყადაღა ისე, რომ არ გაითვალისწინა შპს „ე...-ის“ გარდა ლ. კ-ის სხვა კრედიტორის, კერძოდ შპს „...ას“ კანონიერი ინტერესები.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება მ. ა-ისთვის ყადაღის მოხსნის თაობაზე შეტყობინების ვალდებულების არარსებობის თაობაზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მ. ა-ს შპს „...ას“ მიერ 2014 წლის 20 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მინიჭებული ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რაც სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი იყო 25.11.2014წ.. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მ. ა-ი შპს „...ასთან“ შრომით სახელმწიკრულეზო ურთიერთობაში იმყოფება 01.09.2012წ. – 31.12.2016წ. პერიოდში. თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ ლ. კ-ის ზემოაღნიშნულ ავტომანქანაზე შეზღუდვის საბოლოო მოხსნა განხორციელდა 11.12.2014წ., უზრუნველყოფილი კრედიტორის შპს „...ას“ წარმომადგენლის მ. ა-ის თანხმობისა და მისთვის წინასწარ შეტყობინების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ სადავო ავტომანქანის ყადაღისგან გათავისუფლების თაობაზე მ. ა-ის თანხმობა არ იყო საჭირო.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ყადაღისაგან კანონის მოთხოვნათა დაცვით გათავისუფლდა და მ. ა-ს ყადაღის დადების მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ მიუმართავს. არ იქნა გაზიარებული აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ სააღსრულებო ბიუროს მიერ ლ. კ-ის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღის მოხსნა მ. ა-ის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად არ უნდა იქნეს განხილული. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხის ბრალეულობაზე მსჯელობისას არასწორი შეფასება მიეცა მ. ა-ის მიერ 16.03.2015წ. აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილ საჩივრის შინაარსს, რომლითაც მ. ა-ი სადავოდ ხდიდა აღმასრულებლის მიერ ლ. კ-ას კუთვნილ ავტომანქანაზე შპს „...ას“ ნებართვის გარეშე ყადაღის მოხსნას. ამავე საჩივრით მ. ა-ი არასწორად მიიჩნევდა ავტომანქანაზე საჩივრის მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოუყენებლობას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მ. ა-ისთვის ზიანის მიყენება გამოიხატა მასში, რომ რეგისტრირებული კრედიტორის შპს „...ას“ მოთხოვნის უზრუნველყოფა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ არ იქნა გათვალისწინებული შპს „ე...“-ის სასარგებლოდ ავტომანქანაზე ყა-

დაღის მოხსნისას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 01.04.2015წ. №A14086506-012/006, №A14086506-012/005 წერილები სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიმართ, რომლითაც ამ უკანასკნელს ეთხოვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19⁴ მუხლის შესაბამისად, არ გაავრცელოს მოვალეთა რეესტრი ლ. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე. სააპელაციო პალატის მითითებით ზემოაღნიშნული წერილით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ უგულებელყოფილია მოვალეთა რეესტრის არსი და მნიშვნელობა, ასევე კრედიტორი შპს „...ას“, როგორც თავდაპირველი კრედიტორის, ისე ახალი კრედიტორის მ. ა-ის ქონებრივი ინტერესები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება მხოლოდ სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს სააღრიცხვო და საინფორმაციო მომსახურების განყოფილების მიერ 29.06.2017წ. გაცემულ №49/6/1/1/2-01391268 ცნობის ასლს, რომლის თანახმად მოქალაქე ლ. კ-სა და შპს „ე...“-ს შორის არსებული ხელშეკრულებით ვათვალისწინებული შეზღუდვა მოიხსნა 22.12.2015წ. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საცნობარო განყოფილების უფროსის 12.02.2016წ. №49/12/3-01103960 ე.წ. ცოცხალბეჭედდასმული ცნობის შინაარსზე, რომლის თანახმად სამართლებრივი დატვირთვა ან უფლებრივი შეზღუდვა ზემოაღნიშნულ ავტომანქანაზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო ის გარემოება, რომ შეზღუდვა 22.12.2015წ. მოიხსნა, წერილში საერთოდ არ არის მითითებული. სააპელაციო პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიკვლია ერთი და იმავე უწყების მიერ განსხვავებული შინაარსის საბუთის გაცემის მიზეზები და პროცესზე არ გამოკითხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი. აღნიშნულის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს შეეძლო ემსჯელა შსს-ს საქმეში ჩართვის საჭიროებასა და სტატუსზე.

სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 17.12.2014წ. №3507 ბრძანებით დაკმაყოფილდა შპს „...ას“ წარმომადგენლის მ. ა-ისა და ლ. კ-ის 12.12.2014წ. ერთობლივი განცხადება ლ. კ-ზე დაკისრებული ვალდებულების 2014 წლის დეკემბრის თვიდან 2015 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით განწილვადებასთან დაკავშირებით. სააპელაციო

პალატამ აღნიშნა, რომ მ. ა-ს, ჯერ როგორც თავდაპირველი კრედიტორის წარმომადგენელს და შემდეგ როგორც ახალ კრედიტორს ყოველთვის უშუალოდ შეეძლო დაედო მოვალესთან შეთანხმება შესასრულებელი ვალდებულების გადანაწილებაზე, მით უფრო მაშინ, როცა ასეთ ვალდებულებას უზრუნველყოფილად თვლიდა. მ. ა-ის, როგორც თავდაპირველი კრედიტორის – შპს „...ას“ წარმომადგენლის, ხოლო შემდეგ ახალი კრედიტორის მიერ უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების განაწილვადების შეთანხმება მოვალესთან არ ეწინააღმდეგება ვალდებულებითი სამართლის ძირითად პრინციპებს. სააპელაციო პალატის მითითებით დავალიანების გადახდევინების განაწილვადების თაობაზე მხარეთა შეთანხმება სარჩელზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა გამხდარიყო.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ იმის გამო, რომ აღმასრულებლის ქმედებები კანონით დადგენილი წესით არ არის უკანონოდ ცნობილი და არ იკვეთება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აღმასრულებლის ქმედებასა და მოსარჩელისთვის მიყენებულ ზიანს შორის. ვინაიდან მ. ა-ის მოთხოვნას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის მის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურება შეადგენს, პირველი ინსტანციის სასამართლოს თავად უნდა შეეფასებინა მოპასუხის ქმედების მართლობიერება, ვინაიდან მოთხოვნის დათმობით მატერიალურ-სამართლებრივ უფლებამონაცვლეობას აქვს ადგილი, მ. ა-ს გადაეცა ყველა ის მოთხოვნა, მათ შორის არამართლობიერი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ის უფლება, რაც შპს „...ას“ წარმოეშვა 2014 წლის 11 დეკემბრის შემდეგ, იმ მომენტიდან, როცა სადავო ავტომანქანაზე კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის მოთხოვნა იქნა გაუქმებული. მ. ა-ი მოთხოვნის დათმობამდეც აღსრულების ეროვნულ ბიუროში სადავოდ ხდიდა აღნიშნულ ქმედებას, როგორც შპს „...ას“ წარმომადგენელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.07.2019წ. სასამართლო სხდომაზე ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით სააპელაციო პალატამ, მ. ა-ი ჩათვალა ახალი კრედიტორად, ვინაიდან მან შეასრულა ვალდებულება ლ. კ-ს ნაცვლად. ამდენად, სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაერთო შპს „...ა“, ხოლო სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე ლ. კ-ა იქნა ჩაბმული მესამე პირად. სააპელაციო პალატამ ამ გარემოებაზე მითითებით აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს თავად უნდა შეეფასებინა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქმედების მართლობიერება და ბრალეულობა თავდაპირველად შპს „...ას“, ხოლო შემდეგ მ. ა-ის, როგორც მისი

უფლებამონაცვლის მიმართ. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქმედების არამართლზომიერების და ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა დაედგინა ზიანის მიყენების ფაქტი, ზიანის მოცულობა და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის. პირველი ინსტანციის სასამართლოს ასევე უნდა გამოერკვია, დაედგინა ყველა ის პირი, რომლებსაც სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ერთად მ. ა-ის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია დაკისრებოდა და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად ჩაერთო დავაში.

სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე მითითებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვის დავალებით პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის დაბრუნების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ა-ის დაუზუსტებელი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.02.2017წ. განჩინების გაუქმების შესახებ, რომლითაც დაკმაყოფილდა მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის შუამდგომლობა და შეწყდა საქმის წარმოება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 24.03.2015წ. №1110 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, ამ სარჩელის დაუშვებლობის გამო, დაუსაბუთებელია. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ განჩინებაზე მ. ა-მა 20.03.2017წ. წარადგინა კერძო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.02.2017წ. განჩინების გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისთვის საქმის დაბრუნება. თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.07.2017წ. განჩინებით მ. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.02.2017წ. განჩინება. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 419.3 მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო პალატის აღნიშნული განჩინება საბოლოოა და იგი არ საჩივრდება. აღნიშნულზე მითითებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.02.2017 წ. განჩინების კანონიერების შემოწმების უფლებამოსილება სააპელაციო სასამართლოს აღარ გააჩნდა.

მ. ა-ის სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარი სხვა წინმსწრებ განჩინებებთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვინაიდან საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნ-

და პირველი ინსტანციის სასამართლოს, ამიტომ პროცესის თანასწორობის, შეჯიბრებითობის და ინკვიზიციურობის პრინციპების საფუძველზე მოცემული დავის მონაწილე მხარეებს გააჩნდათ საქმის ხელახალი განხილვისას შუამდგომლობების და განცხადებების წარდგენის უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლოს 02.12.2019წ. განჩინებაზე საკასაციო საჩივრები წარადგინეს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და მ. ა-მა.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული: არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მასზედ, რომ ლ. კ-ის საკუთრებაში მყოფ ავტომანქანაზე დადებული ყადაღის მოხსნისას სააღსრულებო ბიურომ არ გაითვალისწინა შპს „ე...“-ის გარდა სხვა კრედიტორის შპს „...ას“ კანონიერი ინტერესები. ლ. კ-ი დარეგისტრირდა მოვალეთა რეესტრში და მის საკუთრებაში რიცხულ ავტომანქანაზე ყადაღა დაედო იძულებითი სააღსრულებო წარმოების ფარგლებში. ლ. კ-ს და შპს „ე...“-ს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე გირავნობის უფლება ვრცელდებოდა ლ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანაზე. შპს „ე...“-მა, როგორც მოგირავნემ მიმართა სააღსრულებო ბიუროს ლ. კ-ის საკუთრებაში რიცხულ ავტომანქანაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნით, რაც სააღსრულებო ბიუროს მიერ 10.12.2014წ. დაკმაყოფილდა და ყადაღა მოეხსნა ავტომანქანას, თუმცა ავტომანქანა მოვალეთა რეესტრის შეზღუდვისგან არ გათავისუფლებულა. შპს „ე...“ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40¹ მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე უფლებამოსილი იყო მოეთხოვა ლ. კ-ის ავტომანქანაზე ყადაღის მოხსნა, ვინაიდან ის იყო უზრუნველყოფილი კრედიტორი, ხოლო იძულებითი აღსრულება მიმდინარეობდა არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ. მის მიერ სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი იყო გირავნობის უფლების დამადასტურებელი ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან, რის შემდეგაც მითითებული ნორმის თანახმად სააღსრულებო ბიურო ათავისუფლებს ქონებას ყადაღისაგან. აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით კასატორი თვლის, რომ ლ. კ-ის კუთვნილ ავტომობილზე ყადაღის მოხსნა კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა, რის გამოც ეს ქმედება მ. ა-ის საწინააღმდეგო ქმედებად ვერ განიხილება.

ვინაიდან ლ. კ-ის მიერ დაიფარა შპს „ე...“-ის მიმართ არსებული დავალიანება, შპს „ე...“-ს აღარ დასჭირდა ავტომობილის რეალიზაცია მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

შსს-ს მიერ გაცემული ცნობების თანახმად ავტომანქანის მე-

საკუთრე 2015 წლის 29 ივნისამდე იყო ლ. კ-ი, 29.06.2015წ.-22.12.2015წ. პერიოდში რეგისტრირებული იყო ლ. ბ-ის საკუთრე-ბად, ხოლო 2015 წლის 22 დეკემბრიდან ირიცხებოდა გ. ქ-ის სა-კუთრებაში. ავტომანქანაზე ყადაღა გაუქმდა 10.12.2014წ., ხოლო ლ. კ-ის დავალიანების განწილვადების თაობაზე ამ უკანასკნელი-სა და მ. ა-ის ერთობლივი განცხადება სააღსრულებო ბიუროს წა-რედგინა 12.12.2014წ.. ამასთანავე, ავტომანქანაზე ყადაღა დაე-დო და მოეხსნა იმ პერიოდში, როდესაც იძულებითი სააღსრულე-ბო წარმოება მიმდინარეობდა არა ფიზიკური პირი მ. ა-ის, არამედ შპს „...ას“ სასარგებლოდ.

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება მასზედ, რომ საქალაქო სასამართლომ შეფასება არ მისცა მ. ა-ის მიერ სააღსრუ-ლებო ბიუროში წარდგენილ საჩივარს. აღნიშნული საჩივრის თაო-ბაზე მიღებული იქნა სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარის 24.03.2015წ. №1110 ბრძანება, რომლითაც საჩივრის განხილვაზე მ. ა-ს ეთქვა უარი. აღნიშნული ბრძანება მ. ა-ის მიერ გასაჩივრდა სასამართლოში, თუმცა მასზე საქმის წარმოება შეწყდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.02.2017წ. განჩინებით. აღნიშნული გან-ჩინებით, რომლითაც მიჩნეული იქნა, რომ არ დასტურდებოდა მ. ა-ის კანონიერი ინტერესი სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარის 24.03.2015წ. №1110 ბრძანების ბათილად ცნობასთან მიმართებით, ვინაიდან მითითებულ პერიოდში კრედიტორი იყო შპს „...ა“ და არა მ. ა-ი.

კასატორი აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ გამო-ყენებული განმარტების ხერხების გათვალისწინებით, „სააღსრულე-ბო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40¹.7 მუხლით გათვალისწინებუ-ლი ყადაღის მოხსნის შესაძლებლობა არ უნდა იქნეს გაგებული იმ-გვარად, თითქოს მოვალეთა რეესტრის შეზღუდვის მოხსნა მხოლოდ კრედიტორის თანხმობაზეა დამოკიდებული. ამავე მუხლის თანახ-მად კრედიტორის თანხმობა არ არის საჭირო მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული შეზღუდვისაგან გათავისუფლებისათვის. სამო-ქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის თანახმად გირავნობა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, რაც იცავს კრედიტორის უფლებებს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არადროული და არაჯე-როვანი შესრულების შემთხვევაში. ამგვარი ფორმით უზრუნველ-ყოფილი კრედიტორი სარგებლობს მეტი დაცვით არაუზრუნველ-ყოფილ კრედიტორთან შედარებით, სწორედ აღნიშნულით არის გან-პირობებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40¹.7 მუხლით ყადაღისგან გათავისუფლება მოგირავნის უფლებების სრულყოფილად დაცვას ემსახურება.

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება მოვალეთა რეესტრის არსის და დანიშნულების პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უგულებელყოფის თაობაზე. იძულებითი აღსრულების ფარგლებში დაყადაღებული ქონების რეალიზაცია დასაშვებია მოხდეს კრედიტორის თანხმობითაც, რათა მოვალეს მიეცეს ქონების განკარგვის შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან არ არსებობდა კრედიტორის თანხმობა ნივთის მოვალეთა რეესტრის შეზღუდვისაგან მოხსნის თაობაზე, ყადაღის მოხსნის მიუხედავად ნივთზე კვლავ ვრცელდებოდა მოვალეთა რეესტრის შეზღუდვა. ამგვარ პირობებში ქონებაზე ყადაღის მოხსნის მიუხედავად მოგირავენე მაინც ვერ შეძლებს საკუთრების უფლებით სარგებლობას. მოვალეთა რეესტრის შეზღუდვასთან მიმართებით ნორმათა განმარტება კანონმდებლის მიზნის შესაბამისად, ლოგიკური განმარტებით უნდა მოხდეს. მოვალის მიერ ქონების განკარგვაზე კრედიტორის თანხმობის აუცილებლობა არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ასეთი თანხმობა საჭიროა აგრეთვე მოვალეთა რეესტრის შეზღუდვისაგან გათავისუფლებისთვის. განსხვავებით მოვალის მიერ ქონების განკარგვისა, კრედიტორის თანხმობა არ უნდა იქნეს სავალდებულოდ მიჩნეული მოვალეთა რეესტრის შეზღუდვისაგან გათავისუფლებისათვის, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ქონებაზე ერთდროულად რეგისტრირებულია ყადაღა და მოვალეთა რეესტრის შეზღუდვა და კრედიტორი არ არის თანახმა შეზღუდვის მოხსნაზე, მოგირავენის მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40¹.7 მუხლით გათვალისწინებული ყადაღის მოხსნის თაობაზე მოთხოვნა ვერასოდეს მიაღწევს მიზანს და მოგირავენის უფლება დაუცველი დარჩება.

კასატორი მ. ა-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ლ. კ-ას და შპს „ე...“-ს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა. ხელშეკრულება არის მოჩვენებითი და ყალბი, რის გამოც ის უნდა ამოეღოთ საქმიდან. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია ვისი დახმარებით შეძლო ლ. კ-მა საკუთარი ქონების გასხვისება. შპს „ე...“ სესხის ხელშეკრულებას ვერ დადებდა ლ. კ-თან, რადგან ლ. კ-ი მოვალეთა რეესტრში იყო რეგისტრირებული. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა, რომ ლ. კ-ას ავტომანქანაზე ყადაღა დაედო მ. ა-ის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. ავტომანქანის საბაზრო ღირებულება იყო 12 000 აშშ დოლარი, ხოლო მ. ა-ის მიმართ არსებული ვალი იყო 10 000 აშშ

დოლარის ექვივალენტი ლარში. ამდენად, ავტომანქანის ღირებულება საკმარისი იყო მ. ა-ის ვალის დასაფარად. სააპელაციო სასამართლომ არ გამოითხოვა მოვალეთა რეესტრიდან ამონაწერი. შპს „ე...“-მა მიმართა სააღსრულებო ბიუროს ყადაღის მოხსნის მოთხოვნით, რაზეც აღმასრულებლის მიერ ეთქვა უარი, ყადაღის მოხსნაზე უარის გარდა აღმასრულებელმა უარი განაცხადა მოვალეთა რეესტრიდან ლ. კ-ის ამორიცხვაზე იმ საფუძვლით, რომ სავალდებულო იყო გირავნობის მოწმობის ამონაწერის და კრედიტორის თანხმობის სააღსრულებო ბიუროში წარდგენა. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ყადაღის მოხსნამდე მ. ა-ის თანხმობის მიღების საჭიროებაზე, რასაც ითვალისწინებს 19⁴ მუხლი მე-3 პუნქტი. სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა შპს „ე...“-ის მიერ ლ. კ-ის მიმართ წარდგენილ სარჩელს და დაზუსტებულ სარჩელს. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია გირავნობის მოწმობის არსებობის საკითხი. სასამართლომ არ გამოიკვლია ა. ს-ის კავშირი აღნიშნულ საქმესთან, რომელიც არის შპს „ე...“-ის წარმომადგენელი და მან განმეორებით მიმართა სააღსრულებო ბიუროს მანქანაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე. ლ. კ-ი ამორიცხულია მოვალეთა რეესტრიდან სწორედ ა. ს-ის განცხადების საფუძველზე. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მ. ა-ის თანხმობის გარეშე მანქანაზე ყადაღის მოხსნის და სააღსრულებო ბიუროდან ავტომანქანის გაყვანის ფაქტი. აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით მ. ა-მა საჩივრით მიმართა სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარეს, რომლის პასუხად გაიცა სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარის 24.03.2015წ. №1110 ბრძანება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მ. ა-მა გაუშვა გასაჩივრების ვადა. სააღსრულებო ბიურო ვალდებული იყო შპს „ე...“-ის განცხადების და ყადაღის მოხსნის თაობაზე ინფორმაცია გაეგზავნათ მ. ა-ისთვის. შპს „ე...“-სა და ლ. კ-ას შორის დადებული ხელშეკრულების თაობაზე მ. ა-ისთვის ცნობილი გახდა სასამართლო განხილვის დროს, მას შემდეგ, რაც ლ. კ-მა ავტომანქანა გადააფორმა მის შვილზე. შპს „ე...“-ის მოქმედებებით მ. ა-ს მიადგა 10 000 აშშ დოლარის ოდენობის ზიანი. სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ ლ. კ-ის მანქანით უნდა დაფარულიყო მ. ა-ის მიმართ არსებული დავალიანება და შპს „ე...“-ის მიმართ არსებული ვალი. ლ. კ-ას შპს „ე...“-ის მიმართ რეალურად არ ჰქონდა თანხა გადასახდელი, ხელშეკრულება გაფორმდა ლ. კ-ის ქონების გადაძალის მიზნით.

აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით კასატორი მ. ა-ი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის დაბრუნების გარეშე თვითონ მიე-

ლო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს 12.03.2021წ. განჩინებით დაშვებულად იქნა ცნობილი საალსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივარი, აგრეთვე მ. ა-ის საკასაციო საჩივარი, სააპელაციო პალატის 02.12.2019წ. განჩინებისა და წინმსწრები – 04.12.2018წ. განჩინებების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და მ. ა-ის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აპელაცია მიზნად ისახავს პირველი ინსტანციის კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების გზით მხარეთა უფლებების დაცვას. საკასაციო ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, რომელიც საკასაციო საჩივარს ამოწმებს მხოლოდ სამართლებრივი, იურიდიული თვალსაზრისით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ხელახლა იკვლევს საქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებს. ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლო არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, თავისთავად არ ქმნის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველს. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმის გადასინჯვის დროს განიხილავს როგორც ფაქტის, ისე სამართლის საკითხებს. არასრული (შეზღუდული) აპელაციის მოდელი არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციურ ელემენტებს, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს აქვს შესაძლებლობა თავად გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება. სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების შემოწმებაში. სააპელაციო სასამართლო ერთი მხრივ ამოწმებს პირველი ინსტანციის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობას და პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობას, ხოლო მეორე მხრივ თავად იკვლევს და აფასებს მტკიცებულებებს, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისათვის. სააპელაციო სასამართლოს განჩი-

ნება არ შეიცავს მითითებას დავის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტის შეუძლებლობის თაობაზე, ამგვარი გარემოების არსებობა საქმის მასალებითაც არ დასტურდება. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მართებულობას არ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მითითება სსკ-ის 385.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტების დანაწესზე. გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა (სსკ-ის 394-ე მუხ. „ე“ ქვ.პ.) არ გამოორიცხავს თავად სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. სსკ-ის 385-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევა არ გამოორიცხავს თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას (სსკ-ის 386-ე მუხ.). სსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადაადგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. სააპელაციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილი ეთმობა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკას, რომლითაც სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცავდა მოსარჩელის ძირითად არგუმენტებზე მსჯელობას. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს. სააპელაციო სასამართლო არ უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასარკვევ იმ საკითხთა წრეს, რომლის გარკვევის შესაძლებლობა სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა (სუს 23.04.2009წ. განჩინება, საქმე №ას-861-1075-08). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2018წ. განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ა-ის შუამდგომლობა და საქმეში სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ერთად თანამოპასუხედ ჩაერთო შპს „ე...“. სააპელაციო სასამართლოს 04.12.2018წ. განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ა-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად ლ. ბ-ის ჩაბმის თაობაზე და ეს უკანასკნელი საქმეში ჩაბმული იქნა მესამე პირად სსკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.07.2019წ. განჩინებით სსკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული აგრეთვე ლ. კ-ი, ხოლო სსკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „...ა“. ამდენად, საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩაბმული იქნენ მესამე პირები. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია ლ. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ მანქანასთან დაკავშირებით შსს-ს მიერ გაცემული რამდენიმე ცნობის

განსხვავებული შინაარსით გაცემის მიზეზზე, პროცესზე არ გამოიკითხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი, რის შემდეგაც სასამართლოს შეეძლო ემსჯელა ამ კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს მოცემულ საქმეში ჩართვის საჭიროებასა და სტატუსზე. გაურკვეველია თუ რატომ არ იყო შესაძლებელი სააპელაციო პალატის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მარეგისტრირებელ ორგანოს – შსს-ს საქმეში ჩაბმა, ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, მით უფრო, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირად ჩაბმა საკასაციო ინსტანციაშიც არის დაშვებული (სსკ-ის 34' მუხ. მე-2 ნაწ.), ხოლო სააპელაციო პალატის 02.12.2019წ. განჩინებით დაკმაყოფილდა „ე...“-ის შუამდგომლობა და მ. ა-ის სარჩელზე თანამოპასუხედ სააპელაციო ინსტანციაში ჩაბმული შპს „ე...“-ის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, ხოლო მესამე პირებად სხვადასხვა პირების ჩართვის თაობაზე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა.

აპელაციაში პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულაციური ფუნქციის ფარგლები გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს არა მხოლოდ პროცესუალური დარღვევები, რომლებითაც დასტურდება მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური წესების დარღვევები, სააპელაციო სასამართლოს თავადაც ძალუძს გამოიკვილოს მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. ამდენად, სსკ-ის 385.2 მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, საქმის ქვედა ინსტანციაში გადაგზავნის გარეშე თავად გადაწყვიტოს დავა (სსკ 385.2 მუხ.).

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მიერ თავდაპირველი კრედიტორის შპს „...ას“ და შემდეგი კრედიტორის მ. ა-ის უზრუნველყოფილ კრედიტორებად მიჩნევა. აღნიშნულს არ ადასტურებს ლ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანაზე სააღსრულებო წარმოების პროცესში ყადაღის დადება. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40' მუხლის მე-7 პუნქტის შინაარსს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი ერთმანეთისაგან განსხვავებს უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ კრედიტორს. დიფერენცირების კრიტერიუმია აღსასრულებელი მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის არსებობა, კერძოდ, უკეთუ ფიზიკური პირის მოთხოვნა (მაგ.: სხვადასხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება) მოვალის მიმართ უზრუნველყოფილია მოთხოვნის უზრუნ-

ველყოფის მატერიალურ-სამართლებრივი (და არა საპროცესო-სამართლებრივი) საშუალებებით, როგორებიცაა: გირავნობა, იპოთეკა და სხვ., კრედიტორი აღსრულების პროცესში მიიჩნევა უზრუნველყოფილ კრედიტორად, ხოლო უკეთეს პირის მოთხოვნის შესრულება არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის უზრუნველყოფის მატერიალურ-სამართლებრივი საშუალებებით, მაშინ ასეთი კრედიტორი აღსრულების პროცესში არაუზრუნველყოფილ კრედიტორად მიიჩნევა. პირის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა არის კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა კონკრეტული უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ან სხვაგვარი გამოყენების გზით. ასეთი უფლება კონკრეტულ ნივთთან მიმართებით მინიჭებული არ აქვს არაუზრუნველყოფილ კრედიტორს.

გასათვალისწინებელია, რომ არც სასამართლოს და არც აღმასრულებლის მიერ დადებული ყადაღა არ არის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, ისინი უზრუნველყოფენ კრედიტორის სასარგებლოდ განხორციელებული აღსრულების შედეგიანობას, ქმნიან მოვალისაგან თანხის ამოღების შესაძლებლობას. სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის პროცესში აღმასრულებლის მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება მ. ა-ს უზრუნველყოფილ კრედიტორად აქცევს, მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღმასრულებლის მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება არის იძულებითი აღსრულების პროცესის შემადგენელი ნაწილი, მისი გამოყენება ხდება იმის მიუხედავად გამოყენებულია თუ არა კრედიტორის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებები (მაგ.: გირავნობა). აღსრულების ზოგადი წესის თანახმად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25¹ მუხლის შესაბამისად, თანხის გადახდევინების საქმეებზე სააღსრულებო წარმოების ეტაპებია: აღსრულების დაწყება, ქონებაზე ყადაღის დადება, აუქციონის ჩატარება და კრედიტორისათვის თანხის გადაცემა. ამავე კანონის 25.9 მუხლის მიხედვით, თანხის გადახდევინების საქმეებზე მოვალისათვის ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების ჩაბარებასთან ერთად, აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების მოძიებას, აღწერას და მასზე ყადაღის დადებას. ამასთანავე, სწორედ ყადაღადადებულ ნივთებს ჰყიდის აღსრულების ეროვნული ბიურო საჯარო აუქციონზე ყადაღის დადებიდან 1 თვის ვადაში (49.2, 50.1 მუხ.). ზე-

მოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, თანხის გადახდევინების სააღსრულებო საქმეებზე ყველა კრედიტორი უზრუნველყოფილ კრედიტორად ჩაითვლება (რადგან ყველა შემთხვევაში ხდება მოვალის ქონების დაყადაღება), რაც მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა არ არის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სანივთო უფლება, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებისაგან განსხვავებით, მას არ გააჩნია აქცესორული (მიმდევნებითი) ბუნება. ზოგადად ყადაღას აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ფუნქცია, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი დანიშნულებაა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, იგივე დანიშნულება აქვს აღსრულების მიმდინარეობისას ქონების დაყადაღებას, რომელსაც აღსრულების ხელშეწყობის მიზანი აქვს, ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ანუ სანივთო უფლების (გირავნობა, იპოთეკა) ფუნქცია კი შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა. კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და მათი შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. არც შპს „...ას“ და არც მ. ა-ს მოვალე ლ. კ-ის ქონებაზე მის სასარგებლოდ სანივთო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, გირავნობა არ გამოუყენებია. რეესტრში რეგისტრირებულ სანივთო უფლებით უზრუნველყოფილ პირს უპირატესი სამართლებრივი პირობები გააჩნია არაუზრუნველყოფილ კრედიტორთან მიმართებაში, რის გამოც იმ ქონებაზე ყადაღის არსებობა, რომლის მიმართაც სანივთო უფლებით უზრუნველყოფილი კრედიტორი მოითხოვს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ვერ გახდება ამგვარი მოთხოვნის რეალიზაციის დაბრკოლების წინაპირობა. აღნიშნული დასტურდება აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40¹ მუხლის მე-7 პუნქტის დებულებით, რომლის თანახმად არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ იძულებითი აღსრულების განხორციელებისას, თუ მოვალის მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ამ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებისა, მოგირავნე განაცხადებს ამ ქონებაზე თავის უფლებას და აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს გირავნობის უფლების დამადასტურებელ ამონაწერს შესაბამისი რეესტრიდან, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებას ყადაღისაგან ათავისუფლებს. მოგირავნეს გირავნობის საგნიდან აქვს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება (სკ-ის 254.2 მუხ.). უპირატესი დაკმაყოფი-

ლების უფლება ძალაში რჩება მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაშიც („გადახდისუუნარობის შესახებ“ კანონის 41-ე მუხ.). „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 91¹⁰ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოების დროს ყადაღის გაუქმების საფუძვლები არ გულისხმობს გამარტივებული წარმოების განხორციელების ფარგლებში ამავე საკანონმდებლო აქტით დადგენილი ზოგადი წესების უგულებელყოფის შესაძლებლობას, კერძოდ, 40¹ მუხლით დადგენილი წესის უგულებელყოფას. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ქონებას ადევს ყადაღა და იმავდროულად ნივთზე აღრიცხულია მოვალეთა რეესტრის შეზღუდვა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40^{1.7} მუხლით გათვალისწინებული ყადაღის მოხსნის შესახებ მოთხოვნა წარმოადგენს სპეციალურ, საგამონაკლისო და მაშასადამე უპირატესი ძალის მონესრიგებას იმ საერთო წესთან შედარებითაც, რომლის თანახმად ქონების განკარგვა საჭიროებს არაუზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობას (19^{4.3} მუხ.). სხვაგვარი გაგება ალოგიკურია და ყოველგვარ აზრს უკარგავს და უშინაარსოს ხდის კანონის 40^{1.7} მუხლის დანაწესს. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 28.12.2009წ. №234 ბრძანებით დამტკიცებული „მოვალეთა რეესტრის წარმოების წესის“ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით „მოვალეთა რეესტრი არის ფულადი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფამდე წარმოებული საშუალება – სისტემატიზებული ელექტრონული ერთობლიობა მონაცემებისა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა და სხვა ორგანიზებულ წარმონაქმნთა შესახებ, რომელთა მიმართ აღსრულება დაიწყო 2010 წლის 1 იანვრიდან, გარდა უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალისა“.

მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ შპს „ე...“-ს არ წარმოუდგენია გირავნობის მონაწილეობა არ ადასტურებს ყადაღის მოხსნის უმართებულობას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოგირავნის მოთხოვნის საფუძველზე ავტომატურად მოეხსნა ყადაღა, ამასთანავე, მოგირავნის სასარგებლოდ ავტომატურად რეალიზაცია არ მომხდარა, ლ. კ-მა აუნაზღაურა შპს „ე...“-ს არსებული დავალიანება. შესაბამისად, არ მომხდარა სსიპ შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ აღსრულების ქვემდებარე აქტის გირავნობის მონაწილეობის („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ო“ ქვ.პ.) გაცემა, გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა, ვინაიდან სკ-ის 258¹ მუხლის თანახმად, სსიპ შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო გაცემს გირავნობის მონაწილას ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მო-

გირავნის განცხადების საფუძველზე. გირავნობის მონაწილე არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომელიც ადასტურებს გირავნობის რეგისტრაციას და გაიცემა შსს მომსახურების სააგენტოს მიერ მოგირავნის განცხადების საფუძველზე (სკ-ის 258¹ მუხ.). შპს „ე...“-ის მიერ სარჩელის აღძვრა (08.01.2015წ.), შპს „ე...“-ის განცხადების და კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.02.2018წ. განჩინების თანახმად, განპირობებული იყო ყადაღის მოხსნის მიუხედავად მოვალეთა რეესტრის შეზღუდვის არსებობით, გირავნობის საგანი მოვალეთა რეესტრის ვალდებულებებისაგან არ იყო გათავისუფლებული, თუმცა 2015 წლის აპრილში დავალიანების დაფარვის გამო შპს „ე...“-მა სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადებით მიმართა საქალაქო სასამართლოს, რაც საქალაქო სასამართლოს 07.07.2015წ. განჩინებით დაკმაყოფილდა, სარჩელი დარჩა განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში გირავნობა ეხებოდა არა მთელ მოძრავ ქონებას (გენერალური გირავნობა), გირავნობის საგანს შეადგენდა ავტომანქანა. კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს გირავნობის ხელშეკრულების ფორმას, ეს უკანასკნელი შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. კანონმდებლობა ითვალისწინებს მფლობელობით გირავნობას და რეგისტრირებულ გირავნობას (სკ-ის 255-ე, 257-ე, 258-ე მუხ.). მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის მფლობელობითი გირავნობა. რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობით ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია. საქმეში დაცულია შპს „ე...“-ს და ლ. კ-ს შორის დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, რომლის შინაარსის თანახმად სახეზეა რეგისტრირებული გირავნობა (4.3 პ.), ხელშეკრულების მიხედვით გირავნობის საგანი რჩება დამგირავებლის მფლობელობაში. ამასთანავე, სკ-ის 258-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გირავნობის წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს კანონი არ ვრცელდება მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 25.06.2007წ. №892 ბრძანებით დამტკიცებუ-

ლი „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლეობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის“ 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტო ახორციელებს გირავნობის რეგისტრაციას სააგენტოში რეგისტრირებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე. „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შს მინისტრის 31.01.2007წ. №150 ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე რეგისტრაციას ახორციელებს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო. გირავნობის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია რეგისტრაციის მომენტისათვის დასარეგისტრირებელ ობიექტზე უფლებრივი შეზღუდვის (ყადალა და სხვ.) აღრიცხვა („სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლეობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის“ 5.1 მუხლის „გ“ ქვ.პ.). აღნიშნული მოითხოვს საქმეზე ყადაღის დადების და გირავნობის რეგისტრაციის მომენტის ზუსტ დადგენას. საქმის მასალების მიხედვით, 26.11.2014წ. აღმასრულებელმა მ. რ-მა აცნობა ლ. კ-ს, რომ მის ქონებას, კერძოდ, მის სახელზე რიცხულ ავტომანქანას (ნომერი: ..., ტიპი: მაღალი გამავლობა, მოდელი:, მაღალი გამავლობის), აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, დაედო ყადაღა. მოვალეს ეცნობა, რომ ქონების დაყადაღების შემდეგ მესაკუთრეს ეკრძალება დაყადაღებული ქონების განკარგვა ნებისმიერი ფორმით (გასხვისება, დაგირავება, გაქირავება), ყადაღის დადების შემდეგ აღნიშნული გარიგება ბათილია. შსს-ს მონაცემების თანახმად, ლ. კ-ის საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებაზე სესხის და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე 2014 წლის ოქტომბრიდან (ე.ი. ყადაღის დადებაამდე) დარეგისტრირდა გირავნობის უფლება. ამდენად, არ დასტურდება გირავნობის რეგისტრაციის ხელშემშლელი ფაქტორის არსებობა, თუმცა საქმეზე ჯეროვნად უნდა დადგინდეს გირავნობისა და სესხის ხელშეკრულების რეგისტრაციის ფაქტი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ყადაღის მოხსნის კანონიერების დასადგენად. აღნიშნულთან დაკავშირებით საქმის მასალებში ერთგვარი გაურკვევლობა შეიმჩნევა. „წესის“ მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა არის დოკუმენტი, რომელშიც და-

ინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად აისახება: სააგენტოს მიერ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შედეგად მოპოვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები, აგრეთვე შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული/რეგისტრირებული ინფორმაცია მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული უფლებრივი შეზღუდვის ან/და სამართლებრივი დატვირთვის შესახებ. „ნესის“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობაში, გარდა სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის და მოსარგებლის ვინაობისა (საიდენტიფიკაციო მონაცემების), აგრეთვე მესაკუთრეზე/მოსარგებლეზე რეგისტრირებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისა (სატრანსპორტო საშუალების/საშუალებების იდენტიფიცირება), შესაძლებელია აგრეთვე დამატებით შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ან/და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული/რეგისტრირებული მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული უფლებრივი შეზღუდვის ან/და სამართლებრივი დატვირთვის შესახებ ინფორმაციის ასახვა, ხსენებული ნორმის მიხედვით ასეთი ინფორმაცია შესაძლოა გაიცეს აგრეთვე ცალკე დოკუმენტის (ცნობის) სახით. სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ შსს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 12.02.16წ. №49/12/3-01103960 ცნობაში აღნიშნულია, რომ სამართლებრივი დატვირთვა ან უფლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის. სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ შსს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 29.06.2017წ. ცნობის თანახმად, სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული იყო ლ. კ-ის სახელზე 28.08.2012წ. – 29.06.2015წ. პერიოდში, ავტომობილზე გავრცელდა გირავნობა 30.09.2014წ. გირავნობისა და სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, კერძოდ 2014 წლის 07 ოქტომბრიდან ავტომობილზე გავრცელებული იყო გირაო, შეზღუდვა მოიხსნა 22.12.2015წ.. სააპელაციო პალატა შემოიფარგლა ცნობებში მოცემულ ინფორმაციებს შორის წინააღმდეგობის აღნიშვნით მაშინ, როდესაც სააპელაციო პალატა თავადაც იყო უფლებამოსილი დაედგინა ფაქტობრივი გარემოება. ამასთანავე, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატის შეფასების მიღმა დარჩა ამ მიმართებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.02.2018წ. №2ბ/26-18 კანონიერ ძალაში მყოფ განჩინებაში დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ 12.02.2016წ. გაცემული ცნობა ავტოსატრანსპორტო საშუალება-

ზე სამართლებრივი დატვირთვის ან უფლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის არ არსებობის შესახებ ნიშნავს ცნობის გაცემის დროისათვის ყოველგვარი სამართლებრივი დატვირთვის და შეზღუდვის არარსებობას. ამასთანავე, საქმეში მოიპოვება მომსახურების სააგენტოს 23.08.2017წ. წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ შსს მომსახურების სააგენტოს ბაზაში სესხის და გირავნობის ხელშეკრულება შპს „ე...“-ის ელექტრონული განაცხადის №... საფუძველზე 07.10.2014წ. დარეგისტრირდა.

№A14086506-12, 11.12.2014წ. ყადაღის მოხსნის შესახებ ბრძანების ტექსტის გადმოცემის მოთხოვნით სააღსრულებო ბიუროს 03.02.2015წ. მიმართა მ. ა-მა, რომელსაც 15.02.2016წ. აღმასრულებლის წერილით ზოგადად ეცნობა, რომ მოგირავნის განცხადების საფუძველზე ყადაღა მოეხსნა მოვალის საკუთრებაში რიცხულ ავტომანქანას. განმცხადებელს არ წარედგინა ყადაღის მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი. პირველი ინსტანციის სასამართლოს, 03.07.2014წ. განჩინების პასუხად, სასამართლოს ეცნობა, რომ ყადაღა მოხსნილია ელექტრონული მიმართვის (№A...) საფუძველზე. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ლ. კ-ის ავტომანქანაზე შეზღუდვის საბოლოო მოხსნა 11.12.2014წ. განახორციელა 10:37-10:43 პერიოდში. ამასთანავე, ბუნდოვანია ყადაღის მოხსნის საფუძველი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „ე...“-ის წარმომადგენელმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს 10.12.2014წ. მიმართა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მიხედვით, აღმასრულებელმა ყოველი სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ, გარდა აუქციონის ჩატარებისა, უნდა შეადგინოს ოქმი. საქმეში არ მოიპოვება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ყადაღის მოხსნასთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტი.

ერთი და იგივე ქონება შეიძლება რამდენჯერმე დაგირავდეს, გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის დროის შესაბამისად. ლ. კ-ს და შპს „ე...“-ის თბილისის ფილიალს შორის 30.09.2014წ. დადებული გირავნობისა და სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ამ ხელშეკრულების დადებამდე სატრანსპორტო საშუალებაზე რეგისტრირებული იყო „ვი თი ბი“ ბანკის სასარგებლოდ არსებული პირველი რიგის გირავნობა (საფუძველი 20.08.2012წ. გირავნობის და სესხის ხელშეკრულება), შპს „ე...“-თან დადებული 30.09.2014წ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა დამგირავებლის ვალდებულებას სესხის თანხის მიღებიდან არაუგვიანეს 2 კალენდარული დღისა ბანკის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების/დავალიანების სრულად და ჯეროვნად გა-

დახდას, ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებული გირავნობის გაუქმებას და შესაბამისად შპს „ე...“-ის პირველი რიგის მოგირავენდ გახდომას. ამდენად, საქმეზე გარკვევას საჭიროებს შპს „ე...“-ის გირაოს რიგითობა.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის თანახმად, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობენ: კრედიტორი და მოვალე (სააღსრულებო წარმოების მხარეები); აღმასრულებელი; სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ სააღსრულებო წარმოების პროცესში. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაინტერესებულ მხარედ ითვლება ის პირი, რომლის კანონიერ ინტერესზეც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამდენად, ცალსახაა, რომ პირის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევის თვალსაზრისით სახეზე უნდა იყოს მისი უფლების დარღვევის ფაქტი ან დავის მიმართ მისი პატივსაცემი ინტერესი, ამასთან, სახეზე უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ფაქტობრივ ინტერესზე. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნის უმართებულობას არ ადასტურებს ყადაღის დადება არა მ. ა-ის, არამედ შპს „...ას“ სასარგებლოდ, აგრეთვე ის, რომ მ. ა-მა ლ. კ-ის მიმართ უფლება ყადაღის მოხსნის შემდეგ შეიძინა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის მ. ა-ზე მოთხოვნის უფლების გადასვლა. შპს „...ას“ 20.01.2016წ. ცნობის თანახმად, ლ. კ-ის ვალდებულება შპს „...ას“ სასარგებლოდ მ. ა-მა შეასრულა. ცნობის მიხედვით, ლ. კ-ს ვალდებულება შპს-ს მიმართ 01.01.2016წ. მდგომარეობით ერიცხებოდა, ხოლო 20.01.2016წ. მდგომარეობით აღნიშნული ვალდებულება მ. ა-ის მიერ დაიფარა. სკ-ის 986-ე მუხლის შესაბამისად, პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. მოთხოვნის შესრულებაში იმავე დროს მოთხოვნის დათმობა მოიაზრება. სახეზეა მოთხოვნის დათმობის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებამონაცვლეობა, რის შედეგადაც ადგილი აქვს მ. ა-ისათვის ყველა მოთხოვნის გადაცემას, მათ შორის არამართლზომიერი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადაცემას, რომელიც თავდაპირველ კრედიტორს შპს „...ას“ წარმოემვა, მით უფრო, რომ მ. ა-ი როგორც შპს „...ას“ წარმომადგენელი მოთხოვნის დათმობამდეც აღსრულების ეროვნულ ბიუროში სადავოდ

ხდიდა ყადაღის მოხსნას და ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას. ის გარემოება, რომ მ. ა-ის მიერ დავალიანების დაფარვის დროს ყადაღა მოხსნილი იყო, არ ადასტურებს მოთხოვნის უსაფუძვლობას. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი მფლობელის ხელში იყვნენ (სკ-ის 198-ე მუხ.). მოთხოვნის დათმობით ახალ მფლობელზე გადადის მისი უზრუნველყოფის საშუალებებიცა და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებებიც (სკ-ის 201-ე მუხ.). საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მ. ა-ის, როგორც შპს „...ას“ წარმომადგენლის უფლებამოსილება, რომლის თანახმად, მას უფლება გააჩნდა შპს-ს სახელით საქონლის რეალიზაციისას გამოენერა ზედნადები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, ეწარმოებინა საზოგადოების დებიტორული ანაზღაურების ამოღების ნებისმიერი პროცედურა, წარედგინა ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტაცია დავალიანების იძულებითი წესით ამოღების დასასრულებლად. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ მ. ა-ი შპს „...ასთან“ შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე, №30 შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებდა ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების გაგრძელებას მანამ, სანამ ერთ-ერთი მონაწილე არ წარადგენდა წერილობით შეტყობინებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამასთანავე, სააპელაციო პალატის მიერ მოსარჩელის უფლებამოსილების დასადასტურებლად მითითება დებიტორული დავალიანების მ. ა-ის მიერ დაფარვის, შპს-ს წარმომადგენლობის უფლებამოსილებაზე და შრომით ხელშეკრულებაზე არ ქმნიდა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს.

საქმის მასალებში დაცულია შპს „ე...“-ის წარმომადგენლის 10.12.2014წ. განცხადება, რომელშიც აღინიშნა, რომ შპს არის პირველი რიგის მოგირავნე ლ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ავტომობილზე, გირავნობის უფლების წარმოშობის საფუძველია 30.09.2014წ. სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება №110466/თ, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იყენებს მოგირავნის უფლებას, რის საფუძველზედაც მოითხოვა ავტომობილზე რეგისტრირებული ყადაღის გაუქმება. კრედიტორის ხსენებული განცხადების შესახებ არ ეცნობა, მას არ ეცნობა აგრეთვე ყადაღის მოხსნის შესახებ. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან ლ. კ-ს ავტომობილის გარდა არ გააჩნდა საკუთრებაში სხვა ქონება, კრედიტორი ლ. კ-ის კუთვნილ ავტომობილზე აღსრულების მიქცევის ნაწილში უდავოდ წარმოადგენდა დაინტერესებულ პირს, შესაბამისად, კრე-

დიტორისათვის შეუტყობინებლად ავტომობილზე ყადაღის მოხსნის შედეგად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ფაქტობრივად პრევენციული დაცვის გარეშე დატოვა ეს უკანასკნელი, სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა უფლებების სამართლიანი ბალანსის დაცულობა (იხ. სუსგ 03.05.2018წ., საქმე №ბს-849-845(კ-17); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 31.12.2013წ. საქმე №3/ბ-425-2013წ. გადაწყვეტილება). ავტომანქანის ყადაღისაგან გათავისუფლება არ საჭიროებდა მოსარჩელის თანხმობას, თუმცა საჭირო იყო კრედიტორის შეტყობინება აღნიშნულის შესახებ, რათა მას შეძლებოდა სააღსრულებო მოქმედების გასაჩივრება. აღსრულების ეროვნულ ბიურო, მისი ზოგადი ფუნქციის – აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების ხელშეწყობიდან გამომდინარე, ვალდებული იყო მოეხდინა, არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ აღსრულების მიქცევის ხელშემშლელი ფაქტორის, კერძოდ ავტომანქანის ყადაღისგან გათავისუფლების შესახებ არაუზრუნველყოფილი კრედიტორის წინასწარი შეტყობინების უზრუნველყოფა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი კრედიტორსა და მოვალეს ანიჭებს უფლებას გაეცნონ სააღსრულებო მასალებს და მიიღონ აუცილებელი ცნობები. იმის გათვალისწინებით, რომ არაუზრუნველყოფილი კრედიტორი ვერ ივარაუდებდა მოვალის მოძრავი ნივთის ყადაღისგან გათავისუფლებას მას თავად არ გამოუთხოვია ავტომანქანის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა, ვინაიდან მას კანონით განსაზღვრული უფლება ჰქონდა მიეღო აუცილებელი ცნობები და გაცნობოდა სააღსრულებო წარმოების მასალებს, აგრეთვე, ვინაიდან მოვალის მოძრავ ნივთზე ყადაღის დადების ინტერესი სწორედ კრედიტორს ჰქონდა და შესაბამისად, ზემოაღნიშნული სააღსრულებო წარმოების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები, მათ შორის, მოძრავი ნივთის ყადაღისგან გათავისუფლება, პირდაპირ და უშუალო გავლენას მოახდენდა მის უფლებებსა და ინტერესებზე, აღსრულების ეროვნული ბიურო ავტომანქანის ყადაღისგან გათავისუფლებამდე ვალდებული იყო შეეტყობინებინა აღნიშნულის შესახებ არაუზრუნველყოფილი კრედიტორისთვის. ის გარემოება, რომ ყადაღის მოხსნიდან ავტოსატრანსპორტო საშუალება სხვა პირზე რამდენიმე თვის შემდეგ გადაფორმდა (29.06.2015წ.) არ ადასტურებს მოთხოვნის უსაფუძვლობას, ვინაიდან გაურკვეველია თუ როდის შეიტყო კრედიტორმა ყადაღის მოხსნის, აგრეთვე ავტომობილის რეალიზაციის შესახებ. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მ. ა-ისათვის ცნობილი იყო ლ. კ-ის მიერ შპს „ე...“-ის წინაშე ვალის დაფარვისა და მასასადამე გირავ-

ნობის საგანზე ლ. კ-ის საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ.

„საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 19² მუხლის შე-საბამისად შს უფლებამოსილმა ორგანოებმა რეესტრში რეგისტრირებული პირის სახელზე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისას ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და უნდა შეაჩერონ მოვალის ქონების შემდგომი განკარგვის რეგისტრაცია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მონაცემებით, სატრანსპორტო საშუალება, რომლის რეკვიზიტებია, გამოშვების წელი 2002, 2012 წლის 28 აგვისტოდან 2015 წლის 29 ივნისამდე წარმოადგენდა ლ. კ-ის საკუთრებას, 2015 წლის 29 ივნისიდან 2015 წლის 22 დეკემბრამდე ლ. ბ-ის საკუთრებას, ხოლო 2015 წლის 22 დეკემბრიდან გ. ე-ის საკუთრებას. ამდენად, ავტომობილი ორჯერ გასხვისდა. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ავტომანქანის რეალიზაციის შესახებ შეტყობინების ფაქტი, ლ. კ-ის მიერ შპს „... +“-ის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვის შემდეგ ავტომობილზე ყადაღის არ აღდგენის მიზეზები. „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 19⁴ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მხოლოდ კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევაში მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ პირს უფლება აქვს მოახდინოს რეესტრში რეგისტრაციის შედეგად შეზღუდული ქონების განკარგვა. ის, რომ ყადაღის მოხსნა არ იწვევდა რეესტრიდან ამორიცხვას არ ნიშნავს შეტყობინების საჭიროების არარსებობას, ვინაიდან ყადაღის მოხსნა სწორედ რომ ქონების განკარგვის საშუალებას იძლევა. საალსრულებო ბიურომ არც კრედიტორს შეატყობინა ყადაღის მოხსნის შესახებ და არც თავად მიაყურადა გირავნობის საგნის ბედი, მიუხედავად იმისა, რომ ლ. კ-მა შპს „ე...“-ის წინაშე ვალდებულების შესრულების შემდეგ (2015 წლის აპრილი) ავტოსატრანსპორტო საშუალება ლ. ბ-ის სახელზე რამდენიმე თვის შემდეგ გადააფორმა (29.06.2015წ.). თბილისის საალსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა 01.04.2015წ. განცხადებით მიმართა სსიპ შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, რომლითაც მოითხოვა მოვალეთა რეესტრის რეჟიმის არგავრცელება ლ. კ-ის კუთვნილ ავტომობილზე. აღნიშნულის შედეგადაც მოხდა მოვალის კუთვნილი ავტომანქანის რეალიზაცია, ხსენებულის მიუხედავად, 12.02.2016წ. და 29.06.2017წ. ცნობების მიხედვით, სატრანსპორტო საშუალება ლ. კ-ის სახელზე რეგისტრირებული იყო 2015 წლის 29 ივნისამდე, ხოლო გირავნობა 22.12.2015წ. მოიხსნა. გირავნობის უფლება წყდება იმ მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი არსე-

ბობს (სკ-ის 279-ე მუხ.). სესხის თანხის გადახდა ინვევს გირავნობის გაუქმებას, რასაც უნდა გამოეწვია წინარე მდგომარეობის აღდგენა. ვინაიდან კანონის 19⁴ მუხლის შესაბამისად, ყადაღის მოხსნა არ ინვევს მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვას, ხოლო გამარტივებული წარმოების განხორციელების ფარგლებში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 91^{10.3} მუხლით გათვალისწინებული ყადაღის გაუქმების პირობები (განცხადების გამოხმობა, დავალიანების დაფარვა) არ არსებობდა, აღნიშნული განაპირობებდა მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირის ქონების რეალიზაციის კონტროლის აუცილებლობას, რათა უზრუნველყოფილიყო კანონის მოთხოვნა კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში რეალიზაციის განხორციელების შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „ე...“-ის წარმომადგენელმა 10.12.2014წ. განცხადებით მიმართა სააღსრულებო ბიუროს, რომლითაც ითხოვდა გირავნობის საგანზე მოვალეთა რეესტრის რეჟიმის არგავრცელებას. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 14.12.2014წ. წერილით შპს „ე...“-ს ეცნობა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 40¹ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე მოვალე ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული ავტომობილი (სახ. ნომრით: ..., მოდელი:) გათავისუფლდა ყადაღისაგან, თუმცა განმცხადებელს ამავე წერილით ეცნობა აგრეთვე, რომ მოვალე რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, ადრესატს ეცნობა, რომ მოვალის მიმართ ავტომანქანის მოვალეთა რეესტრის შეზღუდვისგან გათავისუფლების რეჟიმი არ ვრცელდება, რადგან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 19⁴ მუხლით გათვალისწინებული საფუძველი სახეზე არ არის. 03.04.2015წ. და 30.04.2015წ. ლ. კ-მა დაფარა შპს „ე...“-ის წინაშე სესხის და გირავნობის № 110466/ თ ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებული დავალიანება, შესაბამისად, შპს „ე...“-ს გირავნობის საგნის რეალიზაცია აღარ დასჭირდა. აღმასრულებელს არ დაუდია ყადაღა ლ. კ-ის სახელზე რიცხულ ავტომობილზე მ. ა-ის სასარგებლოდ, რაც უზრუნველყოფდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. აღმასრულებელმა 01.04.2015წ. წერილით მიმართა სსიპ შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, რომელშიც აღინიშნა, რომ ლ. კ-ი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მომსახურების სააგენტოს ეთხოვა არ გაეგრცელებინა ლ. კ-ის სახელზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებაზე მოვალეთა რეესტრის რეჟიმი. აღნიშნულის საფუძველად წერილში მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 19⁴ მუხლი, რომელშიც მოცემულია პირის რეესტრიდან ამორიცხვის საფუძველები. ხსენებული ნორმის თანახმად, მოგირავნის წარმომადგენლის მიმართვა, ყადაღის მოხსნა არ წარმოადგენს პირის რე-

ესტრიდან ამორიცხვის საფუძველს. აღნიშნული ავალდებულებ-
და აღმასრულებელს ყადაღის მოხსნის შემდეგ გაერკვია მოგირავ-
ნის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი, ნივთის რეალიზაციის
გარეშე მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღ-
მასრულებელი ორგანო ვალდებული იყო ემოქმედა კრედიტორის
ინტერესებში. ხსენებულს არ უარყოფს „სააღსრულებო წარმოე-
ბათა შესახებ“ კანონის 40¹ მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ითვა-
ლისწინებს მოძრავი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების შემ-
თხვევაში ამ ქონებაზე ამავე სააღსრულებო წარმოების ფარგლებ-
ში აღსრულების არ დაშვებას. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს
მოვალის მიერ მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დაფარ-
ვის შემთხვევას (რასაც ადასტურებს აღნიშნული ბლანკეტური
ნორმის მითითება ამავე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებზე), ამას-
თანავე, ნორმა ადგენს იმავე სააღსრულებო წარმოების ფარგლებ-
ში აღსრულების არ დაშვებას, ხოლო განსახილველ შემთხვევაში
ყადაღისაგან მოძრავი ქონება გათავისუფლდა არა მოსარჩელის
მოთხოვნასთან დაკავშირებით დაწყებულ აღსრულების პროცედუ-
რასთან, არამედ მესამე პირის მოთხოვნასთან დაკავშირებით, შე-
საბამისად, ყადაღისაგან განთავისუფლებით არაუზრუნველყოფილ
მოთხოვნაზე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში აღსრულების
შენეწყვეტის საფუძველი არ არსებობდა. ამდენად, ვინაიდან არ არ-
სებობდა აღსრულების შეწყვეტის საფუძველი, ხოლო „სააღსრუ-
ლებო წარმოების შესახებ“ კანონის 25¹ მუხლის თანახმად, სააღ-
სრულებო წარმოების ფარგლებში, აღსრულების დაწყების მომდევ-
ნო ეტაპს სწორედ ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს, ხო-
ლო სააღსრულებო წარმოების მონაწილე კრედიტორის სასარგებ-
ლოდ მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა ლ. კ-ის მიერ შპს „ე...“-ის
დავალიანების დაფარვის შემდეგ, აღსრულების ეროვნული ბიუ-
რო, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, ვალდებული იყო ემოქ-
მედა კრედიტორის ინტერესების დაცვით და დაედო ყადაღა ლ. კ-
ის სახელზე რიცხულ ავტომანქანაზე მ. ა-ის სასარგებლოდ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18³ მუხლის თა-
ნახმად, სააღსრულებო წარმოების მხარესა და დაინტერესებულ
პირს, რომელთა კანონიერ ინტერესზეც პირდაპირ და უშუალო გავ-
ლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, უფლება აქვთ აღსრუ-
ლების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გაა-
საჩივრონ აღმასრულებლის ქმედება, ასეთი ქმედების განხორცი-
ელებიდან 15 დღის ვადაში. საქმის მასალების მიხედვით, მ. ა-მა
16.03.2015წ. საჩივრით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს,
რომელშიც აღნიშნა, რომ ვალის გადაუხდელობის გამო ყადაღა და-
ედო ლ. კ-ის ქონებას, მისი თანხმობის გარეშე აღმასრულებელმა

ყადაღა მოუხსნა ქონებას, რითაც მოვალეს მიეცა შესაძლებლობა ქონება გადაეცა თავის ახლობლისთვის, საჩივრის ავტორმა მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. 16.03.2015წ. №8315 საჩივარში მ. ა-ი აყენებდა არა მხოლოდ ყადაღის მოხნის კანონიერების, არამედ აგრეთვე ავტომანქანაზე საჩივრის მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის საკითხს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საჩივრის წარდგენის მომენტიდან ავტომობილი ლ. კ-ის სახელზე იყო რეგისტრირებული, ავტომობილის რეალიზაცია ლ. კ-ის მიერ რამდენიმე თვის შემდეგ განხორციელდა. მ. ა-ის მიერ პრეტენზიის წარდგენის მიუხედავად, ადმინისტრაციულმა ორგანომ არ მიიღო რაიმე ზომა ავტომობილზე ყადაღის აღსადგენად, რაც იმ პერიოდში სავსებით შესაძლებელი იყო. ზემოაღნიშნულთან ერთად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოთხოვნის დაზუსტების საჭიროებაზე, მოსარჩელე დაზუსტებული სასარჩელო განცხადებებით მოითხოვდა სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარის 24.03.2015წ. №1110 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც საჩივარი განუხილველად დარჩა. მოთხოვნის ამ ნაწილზე საქალაქო სასამართლოს კოლეგიის 24.02.2017წ. განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა სარჩელის დაუმტკიცებლობის გამო, სააპელაციო სასამართლოს 14.04.2017წ. განჩინებით მ. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სსკ-ის 419.3 მუხლის თანახმად აღნიშნული განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. ამასთანავე, საქმეში დაცულია აგრეთვე სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარის 01.10.2015წ. №90491 ბრძანება, რომლითაც საჩივარი არსებითად იქნა განხილული და საჩივრის ავტორს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე. სზაკ-ის 207-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, ხოლო სკ-ის 317.1 მუხლის თანახმად, სამართალურთიერთობის წარმოშობის კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველია დელიქტი. შესაბამისად, დელიქტიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის წარმოშობისთვის აუცილებელი არაა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე განცხადებით მიმართვა და ამ უკანასკნელის მიერ საკითხის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა, ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადებით მიმართვის გარეშე, გამოიყენოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზა დელიქტით უკვე წარმოშობილი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დასადასტურებლად. ამასთან, სზაკ-

ის 12.1 მუხლის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებები, რომლებიც მას ადმინისტრაციული კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით ან რეალაქტებით რეალიზდება (სუსგ №ბს-444-444(კ-18), 17.04.2019წ.). ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის თითოეული სამართლებრივი ფორმის მიმართ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების დაცვის ადმინისტრაციულ საპროცესო საშუალებებს. ამდენად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ასეთის გამოცემის შემთხვევაში, არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ამდენად ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმა, რომელიც ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას. სასკ-ის 28¹ მუხლის შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. რაც შეეხება ხანდაზმულობას, სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე საალსრულებო ბიუროსაგან მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, ხოლო საქმეში დაცულია ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოთხოვნა უნდა მოიცვას ხსენებული აქტის ბათილად ცნობა. სარჩელის შინაარსისა და მისი აღძვრის (04.05.2015წ.) მომენტის გათვალისწინებით, აღნიშნული იქნება არა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა, არამედ, მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნის – ზიანის ანაზღაურების გათვალისწინებით, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მოყვანილ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო ვალდებულების განწილვადება არ წარმოადგენდა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, მ. ა.ს. ჯერ როგორც თავდაპირველი კრედიტორის წარმომადგენელს, ხო-

ლო შემდეგ როგორც კრედიტორს შეეძლო დაედო მოვალესთან შეთანხმება შესასრულებელი ვალდებულების გადანაწილებაზე. აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა არც სარჩელზე უარის თქმის და არც საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების საფუძველს, თუმცა გარკვევას საჭიროებს დარჩენილი დავალიანების ოდენობა, სააპელაციო პალატას საქმეზე არ დაუდგენია თანხის რა რაოდენობა აქვს გადახდილი მოვალეს კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ვალის დაფარვის გრაფიკის მიხედვით. საქმეში დაცულია აღსრულების თანხების გადახდევინების დამადასტურებელი ეროვნული ბიუროს მიმართვები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს ნივთის აღწერისა და დაყადაღების 26.02.2014წ. აქტის თანახმად, ყადაღა დაედო მოვალის მოძრავ ქონებას – სარეცხ მანქანას, ტელევიზორს, ლეპტოპს. სააღსრულებო მოქმედების შესახებ 26.02.2014წ. ოქმით დასტურდება, რომ მოვალემ გამოთქვა სურვილი გამოეყიდა დაყადაღებული სარეცხი მანქანა, რომელიც შეფასდა 300 ლარად, მოვალემ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეიტანა ნივთის შეფასების თანხა – 300 ლარი, რის გამოც ნივთის გატანა აუქციონზე აღმასრულებლის მიერ არ მოხდა. რაც შეეხება ლეპტოპს, მისი გატანა საჯარო აუქციონზე არ მომხდარა მისი უვარგისობის გამო. აუქციონზე მოხდა ტელევიზორის გატანა, რომლის რეალიზაციის ფასმა, აღმასრულებლის 01.06.2015წ. განკარგულებით, 40 ლარი შეადგინა. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ 24.01.2014წ. შეტყობინების მიხედვით აპლიკანტის შპს „...ას“ მოთხოვნა შეადგენდა 18 360 ლარს, რასაც ემატებოდა გამარტივებული წარმოების საფასური 167,20 ლარი, სულ 18727,20 ლარი. გამარტივებული წარმოების სამსახურის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ 26.02.2014წ. №... ბრძანებით ლ. კ-ს დაეკისრა 18360 ლარის გადახდა. დავალიანების ოდენობასთან დაკავშირებით საქმის მასალებში განსხვავებული მონაცემებია. კრედიტორის მიერ აღსასრულებელი დოკუმენტი სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარმოდგენილ იქნა იძულებითი აღსრულების მიზნით. სააღსრულებო დოკუმენტის წარმოებაში მიღების შესახებ 20.11.2014წ. განცხადებაში, აგრეთვე აღმასრულებლის მიერ 26.11.2014წ. ლ. კ-ისთვის გაგზავნილი გადაწყვეტილების შესრულების შესახებ წინადადებაში და 26.11.2014წ. ქონებრივი ნუსხის წარმოდგენის შესახებ შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ კრედიტორის სასარგებლოდ მოვალეს გადასახდელად დაეკისრა 15855 ლარის გადახდა. თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსი აღმასრულებლის 24.03.2016წ. №30111 ნერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მისაღები თანხა შეადგენდა

16 172,1 ლარს 10.12.2014წ. მდგომარეობით (317 ლარი მოსარჩელეს გადახდილი აქვს აღსრულების მიზნით სააღსრულებო დოკუმენტის წარმოებაში მიღების შესახებ 20.11.2014წ. განცხადებაზე, რაც ჯამში შეადგენს 16172 ლარს). შპს „...ას“ დირექტორს 20.01.2016წ. №1 ცნობის თანახმად, 01.01.2016წ. მდგომარეობით ი/მ „ლუიზა კ-ზე“ რიცხული დებიტორული დავალიანების თანხა – 17841,70 ლარი დაფარა მ. ა-მა. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 24.03.2016წ. მდგომარეობით, მოთხოვნის ოდენობა/მისაღები თანხა 16 172,1 ლარს შეადგენდა. საქმის მასალების მიხედვით თავდაპირველი სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ (04.05.2015წ.), მოსარჩელემ რამდენჯერმე მიმართა სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით, რომლებიც შეიცავენ განსხვავებულ მოთხოვნებს, რაც იწვევს სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების საჭიროებას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დავა არსებითად არ გადაწყვეტილა, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დავის არსებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით, აღნიშნულის გამო საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად გადაწყვიტოს დავა. სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. საკასაციო პალატა არ არის შებოჭილი ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლოს პროცესუალური როლის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო. მტკიცებულებების გამოკვლევასა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე უფლებამოსილი სასამართლო სააპელაციო სასამართლოა. სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპების დაცვით იღებს და შემდეგ აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას. განსახილველ საქმეში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში არსებით სა-

კითხვებზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნების არარსებობის გამო საკასაციო პალატა მათზე არსებით მსჯელობას ვერ იქონიებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორების მოსაზრებას, კერძოდ, მართებულია საკასაციო პრეტენზიები საქმის სააპელაციო სასამართლოს მიერ არსებითად განხილვის საჭიროების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის.

სკ-ის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. მ. ა-ი საკასაციო საჩივრით ასაჩივრებს აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.2018წ. განჩინებას საქმის საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის თაობაზე მ. ა-ის შუამდგომლობის უარყოფის შესახებ და სააპელაციო პალატის 04.12.2018წ. განჩინებას საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის გამოთხოვაზე უარის შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ა-ს მიმართული აქვს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, საიდანაც მიღებული აქვს პასუხი გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო (იხ. მაგ. შს სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 28.11.2015წ. №MIA81502652174 წერილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს გამოძიების 15.02.2016წ. №962 წერილი). ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.02.2018წ. კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი შპს „ე...“-ს და ლ. კ-ს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა (სუს 18.07.2018წ.

განჩინებით მ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი). შპს „ე...“-ის ყველა ქმედება, კერძოდ, სესხის და გირავნობის ხელშეკრულების დადება, სააღსრულებო ბიუროსათვის მიმართვა ყადაღის მოხსნის თაობაზე, ლ. კ-ის შესრულების მიღება – კანონიერად იქნა ცნობილი, სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ე...“-ს და ლ. კ-ს შორის შეთანხმების მოჩვენებითობას არ ჰქონდა ადგილი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 62.1 მუხლის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 4.1 მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში მყოფ სასამართლო გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს ხელშეკრულების ნამდვილობის პრეზუმირების საკმაო საფუძველს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდება დოკუმენტის სიყალბე, არ არსებობს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დოკუმენტის, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების სიყალბის გამო საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის საფუძველი. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების დაძლევა არ ხდება ახალი საჩივლის შეტანით. სსკ-ის 266-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავოდ განხადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. სსკ-ის 265-ე მუხლის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება დაუშვებელია, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა, რომელშიც ამავე კოდექსის მე-11 კარით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძველები მოიაზრება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

რაც შეეხება საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე მ. ა-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.2018წ. განჩინებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები, სასამართლო იმ შემთხვევაში ახდენს კონკრეტული სუბიექტისაგან მტკიცებულებათა გამოთხოვას, უკეთუ მხარე დაადასტურებს მტკიცებულებების მის მიერ მოპოვების შეუძლებლობას (სსკ-ის 134.2 მუხ.). საქმის მასალების მიხედვით, არ დასტურდება მ. ა-ის მიერ საჯარო რეესტრიდან კონკრეტული დოკუმენტაციის გამოთხოვისა და მიღე-

ბის შეუძლებლობა. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 6.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში მ. ა-ი საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის გამოთხოვას ითხოვს წარსულში ლ. კ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების გასხვისების საფუძვლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად. საქმის მასალებით არ დასტურდება აღნიშნულ გასხვისებასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში დაცული მონაცემების გაცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარის თქმა. სასამართლოს შესაძლებლობა სათანადო წინაპირობების არსებობისას გამოითხოვოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, არ ანაცვლებს მხარის აქტივობის საჭიროებას. სწორედ მხარემ უნდა წარადგინოს ის მტკიცებულებები, რომლებზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს (სსკ-ის 102.1 მუხ.). ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, თუ საქმისთვის მნიშვნელოვანი რა გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით (სსკ-ის 134.3 მუხ.). მ. ა-ს სათანადოდ არ დაუსაბუთებია სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობაზე მსჯელობის მიზნით საჯარო რეესტრიდან აღნიშნული დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დასაბუთება:

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და მ. ა-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.12.2019წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.2018წ. განჩინება საქმის საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემის შესახებ მ. ა-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;

4. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.12.2018წ. განჩინება საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მ. ა-ის შუამდგომლობის უარყოფის თაობაზე;

5. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის დადგენის კრიტერიუმი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1031(კ-20)

21 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: შენობის დემონტაჟით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ც. ბ-მა 22.05.2007წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ. სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ ც. ბ-მა მოითხოვა: ქ. თბილისში, ...ის ტერიტორიაზე, ... №... მისამართზე ც. ბ-ის საკუთრებაში დანგრევამდე არსებული 651 კვ.მ. შენობა-ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში – ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 24.01.2003წ. №2043 ბრძანებით დამტკიცებული (კორექტირებული) საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად აღდგენა, მიყენებული მატერიალური ზიანის – 3 580 500 აშშ დოლარის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის – 2007 წლის პირველი სექტემბრიდან ყოველთვიურად, გადაწყვეტილების აღსრულებამდე, 5000 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ანაზღაურება, იურიდიული მომსახურების – დავის საგნის ღირებულების 2%-ის ოდენობით გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.07.2007წ. განჩინებით სარჩელზე შეწყდა წარმოება დაუშვებლობის გამო, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ც. ბ-ის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.11.2007წ. განჩინებით ც. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაუშვებლად ცნობის ნაწილში და საქმე აღნიშნულ ნაწილში განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება ქმედების განხორციელების – შენობა-ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის დაუშვებლად ცნობის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.10.2010წ. საოქმო განჩინებით ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, რაც გაასაჩივრა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.2011წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 18.10.2010წ. საოქმო განჩინება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. პალატამ აღნიშნა, რომ მხოლოდ მითითება შენობა-ნაგებობის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ უკანონოდ დანგრევის შესახებ არ ქმნის სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობას, ვინაიდან დასახელებული ნორმით მესამე პირად ჩაბმის ვალდებულება წარმოიშება მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი არის იმ სამართალური თიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.04.2011წ. გადაწყვეტილებით ც. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე კონსტიტუციურ დებულებაზე, რომლის თანახმად ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე

ვერ დადგინდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, ის უნდა დადასტურდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. რადგან შესაბამისი განაჩენი მიღებული არ არის, ამ ეტაპზე მოპასუხეს ვერ დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.04.2011წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2011წ. განჩინებით ც. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ც. ბ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.11.2011წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ც. ბ-მა 06.07.2009წ. №42293/09 და 20.01.2012წ. №8443/12 საჩივრებით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომლის 12.06.2018წ. გადაწყვეტილებით, ევროპული კონვენციის 37.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მითითებული საჩივრები ამოირიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის 07.07.2017წ. წერილი, რომლითაც მთავრობამ ევროპულ სასამართლოს წარუდგინა განაცხადი ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის აღიარების თაობაზე და მიუთითა სსკ-ის 423.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.10.2018წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ც. ბ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08.07.2011წ. განჩინება და განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.06.2020წ. განჩინებით ც. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაეთანხმა და დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გა-

რემოვებები: დამთავრებული სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების 23.05.2003წ. №123 აქტით, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ...ის ტერიტორია, ... №...-ში მდებარე 651 კვ.მ ფართის ორსართულიანი საზოგადოებრივი კვების ობიექტი, სარდაფით. საჯარო რეესტრის 19.06.2003წ. ამონაწერის მიხედვით, ქ. თბილისში ...ის ტერიტორიაზე, ... №... მისამართზე, 737 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 651 კვ.მ შენობა-ნაგებობების მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო ც. ბ-ი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის 25.07.2007წ. სარჩელის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 09.10.2007წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი მიწაზე, მდებარე ქ. თბილისში, ...ის ტერიტორიაზე, ... №..., რომელიც ადასტურებდა ც. ბ-ის საკუთრების უფლებას მითითებულ მიწის ნაკვეთზე, საჯარო რეესტრის ჩანაწერი შენობა-ნაგებობების ნაწილში სასამართლომ ბათილად არ სცნო იმ მოტივით, რომ მას საკუთრების უფლება ამ ნაწილში მოპოვებული ჰქონდა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის კანონსაწინააღმდეგობა არ იყო დადგენილი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ...ის ტერიტორია, ... №...-ში მდებარე 651 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა აღარ არსებობს, მოხდა მისი სრული დემონტაჟი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა კონკრეტულად ადგილობრივი თვითმართველობის, თბილისის მერიის და ან მისი თანამშრომელთა მიერ, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დელეგირების ან დავალების საფუძველზე კერძო პირის მიერ მოსარჩელის შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განხორციელება, ამასთან პოლიტიკურ და თანამდებობის პირთა საუბრებში მოხსენიებული არ იყო კონკრეტულად ც. ბ-ი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ საქმეში მოსარჩელეს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ნამდვილად მოპასუხის ან მის დაქვემდებარებაში მყოფი რომელიმე საქალაქო სამსახურის თანამშრომლის მიერ ქ. თბილისში ...ის ტერიტორიაზე, ... №... მისამართზე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დემონტაჟთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია საქალაქო სასამართლოს მიერ მესამე პირად ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ჩაბმის შესახებ 18.10.2010წ. საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.2011წ. განჩინება, რომლითაც არ იქნა გაზიარე-

ბული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მიერ შენობა-ნაგებობის დანგრევა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რომლებიც დაადასტურებდა თბილისის მერიის მიერ ც. ბ-ის კუთვნილი შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ფაქტს, ხოლო სხვისი ქონების ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე არათუ დანგრევა, არამედ დაზიანებაც ინვესტორის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 187.1 მუხლის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 40.1 მუხლის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამდენად, სააპელაციო სასამართლო აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას და მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე ვერ დგინდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე ის უნდა დადასტურდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, შესაბამისი განაჩენი დღეისათვის მიღებული არ არის, რის გამოც მოპასუხეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ვერ დაეკისრება შენობის აღდგენის და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. აპელანტის/მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდებოდა, რომ მან არაერთხელ მიმართა მთავარ პროკურატურას, თუმცა არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება მისი დაზარალებულად ცნობის თაობაზე და ქ. თბილისის მერიის კონკრეტულ საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებათა ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნის/გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.06.2020წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ც. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებასთან მიმართებით არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე¹“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ც. ბ-მა წარმოადგინა პრეტენზია (შედავება), არ დაეთანხმა სა-

ქალაქო და სააპელაციო სასამართლოების დასკვნას ფაქტობრივი გარემოების დაუდასტურებლობის თაობაზე და აღნიშნა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა დაანგრია მოპასუხემ. კასატორს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ შენობა-ნაგებობის უკანონო დემონტაჟით დაირღვა მისი საკუთრების უფლება და მიადგა ქონებრივი ზიანი, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვს. ამასთან, კასატორმა მიუთითა ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც უკვე მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 09.10.2007წ. გადაწყვეტილება. კერძოდ, კასატორის მოსაზრებით მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მის საკუთრებას, რის საფუძვლადაც მიუთითებს „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონს, ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 18.03.2002წ. საინვენტარიზაციო გეგმას და სკ-ის 1513-ე მუხლს. ამასთან, კასატორი თვლის, რომ ქ. თბილისის მერიამ ხანდაზმულობის ვადის დარღვევით მიმართა სასამართლოს 25.07.2007წ. სარჩელით მიწის ნაკვეთზე ც. ბ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.11.2007წ. განჩინებით ც. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაუშვებლად ცნობის ნაწილში საქმე განხილვისთვის დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო ქმედების განხორციელების – შენობა-ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის დაუშვებლად ცნობის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.07.2007წ. განჩინება დარჩა უცვლელი. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემული საქმის დავის საგანი შეეხება არა

შენობა-ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, არამედ მოპასუხისთვის ზიანის მხოლოდ ფულადი სახით ანაზღაურების დაკისრებას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სკ-ის 1005.1 მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას გამოორიცხავს სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის არარსებობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 24.09.2010წ. კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც მანამდე პრეიუდიციულ ძალას ანიჭებდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ცალკეულ ფაქტთან მიმართებით, ცვლილება განიცადა აგრეთვე სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტმა, რის შედეგადაც სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს აღარ წარმოადგენს საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვა. ხსენებული ცვლილებებით კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოხდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცებითი სტანდარტების ურთიერთგამიჯვნა. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოება არაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე როგორც სისხლის სამართალწარმოება – სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე. ამასთან, პრეიუდიციული ძალის არ ქონა არ გამოორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლოს არ ერთმევა უფლებამოსილება იმსჯელოს განაჩენზე, მისი არსებობის შემთხვევაში, როგორც წერილობით მტკიცებულებაზე და გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მასში ასახული ფაქტობრივი გარემოებები (სუსგ №ბს-144-141(2კ-14), 22.01.2015წ.). ამდენად, არ არის სრულიად გამორიცხული სისხლის სამართლის საქმის შედეგის განსხვავება ადმინისტრაციული საქმის შედეგისგან და პირიქით. სხვაობა შესაძლოა ახსნილ იქნეს სამართლის შესაბამისი დარგით მონესრიგებული პასუხისმგებლობის სხვადასხვაგვარი მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობებით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili-Bolkvadze v Georgia), no. 58240/08, §87). სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი

წინაპირობები უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო ინდივიდის დასჯას, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივის – დელიქტური სამართალურთიერთობის მონაწილე ორგანოს მიერ ზიანის მიყენებით ხელყოფილი უფლების აღდგენას. პასუხისმგებლობის წინაპირობების სხვაობა შედეგად იწვევს მტკიცების სტანდარტების სხვადასხვა საფეხურის გამოყენებას სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე. ამდენად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებლად მოწმდება სკ-ის 1005.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობა.

მართალია, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში მყოფ განაჩენს ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, სსკ-ის XXXIV³ თავის მიხედვით, შეუძლია გამოიწვიოს საქმის გამარტივებული წესით განხილვა, თუმცა ასეთის არ არსებობა არ ნიშნავს სარჩელის აღძვრის შეუძლებლობას, ასეთი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსათუოდ უარის თქმას. სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი, გარემოების მტკიცების თვალსაზრისით, სარჩელის განხილვის წესის გამარტივების საფუძველია. განაჩენის არარსებობა იწვევს მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საერთო წესით განხილვას და არა მის დაკმაყოფილებაზე უპირობო უარის თქმას. სარჩელი, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო დაცვის საშუალება, სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტურ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება. სარჩელი მოიცავს როგორც პროცესუალურ ელემენტს (სასამართლოსადმი მიმართვის უფლება), ისე მატერიალურ-სამართლებრივს (სარჩელის წარმდგენი პირის უფლება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე). სარჩელის წარმდგენის უფლება არის სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის ფორმა. სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას გულისხმობს, ხოლო შინაარსობრივად ყოვლისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს, რაც ნიშნავს საჯარო ხელისუფლების ყველა მოქმედების თუ გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმების შესაძლებლობას.

სსკ-ის 407.2 მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ

დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა და ამით მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ც. ბ-ის საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟის განუხორციელებლობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა არ არის დასაბუთებული, არ ემყარება საქმის მასალებს, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ამ გარემოების მიმართ კასატორს წარმოდგენილი აქვს დასაშვებები და დასაბუთებული პრეტენზია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა იხელმძღვანელეს მტკიცების სტანდარტის საფეხური, რომელიც გამოიყენება სისხლის და არა ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ შეუფასებიათ საქმეში დაცული მტკიცებულებები, სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ ნორმაზე მითითებით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სკ-ის 1005.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია ორგანოს სახელწოდებით მოქმედი იმ ფიზიკური პირის იდენტიფიცირება, რომლის ქმედებამაც გამოიწვია ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 1005.1 მუხლით მოწესრიგებულ დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები გამომდინარეობენ საქართველოს კონსტიტუციის 18.4 და სზაკ-ის 208-ე მუხლებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. სზაკ-ის 208.2 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. მითითებული ნორმები ორიენტირებული არიან ქმედების განმარტების მიხედვით ორგანოს და არა ინდივიდის პასუხისმგებლობაზე. ორგანიზაციაზე (სახელმწიფოზე) ორიენტირებული პასუხისმგებლობის დროს ზიანის გამომ-

წვევი ქმედების ორგანოსთვის შესარაცხად აუცილებელი არაა ქმედების განმახორციელებელი კონკრეტული ინდივიდის ან ინდივიდების ვინაობის დადგენა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მოქალაქე სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება რთული სტრუქტურული აგებულების მქონე ორგანოსთან, შესაბამისად ანგარიშგასანეგია ორგანიზაციის გარეთ მყოფი პირის გაურკვევლობა დანესებულების სამუშაო და ფუნქციონირების საკითხებში. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზიანის წარმომშობი საქმიანობის განმახორციელებელი კონკრეტული ფიზიკური პირის ვინაობის დადგენის საჭიროება სზაკ-ის 208-ე, სკ-ის 1005.1 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, თუმცა უნდა დასტურდებოდეს ორგანოს მონაწილეობა დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში. ასეთი პირის ვინაობის დაუდგენლობით გამოწვეული ნეგატიური შედეგების ტვირთი ეკისრება არა მოქალაქეს, არამედ სახელისუფლებო სუბიექტს, რადგან ეს უკანასკნელი, მოქალაქისგან განსხვავებით, ვალდებულია ავლენდეს კომპეტენტურობას მის უფლებამოსილებაში შემავალი სფეროების მიმართ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში მოპასუხე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ზიანის მიმყენებლის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ხელმყოფს მოსთხოვოს ზარალის რეგრესის წესით მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის გამომწვევი ქმედების ადმინისტრაციული ორგანოსათვის შესარაცხად გადამწყვეტია ის, თუ ვის უფლებამოსილებაში შედიოდა იმ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს შედეგის განსაზღვრას, მოცემულ შემთხვევაში – პირის ნების საწინააღმდეგოდ მის საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. მიმდინარე ურბანულ პროცესებზე ზედამხედველობა ქ. თბილისის მერიის კომპეტენციაში, მის საგნობრივ უფლებამოსილებაში შედიოდა, რის გამოც მას ეკისრებოდა იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომლებიც მოკვლევის შემდგომ საფუძვლად უნდა დაედებოდა შედეგის განსაზღვრას, მას უნდა ჰქონოდა ინფორმაცია დემონტაჟის განხორციელების დასაბუთებისთვის საჭირო ფაქტებზე. მოსარჩელის საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟის მომენტისთვის მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16.2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმდინარე მშენებლობებზე ზედამხედველობა, როგორც საჯარო-სამართლებრივი ამოცანის განხორციელება, თვითმმართველი ერთე-

ულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნებოდა. სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის პერიოდში მოქმედი „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ 20.02.1998წ. კანონის 4.2 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდებოდა წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მერიის მეშვეობით, ამავე კანონის 4.4 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მერია (ქ. თბილისის მთავრობა, ქ. თბილისის რაიონების გამგეობები) წარმომადგენდა თვითმმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა ქ. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. ქ. თბილისის საკრებულოს 12.10.2006წ. №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის დებულების“ 4.1 მუხლის მიხედვით, დედაქალაქის თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემა – ქალაქ თბილისის მერია მოიცავდა ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურულ დანაყოფებს. ქ. თბილისის მერის 26.12.2006წ. №22 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების“ 1.1 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური წარმომადგენდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებდა სახელმწიფო ზედამხედველობას ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დებულების მიხედვით, სამსახურის ფუნქციას შეადგენდა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერება ან/და დემონტაჟი, მათ მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენება, დედაქალაქში მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობაზე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების ვალდებულება, ასევე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების შემოწმების, მათი საქმიანობის შეჩერების, აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანი ან ნაწილობრივი დემონტაჟის მოხდენა (3.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 4.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები). ამდენად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და შესაბამისად მერიას, რომლის ორგანიზაციული მოწყობის შემადგენელი ნაწილი იყო ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, ეკისრებოდა მოსარჩელის საკუთრებაში არ-

სებული შენობის დემონტაჟის პროცესის კონტროლი.

სამართლებრივი ურთიერთობა მოიაზრებს სამართლის ნორმის საფუძველზე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე კავშირს სამართლის ორ ან მეტ სუბიექტს შორის. ზოგადი ურთიერთობა სახელისუფლებო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირსა და მოქალაქეს შორის არ არის სამართალურთიერთობა, რადგან მას აკლია მისთვის აუცილებელი კონკრეტიზება. სამართლებრივ ურთიერთობაში საჯარო უფლებამოსილების მქონე ორგანო მონაწილეობს ფიზიკური პირის მეშვეობით, რომლის საქმიანობის შედეგად სახელისუფლებო სუბიექტი ხდება ქმედუნარიანი (სუსგ №ბს-1037(კ-18), 23.07.2020). როგორც ფიზიკური პირის სამსახურებრივი სტატუსი იმთავითვე არ ნიშნავს სამართალურთიერთობაში საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტის მონაწილეობას, ისევე მისი ვინაობის დაუდგენლობა არ გამოორიცხავს აღნიშნულს. ამდენად, ორგანიზაციის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ, რამდენად დასტურდება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე აღნიშნული ორგანოს მიერ ზიანის გამომწვევი საქმიანობის განხორციელება.

ვინაიდან ფაქტობრივი გარემოების დადგენისას საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა იხელმძღვანელებს მტკიცების იმაზე მაღალი სტანდარტით, ვიდრე ამას საჭიროებს სკ-ის 1005.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილება, დაუსაბუთებელია ქვედა ინსტანციის დასკვნა ზიანის გამომწვევი საქმიანობის – დემონტაჟის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელების დაუდასტურებლობის შესახებ. საქმეზე არ არის გამოკვლეული და შეფასებული იურიდიულად მნიშვნელოვანი გარემოება – ის, თუ რამდენად მონაწილეობდა მოპასუხე ორგანო განსახილველ დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში. აღნიშნულისთვის გამოსაყენებელია მტკიცების სტანდარტის ის საფეხური, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობის – დემონტაჟის განხორციელების ფაქტისა და შესაბამისად მისი დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის დასადგენად აუცილებელი არაა ქმედების ჩამდენი კონკრეტული ინდივიდის იდენტიფიცირება, თუმცა საჭიროა ორგანოს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა. საქმის გარემოების დადგენისას მხედველობაშია მისაღები საქმის მასალებში დაცულ ვიდეოჩანაწერებში ასახული ინფორმაცია, კერძოდ, სხვადასხვა თანამდებობის პირის განმარტებები ...ის ტერიტორიაზე არსებული რესტორნების დემონტაჟის თაობაზე. მართალია, აღნიშნულ განცხა-

დებებში სახელობით არაა მითითებული ც. ბ-ი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საქმის მასალების მიხედვით მოსარჩელის საკუთრებაში არსებული და ექსპლუატაციაში მიღებული შენობა (რესტორანი) მდებარეობდა ...ის ტერიტორიაზე, ... №...-ში. ვიდეოჩანაწერში, ერთ-ერთი რესტორნის მიმდებარედ, ასახულია არაერთი პირი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და საპატრულო პოლიციის მოსამსახურეთა ფორმებით. მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რომლებიც ახსნიდნენ აღნიშნული პირების სამსახურებრივი ფორმებით ...ის ტერიტორიაზე განლაგებას. სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა საქმეში დაცული საგაზეთო პუბლიკაციები რესტორნების დემონტაჟის დაწყების პროცესთან დაკავშირებით. ამასთან, საქმის მასალებში დაცულია ობიექტის დემონტაჟის განხორციელებამდე ც. ბ-ის განცხადება ქ. თბილისის მერის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრისა და სახალხო დამცველის მიმართ, სადაც აღნიშნულია შენობის მოსალოდნელი დემონტაჟისა და მისი განხორციელებისგან თავის შეკავების თაობაზე, ასევე სახალხო დამცველის 25.04.2007წ. წერილი ქ. თბილისის მერის მიმართ, რომლითაც მიცემულია რეკომენდაცია ც. ბ-ის მიმართვის შესწავლისა და შესაბამისი რეაგირების მოხდენის საჭიროების თაობაზე, ასევე მიზანშეწონილად ჩაითვალა მოქალაქესთან მოლაპარაკების დაწყება და სათანადო კომპენსაციის შეთავაზება. წერილის გაცემის დროისთვის მოქმედი „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად რეკომენდაციების გაგზავნას იმ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიულ პირისათვის, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა (21-ე მუხ. „ბ“ ქვ.პ.). სახალხო დამცველის რეკომენდაციის ან წინადადების ადრესატი ვალდებული იყო ერთი თვის ვადაში განეხილა და წერილობით ეცნობებინა საქართველოს სახალხო დამცველისათვის განხილვის შედეგები (24-ე მუხ.). ზემოაღნიშნულ მიმართვებზე ქ. თბილისის მერიის მიერ რაიმე ფორმით რეაგირების – მათზე პასუხის გაცემის ან მათი სხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადაგზავნის რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. სახალხო დამცველის 2007 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენების მიხედვით, ც. ბ-ის საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟი განხორციელდა ყოველგვარი ადმინისტრაციული წარმოებისა და რაიმე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გარეშე. ყურადღებას იქცევს მითითებული მოხსენების ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია შემდეგი:

„ქ. თბილისის მერიამ სახალხო დამცველს მიმართვის პასუხად აცნობა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება. დღეისთვის მოქალაქესთან (ც. ბ-თან) მიმდინარეობს საკომპენსაციო თანხაზე მოლაპარაკება.“ მხედველობაშია მისაღები, რომ სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი და მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენებებში მითითებულია საქმეები, რომლებზედაც სახალხო დამცველის მოსაზრებით, ქ. თბილისის მერიის მიერ დაირღვა მესაკუთრეთა უფლებები და მათ უნდა მიეცეთ სათანადო კომპენსაცია, მათ შორის დასახელებულია ც. ბ-ის საქმეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებულია კასატორის პრეტენზია (შედავება) ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოპასუხის დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის დაუდასტურებლობის თაობაზე. მოპასუხის მიერ შენობის დემონტაჟის განხორციელების ფაქტი სასამართლომ უარყო საქმეში დაცული მტკიცებულებების შეფასების გარეშე, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ არაა დასაბუთებული, თუ რატომ არ ადასტურებს მოპასუხის მიერ შენობის დემონტაჟის ფაქტს საქმეში დაცული მტკიცებულებები, რითაც დაირღვა სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დასკვნის გამოტანის შესახებ. ასეთ პირობებში გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას არ ადასტურებს მითითება იმაზე, რომ საქმეში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რის საფუძველზეც დემონტაჟი განხორციელდა, მოპასუხეს არ წარმოუდგენია რაიმე აქტი აღნიშნულთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. აღნიშნული არის არა დემონტაჟის განუხორციელებლობის, არამედ დემონტაჟის კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით განხორციელების მაჩვენებელი. იმჟამად მოქმედი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონი, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მსგავსად (საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 123-ე მუხ.), სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ითვალისწინებდა წარმოების ჩატარებას. ხსენებული კანონის 4¹ მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებდა მიწერილობის გაცემას, დარღვევის გამოსწორებისთვის ვადის მიცემას. ვადის გასვლა, უნებართვო მშენებლობის თაობაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიწერილობის შეუსრულებლობა წარმოადგენდა შემონმების აქტის შედგენის, დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს (4¹.3 და 4¹.4

მუხ.). არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება თავისი ბუნებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. აქტის გამოუცემლობა არ იძლეოდა ობიექტის დემონტაჟამდე მისი სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, ამასთანავე, საქმეში დაცულია ობიექტის დემონტაჟამდე ც. ბ-ის მიმართეები სხვადასხვა ორგანოების მიმართ, შესაბამისად სახეზე არაა ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოება ზიანის თავიდან ასაცილებლად ზომების მიუღებლობა (სკ-ის 1005.2 მუხ.).

კანონიერ ძალაში მყოფი სააპელაციო სასამართლოს 17.02.2011წ. განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა ზედამხედველობის სამსახურის კერძო საჩივარი და გაუქმდა საქალაქო სასამართლოს განჩინება მესამე პირად საქმეში ზედამხედველობის სამსახურის ჩაბმის შესახებ, ეხება პროცედურულ საკითხს, შესაბამისად მას ვერ მიენიჭება პრეიუდიციული მნიშვნელობა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის საკითხის – დემონტაჟის განმხორციელებელი სუბიექტის მიმართ, მით უფრო, რომ საქმეში არ მოიპოვება ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივრის მოსარჩელისთვის გაცნობის, განჩინების ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამდენად, ობიექტის დემონტაჟთან დაკავშირებით ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითება სააპელაციო პალატის 17.02.2011წ. განჩინებაზე, რომლითაც სამსახური არ იქნა ჩაბმული მესამე პირად, არ ადასტურებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმის მართებულობას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენას, რადგან ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის განსაზღვრის მიზნით საქმეში წარმოდგენილია ექსპერტიზის ორი ურთიერთგანსხვავებული დასკვნა. სასამართლოსთვის არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (სსკ-ის 105-ე მუხ.), მათ შორის საექსპერტო დასკვნას, რომელიც სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და ფასდება სსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, თუმცა სასამართლოს მიერ უნდა დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნის გაზიარებაზე უარის თქმა (სსკ-ის 172-ე მუხ.). საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს არ შეუფასებიათ და ერთმანეთისთვის არ შეუდარებიათ დანგრეული შენობის ღირებულებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები – შპს „ტესტ აუდიტორული კომპანიის“ 28.05.2008წ. აუდიტორული დასკვნა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 05.05.2010წ. №8727/04/19 დასკვნა.

შპს „ტექსტ აუდიტორული კომპანიის“ 28.05.2008წ. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, დანგრევამდე 631.0 კვ.მ. შენობის საბაზრო ფასი 3580500.00 აშშ დოლარით განისაზღვრა. ექსპერტმა შეფასებისას ძირითადად იხელმძღვანელა თბილისის ძველ უბანში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას (მათ შორის სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ აუქციონზე) დაფიქსირებული 1 კვ.მ.-ის ღირებულებით, რომლებიც მერყეობდა 4000.00-დან 7000.00 აშშ დოლარამდე, გამოყენებულ იქნა საშუალო საბაზრო ფასი. შესაბამისად, მოსარჩელის საკუთრებაში დანგრევამდე არსებული შენობის 1 კვ.მ.-ის ღირებულება შეფასდა 5500.00 აშშ დოლარის ექვივალენტად ლარებში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში მყოფი 09.10.2007წ. გადანყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა ც. ბ-ის საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე ძალაში შესვლის დღიდან. მართალია, 28.05.2008წ. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, 3580500.00 აშშ დოლარი მხოლოდ შენობის საბაზრო ფასია, თუმცა იმავე დასკვნაში პირდაპირაა მითითებული, რომ შეფასებისას ექსპერტმა მხედველობაში მიიღო 737.0 კვ.მ. მიწის მოსარჩელის კერძო საკუთრებაში არსებობა. ამასთან, შესაძარებლად გამოყენებული ობიექტიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო დასკვნით დადგენილი საშუალო საბაზრო ფასის განსაზღვრა მასში მიწის ნაკვეთის ღირებულების გათვალისწინების გარეშე, კერძოდ, საშუალო საბაზრო ფასის დასადგენად ექსპერტმა შედარებითი მეთოდის საფუძველზე შენობის ღირებულების განსაზღვრისას იხელმძღვანელა სახელმწიფოს მიერ გასხვისებული კომერციული ფართების გასაყიდი ფასით, რომელიც მოიცავდა არამხოლოდ შენობაზე, არამედ ნილობრივ მიწის ნაკვეთზე გადასაცემ საკუთრების უფლებასაც, რაც თავის მხრივ შეუსაბამობაშია იმ მოცემულობასთან, რომ მიწაზე ც. ბ-ის სასარგებლოდ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო ჩანაწერი ბათილად არის ცნობილი. გარდა ამისა, შესაძარებლად გამოყენებულია ქ. თბილისში, მხოლოდ რუსთაველის გამზარზე მდებარე კომერციული ფართები, რომელთაგან ერთ-ერთია არაკვების ობიექტი, არამედ მაღაზია, მითითებული არაა დემონტირებული შენობის ახლოს, მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლო არსებული კომერციული ობიექტების ღირებულების შესაძარებლად გამოყენებაზე უარის თქმის მოტივები. შენობის საბაზრო ფასის გამოთვლისას მიწის ნაკვეთის ფასის გათვალისწინების მართებულობის, ასევე კომერციული ობიექტების ფასის განსაზღვრისას გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ საკითხები ქვედა ინსტან-

ციის სასამართლოების მიერ არ შეფასებულა.

ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 05.05.2010წ. №8727/04/19 დასკვნის მიხედვით, 2007 წლის მდგომარეობით დანგრეული შენობის 1 თვის გასაქირავებელი ღირებულება (მინის ნაკვეთის გასაქირავებელი ღირებულების გამორიცხვით) საორიენტაციოდ შეადგენდა 2200.00 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში. ექსპერტიზამ პასუხი არ გასცა მის წინაშე სასამართლოს მიერ გამოსაკვლევად დასმულ პირველ შეკითხვას შენობის ღირებულების შესახებ (მინის ნაკვეთის ღირებულების გამორიცხვით). ექსპერტიზის დასკვნით განისაზღვრა შენობა-ნაგებობის 1 კვ.მ. სადემონტაჟო ღირებულება და მთლიანი 651 კვ.მ. შენობის დემონტაჟის შედეგად ნარჩენი მასალის ღირებულება. დასკვნით განისაზღვრა, რომ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი მსგავსი ტიპის დასანგრევი შენობის 1 კვ.მ.-ის ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენდა 20 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, შესაბამისად მთლიანი 651.0 კვ.მ. შენობის ნარჩენმა ღირებულებამ შეადგინა – 13000.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. ანაზღაურებას დაქვემდებარებულ, ფაქტობრივ ქონებრივ დანაკლისად შენობის ნარჩენის მიჩნევასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 17.12.2019წ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადგინდა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ანაზღაურების მიკუთვნებისას, განსხვავებული ფაქტორებისა და არგუმენტების პირობებში, დანგრეული შენობის ღირებულების დადგენისა და შესაბამისად ანაზღაურების თანხის განსაზღვრის განმარტების სისწორესა და მერიის ქმედების უკანონობის გათვალისწინებით, დადგენილი ანაზღაურების ოდენობის სამართლიანობისა და საკმარისობის საკითხზე (17.12.2019წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ხიზანიშვილი და კანდელაკი საქართველოს წინააღმდეგ“ (Khizanishvili and Kandelaki v Georgia), no. 25601/12, §54). ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებს არ მიეცათ სამართლიანი ანაზღაურება მათი საკუთრების უკანონო დანგრევის სანაცვლოდ, ვინაიდან შენობის დანგრევის შედეგად დარჩენილი სამშენებლო მასალის ღირებულების ასანაზღაურებელ სრულ ზიანად მიჩნევა შეფასდა არასამართლიან და არასაკმარის ანაზღაურებად, რადგან არსებობდა აშკარა სხვაობა ფუნქციონირებად (მომუშავე) შენობის ღირებულებასა და მისი დანგრევის შედეგად დარჩენილი სამშენებლო მასალის ღირებულებას შორის (§58). ექსპერტიზის დასკვნაში არ არის მოყვანილი რაიმე განმარტება იმის ასახსნე-

ლად, თუ რატომ უთანაბრდებოდა შენობის დანგრევის შედეგად დარჩენილი მასალების ღირებულება შენობის ღირებულებას დანგრევამდე (§57). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი განისაზღვრება შენობის დემონტაჟამდე არსებული, ფუნქციონირებადი ნივთის და არა მისი ნარჩენი სამშენებლო მასალის ღირებულებით. განსახილველი საქმის გარემოებების თავისებურებიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ უნდა იქონიოს მსჯელობა შენობის ნაკვეთის გარეშე ღირებულების შეფასების შესაძლებლობაზე. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 05.05.2010წ. №8727/04/19 დასკვნაში ექსპერტების მითითებით მიწის ნაკვეთის გარეშე შენობას საბაზრო ღირებულება არ გააჩნია, თუმცა მეორე მხრივ იმავე დასკვნის კვლევით ნაწილში აღნიშნეს, რომ მიწის ნაკვეთის ღირებულება შეადგენდა 142 500 აშშ დოლარს. აღნიშნულის დასადაგენად გამოყენებულ იქნა ამოღების (ექსტრაქციის) მეთოდი, რომელიც მოიაზრებდა მთლიანი უძრავი ქონების ღირებულებისთვის დანახარჯების მეთოდით შეფასებული შენობის ღირებულების გამოკლებას. კაპიტალიზაციის მეთოდით მთლიანი უძრავი ქონების ღირებულებად დადგინდა 468 000 აშშ დოლარი. 651 კვ.მ. შენობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებად განისაზღვრა 325 500 აშშ დოლარი. ამდენად, მიწის ნაკვეთის ღირებულებად განისაზღვრა (468 000-ს გამოკლებული 325 500) 142 500 აშშ დოლარი. მითითებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობის მართებულობას დაეთანხმა ასევე ც. ბ-ის წარმომადგენელი.

საქმეზე დადგენას საჭიროებს მოსარჩელის მიმართ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ოდენობა, კერძოდ შენობის საორიენტაციო ღირებულება, რომელიც უნდა იყოს სამართლიანი და საკმარისი. შენობის საორიენტაციო ღირებულების გამოთვლა შესაძლოა სხვადასხვა მეთოდით (დანახარჯების, შედარებისა და შემოსავლების მეთოდები), რომელთა შერჩევა დამოკიდებულია მათ გამოსაყენებლად საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. რამდენიმე მეთოდის გამოყენების შესაძლებლობის შემთხვევაში, მეთოდის გამოსაყენებლად მოპოვებული ინფორმაციის საიმედოობისა და სისრულის გათვალისწინებით, შემფასებელი განსაზღვრავს შენონვის კოეფიციენტს, რათა შეჯერდეს სხვადასხვა მეთოდით მიღებული შედეგები. მხოლოდ ერთი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, დასკვნაში მიეთითება სხვა მეთოდების გამოყენების შეუძლებლობის მიზეზი. შენობის საორიენტაციო ღირებულების შეფასებისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები შენობის ადგილმდებარეობა, ფართის დანიშნულება, შენობის კავშირი საჯარო გზასთან და სხვა გარემოებები,

რომლებსაც მნიშვნელობა აქვს შენობის საორიენტაციო ღირებულების დადგენისთვის. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 05.05.2010წ. №8727/04/19 დასკვნით, დემონტირებული შენობის საბაზრო ღირებულება შეფასდა დანახარჯების მეთოდით და შენობის 1 კვ.მ.-ის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრა საშუალოდ 500 აშშ დოლარით, რაც მოიცავდა მსგავსი ტიპისა და დანიშნულების შენობის ამენების ღირებულებას ექსპლუატაციის ვადის გათვალისწინებით. მთლიანი 651 კვ.მ. შენობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ 325 500 აშშ დოლარი შეადგინა. იგივე საკითხთან დაკავშირებით, შპს „ტესტ აუდიტორული კომპანიის“ 28.05.2008წ. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, შენობის საბაზრო ღირებულება 3580500.00 აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 11-ჯერ აღემატება ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შედეგებს. სსკ-ის 172.2 მუხლის მიხედვით, თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები. სსკ-ის 162.1 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში, შენობის საბაზრო ღირებულების დადგენის გარეშე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნის გადაწყვეტა შეუძლებელია. ამასთან, დასაშვებია რომელიმე დასკვნისთვის უპირატესობის მინიჭება დასკვნის ყოველმხრივი და კრიტიკული შეფასების საფუძველზე, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ მოუხდენიათ. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქვეს საქმეში დაცული საექსპერტო დასკვნების შეფასების გარეშე.

სკ-ის 408.1 მუხლიდან გამომდინარე, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებულის უფლებების აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში. ქონებრივ ზიანად მიიჩნევა ნეგატიური სხვაობა პირის არსებულ ქონებრივ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა ზიან-

ნის გამომწვევი ქმედების გარეშე. ნივთის განადგურებისას მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაკმაყოფილება შესაძლებელია ორი გზით: პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით ან ფულადი კომპენსაციის გადახდით. სკ-ის 409-ე მუხლი ითვალისწინებს ერთ-ერთი გზით კრედიტორის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა შენობის აღდგენის და მისი ღირებულების მოპასუხეზე დაკისრებას, რაც სცილდება ზიანის ანაზღაურების ფარგლებს. ამასთანავე, უკვე აღინიშნა, რომ სააპელაციო პალატის 06.11.2007წ. განჩინებით შენობა-ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის დაუშვებლად ცნობის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.07.2007წ. განჩინება დარჩა უცვლელად.

მოსარჩელე ითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის, არამედ აგრეთვე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას. სკ-ის 411-ე მუხლით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს ქონებრივი ზიანის ორ სახეს: ფაქტობრივად დამდგარ (რეალურ) ქონებრივ დანაკლისსა და მიუღებელ შემოსავალს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ, რის გამოც ზიანის მოცულობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.2016წ.), პირის იმაზე უკეთეს ქონებრივ მდგომარეობაში აღმოჩენა, ვიდრე იგი იქნებოდა ზიანის გამომწვევი ქმედების არ არსებობის შემთხვევაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ ქონებრივ ნაშემტს, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. სავარაუდო შემოსავალი, რომლის მიღებაც მოსალოდნელი იყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების ისეთი ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებით ეჭვის საფუძველს. მხედველობაშია მისაღები მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირ-

თი ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს აკისრია. ამასთან, მოსალოდნელი შემოსავალი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით. შემოსავლის მიუღებლობა დასტურდება იმგვარი მტკიცებულებებით, რომლებიც ქმნიან ქონებრივი ნამეტის მიღების მოსალოდნელობასთან დაკავშირებით ობიექტურ, რეალურ სურათს და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე (სუსგ №ბს-740-736(კ-17), 16.05.2019წ.). მიუღებელი შემოსავლის ოდენობის გამოთვლისას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისგან განუყოფელი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის პრინციპი, რომელიც ემსახურება მხოლოდ მტკიცებულებებით დადასტურებული განაცდური ქონებრივი ნამეტის ანაზღაურებასა და პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას. განსახილველ საქმეში ც. ბ-ის მოთხოვნას შეადგენს იმ შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც იგი მიიღებდა დემონტირებული შენობის გაქირავებით 2007 წლის პირველი სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. სკ-ის 412 მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. აღნიშნული ნორმა მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ვალდებულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ვალდებულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით და/ან დაზარალებულის სუბიექტური შეხედულებებით. ამდენად, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის დადგენის კრიტერიუმია არა მისი წარმოშობის ზოგადი შესაძლებლობის არსებობა, არამედ მოვალისთვის წინასწარ სავარაუდობა. ზიანის სავარაუდობის გონივრულობის განსასაზღვრად დასაშვებია დაზარალებულის მიერ წარსულში განხორციელებული, ასევე განუხორციელებელი მოქმედებების გათვალისწინება. საქმის მასალების მიხედვით, ქონებაზე ც. ბ-ის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტია 13.03.1997წ. ჩუქების ხელშეკრულება. შენობის დემონტაჟი, მოსარჩელის მითითებით, 10 წლის შემდგომ 2007 წლის აპრილში მოხდა. საკასაციო პალატა, აღნიშნავს, რომ გაქირავების გზით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანად მიჩნევისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ქონების საკუთრებაში არსებობის მანძილზე შენობის იჯარით გაცემის თაობაზე მესაკუთრის ნე-

ბის გამოვლენის დამადასტურებელი მტკიცებულება – ქონების იჯარით გაცემის შესახებ წერილობითი ხელშეკრულება ან სხვა ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მოვალისათვის ზიანის წარმოშობის წინასწარი ვარაუდის არსებობას. საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ შენობის იჯარით გაცემა, იჯარის გაცემით შემოსავლის მიღება. ობიექტის იჯარით გაცემის გზით ზიანის დადგომის წინასწარი ვარაუდის არსებობის დადასტურების შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავლის ოდენობის გამოთვლისას გასათვალისწინებელია ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ფართის საიჯარო ქირის საორიენტაციო მოცულობის პერიოდი (მისი კონკრეტული მომენტისთვის თუ მთლიანი პერიოდისთვის განსაზღვრა), მხედველობაშია მისაღები იმ ფაქტორების ცვალებადობა, რომლებიც წარმოიშობა შეფასების თარიღის შემდეგ და შესაძლოა გავლენა იქონიონ საბაზრო სიტუაციაზე (სუსგ №ბს-740-736(კ-17), 16.05.2019წ.) და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის საიჯარო ღირებულებაზე (კომერციული ფართების მიმართ საბაზრო მოთხოვნის გაზრდა-შემცირება, ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება და სხვ.). ამდენად, მოსარჩელის მტკიცება 2007 წლის პირველი სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე შენობის, ქირის თანხის ერთი და იმავე ოდენობით, უცილობლად და უწყვეტად გაქირავებისა და ამ გზით შემოსავლის მიღების თაობაზე დაუსაბუთებელია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავალი არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. იგი არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვის გარეშე (სუსგ №ას-848-806-2013წ.). სწორედ ბრუნვის ნორმალური განვითარება მოითხოვს იმის გათვალისწინებას, რომ ნაკვეთი სხვა სუბიექტის საკუთრებაში იმყოფებოდა და შესაბამისად შენობის მესაკუთრეს მოუწევდა მიწის ნაკვეთით სარგებლობისთვის თანხის გადახდა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა მიუღებელი შემოსავლის გამოთვლისას იმ ხარჯის გათვალისწინებასთან დაკავშირებით, რომელიც მოსარჩელეს შესაძლოა გასაწევი ჰქონოდა მის საკუთრებაში არსებული შენობის სხვა სუბიექტის მიწის ნაკვეთზე მდებარეობიდან გამომდინარე, კერძოდ, როდესაც შენობისა და მის ქვეშ არსებული მიწის მესაკუთრე სხვადასხვა პირია, სკ-ის 179.2 მუხლის საფუძველზე, შენობის მესაკუთრემ მიწის მესაკუთრეს ყოველწლიურად, წინასწარ უნდა გადაუხადოს ფულადი კომპენსაცია მიწის სარგებლიანობის შემცირების თმენის საწევლოდ. კომპენსაცია გამოითვლება იმ ფართის (საიჯარო) ქი-

რის ოდენობის შესაბამისად, რომელიც დაკავებულია შენობით (სუსგ №ას-78-74-2013, 07.05.2013წ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უძრავი ქონების დანიშნულების მიუხედავად შესაძლებელია მისი იჯარით გაცემა და ამ გზით შემოსავლის მიღება, თუმცა, საცხოვრებელი ფართისგან განსხვავებით, კომერციული ფართით მესაკუთრის მიერ სარგებლობა უპირველესად მიმართულია შემოსავლის მიღებისკენ. ასეთ შემთხვევაშიც, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობის განხილვისას მონმდება მოვალისთვის ზიანის დადგომის წინასწარ სავარაუდოობა, რისთვისაც დასადგენია ის, თუ რამდენად ახორციელებდა მოსარჩელე კომერციულ საქმიანობას შენობის გამოყენების გზით ამ უკანასკნელის დემონტაჟამდე. ც. ბ. ის მითითებით, მის საკუთრებაში არსებულ შენობაში განთავსებული იყო და საქმიანობდა გაზეთის რედაქცია. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ მოსარჩელემ საკუთრების უფლება შეიძინა ჟურნალისტთა დამოუკიდებელ ასოციაციასთან დადებული 13.03.1997წ. ჩუქების ხელშეკრულებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 09.10.2007წ. გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 11.03.1990წ. №278 განკარგულებით ნება დაერთო ჟურნალისტთა დამოუკიდებელ ასოციაციას განთავსებულიყო ...ის ტერიტორიაზე ახალციხის რაიონის მიერ აგებულ პავილიონში დროებით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.1997წ. №12.137.791 დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად, მიწათმოსარგებლე ორგანიზაციების ვადად განისაზღვრა რიყის ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გადანყვეტილების რეალიზების ვადა. ექსპლუატაციაში მიღების 23.05.2003წ. №123 აქტის თანახმად, შენობა წარმოადგენდა კვების ობიექტს. ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის თვალსაზრისით, დღეს მოქმედი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15.03.2019წ. №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით, რიყის ტერიტორიის ფუნქციურ ზონად განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ამავე დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 53-ე მუხლის თანახმად, სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან მის გარეთ არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. აღნიშნული სამართლებრივი რეჟიმი გამორიცხავს რიყის პარკის ტერიტორიაზე კვე-

ბის ობიექტის არსებობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე ...ის ტერიტორიაზე რესტორნის ფუნქციონირების შედეგად სარგებლის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის თვალსაზრისით, საკრებულოს 30.12.2014წ. №20-105 დადგენილებით ასევე დამტკიცებული იყო დედაქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა, ხოლო საკრებულოს 05.06.2009წ. №6-17 გადაწყვეტილებით დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომლებითაც ტერიტორიას ასევე მინიჭებული ჰქონდა სარეკრეაციო ზონის სტატუსი. მიუღებელი შემოსავლის გამოანგარიშების მიზნით, საქმეზე უნდა დადგინდეს რიყის ტერიტორიისთვის სარეკრეაციო ზონის განსაზღვრის პერიოდი.

საქმის მასალებს არ ემყარება და დაუსაბუთებელია საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მის საკუთრებაში იმყოფებოდა მიწის ნაკვეთი. კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 09.10.2007წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი მოპასუხე ც. ბ-ის მიმართ, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა ც. ბ-ის საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე. საქალაქო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული მოპასუხე ფიზიკური პირის მოსაზრება „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიწის ნაკვეთზე ც. ბ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ 13.03.1997წ. ჩუქების ხელშეკრულებით ც. ბ-ს საკუთრებაში არ გადასცემია მიწის ნაკვეთი, ხოლო თავად გამჩუქებელს პავილიონი გადაცემული ჰქონდა დროებით სარგებლობაში. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.1997წ. №12.137.791 დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად, მინათსარგებლე ორგანიზაციების ვადად განისაზღვრა რიყის ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტილების რეალიზების ვადა. სასამართლომ მიუთითა, რომ ჩანაწერის განხორციელების დღეს მოქმედი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ კანონის 2.3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა დროებითი სარგებლობის უფლებით გამოყოფილ იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების

მოთხოვნისთანავე მოყვანილ უნდა იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში რაც აღნიშნულია მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ საბუთში. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული კანონი არ წარმოშობდა ც. ბ-ის საკუთრების უფლებას. ასევე გაზიარებულ არ იქნა მოპასუხე ფიზიკური პირის მოსაზრება ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 18.03.2002წ. საინვენტარიზაციო გეგმის საფუძველზე მიწის ნაკვეთზე ც. ბ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.07.2008წ. განჩინების მიხედვით, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 09.10.2007წ. გადაწყვეტილება, საინვენტარიზაციო გეგმაში მიწის ნაკვეთის ფართად ჯერ მითითებულია 268 კვ.მ., ხოლო შემდეგ 737 კვ.მ., საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილ უძრავი ქონების დოკუმენტებში 2002 წლის საინვენტარიზაციო გეგმის საფუძველები არ მოიპოვებოდა, შესაბამისად გაურკვეველი იყო, თუ რის საფუძველზე წარმოეშვა ც. ბ-ს საკუთრების უფლება 737 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. სააპელაციო სასამართლო ასევე არ დაეთანხმა მოპასუხე ფიზიკური პირის მოსაზრებას სსკ-ის 1513-ე მუხლის საფუძველზე მიწის ნაკვეთზე ც. ბ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე, რადგან აღნიშნული ნორმა შეეხება ისეთ მიწის ნაკვეთებს, რომლებზედაც განლაგებულია ინდივიდუალური სახლი, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში, სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების 23.05.2003წ. №123 აქტის თანახმად, მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო კვების ობიექტი. ასევე არ იქნა გაზიარებული ც. ბ-ის მოსაზრება ქ. თბილისის მერიის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაუცველად სარჩელის შეტანის თაობაზე. საკასაციო სასამართლოს 25.02.2009წ. განჩინების მიხედვით, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.07.2008წ. განჩინება, მიწის ნაკვეთზე ც. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების დარღვევით რეგისტრაციის შესახებ მერიისთვის ცნობილი გახდა ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 19.07.2007წ. წერილით, რომელიც თბილისის მერიის კანცელარიაში გატარდა 19.07.2007წ., ნომერით 06/9308. მერიამ სასამართლოს სარჩელით მიმართა 25.07.2007წ.. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები დაცულად იქნა მიჩნეული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ის არის იმ ნაკვეთის მესაკუთრე, რომელზედაც განთავსებული იყო შენობა, ეწინააღმდეგება კანონიერ ძალაში მყოფ თბილისის საქალაქო სასამართლოს 09.10.2007წ. გადაწყვეტილებას. სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით ც. ბ-ის საკუთრებაში იმყოფებოდა არა მიწის ნაკვეთი, არამედ

შენობა-ნაგებობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 62.1 მუხლის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 4.1 მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტები სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სსკ-ის 266-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში მყოფ სასამართლო გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების დაძლევა არ ხდება ახალი სარჩელის შეტანით. სსკ-ის 266-ე მუხლის დარღვევით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავოდ გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. სსკ-ის 265-ე მუხლის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება დაუშვებელია, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა, რომელშიც ამავე კოდექსის მე-11 კარით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძვლები მოიაზრება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დავა არსებითად არ გადაწყვეტილა, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დავის არსებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით, აღნიშნულის გამო საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად გადაწყვიტოს დავა, სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. საკასაციო პალატა არ არის შეზოჭილი ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლოს პროცესუალური როლის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო. მტკიცებულებების გამოკვლევა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე უფლებამოსილი სასამართლო სააპელაციო სასამართლოა. სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპების დაცვით იღებს და შემდეგ აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც

უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას. განსახილველ საქმეში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში არსებით საკითხებზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის არარსებობის გამო, საკასაციო პალატა მათზე არსებით მსჯელობას ვერ იქონიებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემომწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსთვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.06.2020წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მომვლელის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების
შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობა**

**გადაწყვეტილება
საპარტვილოს სახელით**

№ბს-737(2კ-19)

24 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: მომვლელის ხარჯის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ე-მა 31.05.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ პროთეზების დამზადების ღირებულების – 64494,05 ევროსა და 25080,80 ევროს ანაზღაურების, მორალური ზიანის – 2004 წლის 24 აგვისტოდან თვეში 5000 ლარის ანაზღაურების, მიუღებელი შემოსავლისა და სარჩოს – 2004 წლის 24 აგვისტოდან თვეში 3000 – 3000 ლარის ანაზღაურების და სამედიცინო მომვლელის ხარჯის – 2004 წლის 24 აგვისტოდან თვეში 5452,30 ლარის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით. დავის საქალაქო სასამართლოში განხილვისას ვ. ე-მა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება 500 000 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 21.08.2004წ. აჭარის ა/რ, ...ში აფეთქდა ტანკსანიანალმდეგო ნაღმზე. მიღებული დაზიანებების შედეგად ჩაუტარდა ქვედა კიდურების ამპუტაცია, ქვედა კიდურები ამპუტირებულ იქნა მარჯვენა მუხლს ზედა და მარცხენა მუხლს ქვედა სეგმენტებიდან. 2005 წელს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ქ. დუდერშტადტში, კლინიკა „...-ში“ დამზადდა მექანიკური პროთეზი (საქართველოში ასეთი არ მზადდება), რომლის ექსპლუატაციის ვადა შეადგენს ორ წელს, ხოლო პროთეზის ერთ-ერთი ნაწილის (პროთეზის ფეხზე მიმაგრების დეტალის)ვარგისიანობის ვადა მხოლოდ ექვსი თვეა და იგი პაციენტისათვის ინდივიდუალურად მზადდება. მოსარჩელის ყველა მცდელობა არსებული მდგო-

მარეობით გამოიყენოს პროთეზი ინვევს დამატებით ტრავმებს, ხოლო ეტლით გადაადგილება გამოიციხავს მოსარჩელის გადაადგილებას გადაუდებელი საჭიროებების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც კი. ამასთანავე, ეტლში მუდმივად ჯდომა წარმოშობს ზურგის ტკივილებს და ჯანმრთელობის დამატებით პრობლემებს. არსებული მდგომარეობა მოსარჩელეში ინვევს ნერვულ აშლილობას, ქრონიკულ უძილობას და დეპრესიას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ორმხრივი ამპუტაციის პირობებში წარმოიშობა მუდმივი მომვლელის საჭიროება, მომვლელის დახმარება საჭიროა აგრეთვე ნებისმიერი პროთეზით სარგებლობის შემთხვევაში (პროთეზის მორგება, ჰიგიენური პროცედურები და ა.შ.). მოსარჩელემ მიუთითა აგრეთვე შრომის უნარის დაკარგვის გამო მიუღებელი შრომის ანაზღაურების გადახდის საჭიროებაზე. სახელმწიფომ არ მიიღო სათანადო ზომები მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად, არც ტრავმების შემდგომ ჩატარებულა ადეკვატური გამოძიება. სახელმწიფომ აღიარა კიდეც აღნიშნული ფაქტები, ამდენად, მოსარჩელის დასახიჩრება და აქედან წარმოშობილი ყველა ხარჯი სწორედ სახელმწიფოს ბრალეულობით არის გამონვეული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 01.09.2016წ. განჩინებით, სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.02.2017წ. გადაწყვეტილებით ვ. ე-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 20 000 ლარის, პროთეზის ღირებულების – 64494,05 ევროსა და 25080,80 ევროს (ეკვივალენტი ლარში), 2004 წლის 24 აგვისტოდან ყოველთვიური სარჩოს – 1903 ლარის, 2004 წლის 24 აგვისტოდან სამედიცინო მომვლელის ხარჯის – ყოველთვიურად 1642,5 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.10.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.04.2018წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქ-

მეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი სამინისტროსათვის ვ. ე-ის სასარგებლოდ მორალური ზიანისა და პროთეზის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.10.2017წ. განჩინება აღნიშნულ ნაწილში დარჩა უცვლელი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი სამინისტროსათვის ვ. ე-ის სასარგებლოდ სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში დასაშვებად იქნა ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.07.2018წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.10.2017წ. განჩინება სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის განვლილ პერიოდზე სრულად ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, უდავოდ დასტურდება, რომ სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ – მიეღოთ ყველა საჭირო პრევენციული უსაფრთხოების ზომა სიცოცხლისათვის საშიში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად – გამოიწვია ვ. ე-სათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება, რაც ქმნის ვ. ე-სათვის ზიანის ანაზღაურების ზოგად დაფუძველს ყოველთვიური სარჩოს გადახდით. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ხანდაზმულობის ინსტიტუტის მიზნებზე, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადის ათვისების თავისებურებებზე, გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა მოსარჩელისათვის სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში, თუმცა არ დაეთანხმა თანხის ანაზღაურებას 2004 წლის 24 აგვისტოს პერიოდიდან და მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რადგან ვ. ე-ის შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული ხარისხი, დასახიჩრების შეუქცევადი შედეგი, ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი და მკვეთრი დარღვევით, აღნიშნულის შედეგად აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლა, ნერვიული განცდები ტრავმის მიღებისთანავე – 2004 წელს იყო ცხადი, ხოლო სარჩელი აღიძრა 2016 წელს. საკასაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 3.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძ-

ლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებით და სანარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისთვის. ამავე კანონის 26.1 მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო ან საყოფაცხოვრებო მომსახურებას. სკ-ის 409-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა, აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთი მხრივ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება ნატურით ან მაშინ, როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს 2004 წლის 24 აგვისტოდან 2016 წლის 31 მაისამდე (სარჩელის აღძვრამდე) სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, არ იკვეთება ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების, შეწყვეტის, მატერიალურ და მორალურ ზიანთან ერთად სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის გამომრიცხავი გარემოება.

სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას ვ. ე-მა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნული თანხის ანაზღაურება მოითხოვა 2013 წლის 31 მაისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.02.2019წ. განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაბმულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.03.2019წ. გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.02.2017წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-5 პუნქტების შეცვლით ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის 31 მაისიდან ყოველთვიურად სარჩოს – 1903 ლარის ანაზღაურება, ვ. ე-ის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა ვ. ე-ის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ. პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლზე, სზაკ-ის 207-ე, 208-ე მუხლებზე, სკ-ის 992-ე, 408-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ან/და იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ – მიეღო ყველა საჭირო პრევენციული უსაფრთხოების ზომა სიცოცხლისათვის საშიში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად – გამოიწვია ვ. ე-სათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება, რამაც წარმოშვა მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების ზოგადი საფუძველი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. პალატამ ყურადღება გაამახვილა ხანდაზმულობის ინსტიტუტის მნიშვნელობასა და მიზნებზე, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით სკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურ წესზე და აღნიშნა, რომ ყოველთვიურად სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება. პალატამ მიიჩნია, რომ არ იკვეთება, 2004 წლის 24 აგვისტოდან 2016 წლის 31 მაისამდე (სარჩელის აღძვრამდე) სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების, შეწყვეტის, მატერიალურ და მორალურ ზიანთან ერთად სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ხანდაზმულობის ვადის ათვლის გამომრიცხავი გარემოება. სკ-ის 129-ე მუხლის თანახმად, სპეციალური მოწესრიგების საგანია პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნები, რომელთათვისაც ხანდაზმულობის სამწლიანი ვადაა გათვალისწინებული. შესაბამისად, ამგვარ მოთხოვნებზე შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის კუთვნილი თანხის ანაზღაურება. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის 2013 წლის 31 მაისიდან სარჩოს ხარჯების დაკისრების შესახებ კანონიერი იყო. სამედიცინო მომ-

ვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 26.1 მუხლზე, რომლის თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას ბინაზე ან სტაციონალურ დაწესებულებებში. ამდენად, სახელმწიფო უზრუნველყოფს რა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ დაცვას, ითვალისწინებს არა მომვლელის ხარჯების ანაზღაურებას, არამედ მომვლელის დანიშვნას, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ ვ. ე-მა მომვლელის ან დამხმარის დანიშვნის მოთხოვნით უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების ორგანოს. სკ-ის 409-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა, აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება ნატურით ან მაშინ, როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამდენად პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.03.2019წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ვ. ე-ის მიერ.

კასატორმა ვ. ე-მა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა მომვლელის ხარჯის ანაზღაურების და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საკასაციო პალატის მითითებები. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არ გამოირიცხებოდა სამედიცინო მოვლის ფულადი დაკმაყოფილების შესაძლებლობა, როგორც უკანასკნელი ღონისძიება. სკ-ის 409-ე მუხლის თანახმად, ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა, აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთი მხრივ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება ნატურით ან როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია სახელმწიფოსაგან მომვლელის მომსახურების მიღების თეორიული შესაძლებლობის არსებობაც კი. პალატამ არ გაითვალისწინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის პოზიცია, რომლის თანახმად, მომვლელის დანიშვნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ ხორციელდებოდა. კასატორის მოსაზრებით, საკასაციო სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობა იყო ერთადერთი საკითხი, რომლის გამოც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა. კასატორს მიაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მითითებები ეხებოდა მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის საკითხების შესწავლას. ამ კუთხით უზენაესი სასამართლოს მსჯელობის გათვალისწინებით, ვ. ე-მა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებით, რადგან სწორედ ამ მიზნით დაბრუნდა საქმე ხელახლა განსახილველად, სააპელაციო პალატა გასცდა უზენაესი სასამართლოს მითითებებს. კასატორი თვლის, რომ მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას, სააპელაციო პალატას უნდა დაესაბუთებინა, რომ ვ. ე-ს ჰქონდა მომვლელის მომსახურების მიღების შესაძლებლობა. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 26.1 მუხლის დანაწესის მიუხედავად, კასატორს არ აქვს რეალური შესაძლებლობა სახელმწიფოსგან მიიღოს მომვლელის მომსახურება. კასატორის მოსაზრებით, კანონის 26.1 მუხლის რეალიზება გულისხმობს, რამდენიმე ნორმატიული აქტის მიღებას, რომელთა გარეშე აღნიშნული ნორმა ვერ განხორციელდება. არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებებს გამოყოფდა სამედიცინო მოვლისათვის, არც მომვლელის გამოყოფისა და დანიშვნის დადგენილი პროცედურა არსებობს. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც მიიღება ყოველი წლის დეკემბერში და მომდევნო წლის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკას განსაზღვრავს, 2000 წლიდან დღემდე არ ითვალისწინებს სამედიცინო მომვლელის სერვისის მინოდების პროგრამას და შესაბამისად ამისათვის საჭირო ასიგნების გამოყოფის რეგულაციას. საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს აგრეთვე „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამებს“, არც ერთი ასეთი დადგენილება არ ადგენდა სამედიცინო მოვლის შესაძლებლობას ისეთ პირთა ნაწილში, რომლებიც არიან ზრდასრულნი და შშმპ სტატუსის მქონენი სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის გარეშე. გარდა ამისა მუნიციპალიტეტები საკუთარი ბიუჯეტის შესაბამისად დამტკიცებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ფარგლებში ახორციელებენ მიზნობრივი ჯგუფებისათვის ბინაზე მოვლის მომსახურებას,

თუმცა მუნიციპალიტეტი თვითონ განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფს, პრიორიტეტებს და დახმარების მოცულობას (დახმარება შესაძლოა არ იყოს ყოველდღიური), ამასთანავე, მუნიციპალიტეტი ახდენს მხოლოდ თანადაფინანსებას. გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სერვისით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ სოციალურად დაუცველ პირებს. კასატორი არ არის სოციალურად დაუცველი პირი, თუმცა ესაჭიროება სამედიცინო მოვლა, რომელსაც ვერ იღებს სახელმწიფოსაგან, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ მომვლელის დანიშვნისთვის ვერ აკმაყოფილებს სოციალური სტატუსის მოთხოვნას. კასატორი რომც აკმაყოფილებდეს მუნიციპალური პროგრამის მოთხოვნებს, ეს არ შეიძლება განხილულ იქნეს სახელმწიფოს მიერ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის“ კანონის 26.1 მუხლის დანაწესის რეალიზების შესაძლებლობად, რადგან მუნიციპალური პროგრამა არ არის საერთო სახელმწიფოებრივი წესი, შინმოვლის მომსახურების მიწოდება ხდება ტერიტორიული ნიშნით, შინმოვლის სამედიცინო სერვისის მოცულობა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის ყოველწლიურ საბიუჯეტო შესაძლებლობებზე, სერვისის მიწოდება დამოკიდებულია პირის სოციალურ სტატუსზე და აღნიშნული პროგრამა ხორციელდება თანადაფინანსებით. ამდენად, კასატორს არ აქვს თეორიული შესაძლებლობაც კი, რომ სახელმწიფოსაგან მიიღოს სამედიცინო მომვლელის მომსახურება. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა მოქმედი კანონქვემდებარე აქტების შინაარსი რამდენად აძლედა ვ. ე-ს სამედიცინო მომვლელის მომსახურების სერვისით სარგებლობის შესაძლებლობას და აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მიეღო გადაწყვეტილება. კასატორი თვლის, რომ უკეთეს სასამართლოს მოსაზრებით ვ. ე-ს მომვლელის დანიშვნა უნდა მოეთხოვა, მაშინ სააპელაციო პალატას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებასთან ერთად უნდა დაებრუნებინა საქმე პირველ ინსტანციაში განსახილველად, რათა მოსარჩელისათვის ყოფილიყო შეთავაზებული მოთხოვნისა და შესაბამისი მოპასუხის დაზუსტება. კასატორი მიიჩნევს, რომ ვინაიდან სამედიცინო მომვლელის დანიშვნის რეალური შესაძლებლობა არ არსებობს, ამიტომ მოპასუხემ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მომვლელის ხარჯის ანაზღაურება. კასატორი თვლის, რომ უსწორთა აგრეთვე სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც უარი ეთქვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.02.2021წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა

მეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.03.2019წ. გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ვ. ე-ს სასარგებლოდ 2013 წლის 31 მაისიდან ყოველთვიური სარჩოს – 1903 ლარის ანაზღაურების ნაწილში. ვ. ე-ს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ვ. ე-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 21.08.2004წ. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დაბა ჩაქვიში გადაადგილებისას, ვ. ე-ი (დაბადების თარიღი: 01.01.1982წ.) აფეთქდა ტანკსანინაალმდეგო ნალმზე. მიღებული დაზიანებების შედეგად ჩაუტარდა ქვედა კიდურების ამპუტაცია, ქვედა კიდურები ამპუტირებულ იქნა მარჯვენა მუხლს ზედა და მარცხენა მუხლს ქვედა სეგმენტიდან. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე სხვა არაერთი დაზიანების მიღება, მათ შორის დაზიანებები მარჯვენა წარბის არეში, მარჯვენა მკლავის არესა და გულმკერდის არეში, დგინდება ფსიქოტრავმული სინდრომით გამოწვეული ჩივილების არსებობა. ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 19.11.2004წ. ცნობის მიხედვით, ვ. ე-ს დაუდგინდა მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი უვადოდ, ამასთანავე, საპენსიო მოწმობის მიხედვით, ვ. ე-ს პირველი ჯგუფის ინვალიდობა დადგენილი აქვს მუდმივად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეზე „ე-ნი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №40085/09) მთავრობამ აღიარა ზემოაღნიშნული შედეგის დადგომაში საკუთარი ბრალეულობა, კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, რადგან ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულებები ყველა აუცილებელი სიფრთხილის ზომის მიხედვით უზედური შემთხვევის თავიდან აცილებისათვის. ამდენად, საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ ვ. ე-ს ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი, მისთვის შშმ პირის სტატუსის მინიჭების ფაქტობრივი წინაპირობების წარმოშობა, გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ თავისი პოზიტიური ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით, რაც ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძველს ქმნის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით ვ. ე-ი ითხოვდა პროთეზების დამზადების ღირებულების, მორალური ზიანის, მიუღებელი შემოსავლის/სარჩოს და სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურებას. აღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნებიდან პირველ სამ მოთხოვნასთან (პროთეზების ხარჯი, მორალური ზიანი, სარჩოს ანაზღაურება) მიმართებით არაერთხელ იმსჯელეს სასამართლოებმა, რომელთა გადაწყვეტილებები აღნიშნულ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში. ამდენად, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს შეადგენს მხოლოდ სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა. განსახილველი საქმის დავის საგანთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ვ. ე-ს არ გაუსაჩივრებია თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.02.2017წ. გადაწყვეტილება მოპასუხისათვის სამედიცინო მომვლელის ხარჯის – ყოველთვიურად 1642,5 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრების შესახებ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.10.2017წ. განჩინება ასევე მხოლოდ მოპასუხის – შს სამინისტროს მიერ გასაჩივრდა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის ნაწილში საქმის ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნების შემდეგ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ვ. ე-მა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ 2013 წლის 31 მაისიდან. საკასაციო პალატა სწორედ აღნიშნულ ფარგლებში იმსჯელებს მომვლელის ხარჯის ანაზღაურების შესახებ ვ. ე-ს მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლიანობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით, მათ შორის, ა(ა)იპ-ის „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“ 19.05.2016წ. ცნობით დასტურდება, რომ ვ. ე-ს ესაჭიროება მზრუნველის მნიშვნელოვანი დახმარება, ბინაზე ჰიგიენური და სამედიცინო მოვლა. უდავო გარემოებაა და სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებებით დადგენილია, რომ ზიანი დადგა სახელმწიფოს უმოქმედობით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების არასაკმარისი შესრულებით, უმოქმედობით, – სიცოცხლის უფლების დაცვის მიზნით აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობამ გამოიწვია მოსარჩელის ვ. ე-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარება. სამედიცინო მომვლელის მომსახურების მიღება ზოგადად შესაძლებელია ორი ალტერნატიული საშუალებით: ერთი მხრივ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორ-

განოს მიერ შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში შშმ პირისათვის მომვლელის დანიშვნით, იმის მიუხედავად თუ რამ განაპირობა შშმ პირის სტატუსის წარმოშობა და მეორე მხრივ – მომვლელის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებით, რაც ხორციელდება ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (ან შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფის ფარგლებში, უკეთუ აღნიშნულს კანონი ითვალისწინებს).

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ 14.06.1995წ. კანონის (ძალადაკარგულია 2021 წლის 01 იანვრიდან) მიხედვით, სათანადო საჭიროებისას პირს ჰქონდა შესაძლებლობა მისთვის მისაღებ დროს მოეთხოვა სამედიცინო მომვლელის დანიშვნა (26.1 მუხ.). სპეციალური სამედიცინო მომვლელის დანიშვნა არ იზღუდებოდა ინვალიდობის დადგენის მომენტიდან კონკრეტული ვადით, ასევე არ ხდებოდა შშმ პირის სტატუსის წარმოშობის ფაქტობრივი საფუძვლების გათვალისწინებით დიფერენცირება. აღნიშნული რეგულაციით სახელმწიფო გამოხატავდა ნებას, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფა შშმ პირისათვის სამედიცინო ან/და საყოფაცხოვრებო მომვლელის დანიშვნა. აღნიშნული ვალდებულების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის 31.12.05წ. №249 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ დებულების (ძალადაკარგულია 2018 წლის 10 ოქტომბრიდან) ნორმების გათვალისწინებით, სწორედ სამინისტროს უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნებოდა. აღსანიშნავია, რომ კანონი ითვალისწინებდა სამედიცინო მომვლელის დანიშვნის და არა მისი მომსახურების ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობას. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საჭიროების მქონე პირის მომვლელით უზრუნველყოფას ახდენდა სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის განხორციელების ფარგლებში, როგორც სოციალური უზრუნველყოფის ორგანო. ამასთანავე, მომვლელის დანიშვნის უფლებით სარგებლობა პირს შეეძლო მაშინაც კი, როცა შშმ პირის სტატუსის წარმოშობი გარემოებები არ იყო გამონაკლისი რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ბრალით, რადგან ამ კანონის მიზნებისათვის მომვლელის დანიშვნა არ იყო პირისათვის დამდგარ ნეგატიურ შედეგზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმა.

აღნიშნული შემთხვევისაგან განსხვავდება ვითარება, როდესაც მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა უკავშირდება არსებულ შედეგზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას. ასეთ დროს მომვლელის ხარჯის ანაზღაურება არ არის დამოკიდებული ორგანოს ნებაზე, შესაბამისი სოციალური უზრუნ-

ველყოფის პროგრამის მახასიათებლებზე, რადგან ადმინისტრაციული ორგანო, როგორც მომვლელის დანიშვნის საჭიროების განმაპირობებელი, ზიანის დადგომაზე პასუხისმგებელი სუბიექტი, ვალდებულია შშმ პირი სათანადო მოვლით უზრუნველყოს, რაც შესაბამისი ანაზღაურების გადახდით ხორციელდება. ასეთ დროს ხდება მატერიალური ზიანის, კერძოდ, დაზარალებულის მიერ მომვლელის მომსახურებაზე განუვლი/გასანევი ხარჯის იმ პირის მიერ ანაზღაურება, რომლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულმა მოქმედებამ თუ უმოქმედობამ წარმოშვა ხარჯის განევის აუცილებლობა. ამასთანავე, როგორც მომვლელის დანიშვნის, ასევე მომვლელის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნისას, შშმ პირის მიზანია სათანადო მოვლით უზრუნველყოფა. საქმის მასალებიდან და მოსარჩელის წერილობითი ახსნა-განმარტებებიდან დასტურდება, რომ მოსარჩელეს ყოველდღიური ცხოვრებისეული აქტივობებისათვის (როგორებიცაა: ჩაცმა, კვება, ჰიგიენური პროცედურები და სხვ.) და სამედიცინო პროცედურებისათვის ესაჭიროება შესაბამისი პირის დახმარება, სწორედ შინმოვლის უზრუნველსაყოფად ითხოვს მოსარჩელე მომვლელის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას, მისი ინტერესი მომვლელის მომსახურების მიღებაა და არა რაიმე თანხის ანაზღაურება. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო ორი საშუალებით: მომვლელის დანიშვნის ან მომვლელის მომსახურების თანხის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებით. სკ-ის 409-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა, აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთი მხრივ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება მისი ნატურით ან მაშინ, როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამდენად, მომვლელის დანიშვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობის არსებობა გამოორიცხავს მომვლელის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას. მართალია, მომვლელის დანიშვნისა და ხარჯის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოა, განსხვავებულია აღნიშნულ ვალდებულებათა წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლებიც, თუმცა სახელმწიფოს კომპლექსური ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი არსით წარმოადგენს ხელისუფლების ერთიან შტოს. მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მათთვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში მოქმედების მიუხედავად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, მათ შორის სამინისტროები, სახელმწიფოს ფუნქციებისა

და მიზნების, არსებული ვალდებულებების შესასრულებლად, ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში მოქმედებენ ერთობლივად. ამდენად, ვალდებულების ნატურით შესრულება შესაძლებელია როგორც უშუალოდ ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანოს – შს სამინისტროს მიერ, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოს, მაგ.: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, უკეთეს აღნიშნულზე მოვალის – სახელმწიფოს ნება არსებობს. სკ-ის 409-ე მუხლი მოვალეს აღჭურავს უფლებით, აირჩიოს ვალდებულების შესრულება ნატურით ან ფულადი ანაზღაურების საშუალებით. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ 14.06.1995წ. კანონის 26-ე მუხლის გათვალისწინებით, სახელმწიფომ ფაქტობრივად არა მარტო შშმ პირთა სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთი სახე განსაზღვრა, არამედ სათანადო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, ვალდებულების ნატურით შესრულების – მომვლელის დანიშვნის და არა მომვლელის ხარჯის ანაზღაურების გზა აირჩია. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების უშუალოდ ზიანის დადგომაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაკისრების პრინციპი არ გამოირიცხავს სახელმწიფოს უფლებას, არსებული სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში თავის თავზე აიღოს მოქალაქისათვის დამდგარი ნეგატიური შედეგის გამოსწორების, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, არსებული შედეგების გამომწვევი მიზეზების მიუხედავად, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის დადგომაზე პასუხისმგებელი სუბიექტი სახელმწიფო ორგანოა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.07.2018წ. განჩინებით მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ვ. ე-ს წარმომადგენლის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.07.2018წ. №ბს-34-34(კ-18) განჩინებით სააპელაციო პალატაში საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა მხოლოდ 2013 წლის 31 მაისიდან სარჩელის აღძვრამდე – 2016 წლის 31 მაისამდე პერიოდში მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მსჯელობის საჭიროების გამო, ხოლო სარჩელის აღძვრის შემდგომ პერიოდზე მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უცვლელი დარჩა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ციულ საქმეთა კოლეგიის 21.02.2017წ. გადაწყვეტილებით ვ. ე-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის, პროთეზის ღირებულების, 2004 წლის 24 აგვისტოდან ყოველთვიური სარჩოს და 2004 წლის 24 აგვისტოდან სამედიცინო მომვლელის ხარჯის – ყოველთვიურად 1642,5 ლარის ანაზღაურება, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.10.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი სამინისტროსათვის ვ. ე-ს სასარგებლოდ მორალური ზიანისა და პროთეზის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.10.2017წ. განჩინება აღნიშნულ ნაწილში დარჩა უცვლელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი სამინისტროსათვის ვ. ე-ს სასარგებლოდ დაკმაყოფილდა სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში დასაშვებად იქნა ცნობილი. ამდენად, შსს-ს საკასაციო საჩივარი მომვლელის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში სრულად იქნა დაშვებული და არა რომელიმე კონკრეტულ პერიოდთან დაკავშირებით. ამის შემდგომ საკასაციო პალატამ არსებითად იმსჯელა მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, საკასაციო სასამართლოს 19.07.2018წ. განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.10.2017წ. განჩინება სამედიცინო მომვლელის ხარჯის განვლილ პერიოდზე სრულად ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი განიმარტება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახული მსჯელობის, მოყვანილი სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, რადგან სწორედ სამოტივაციო ნაწილით საბუთდება საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე დავის გადაწყვეტის კონკრეტული შედეგის მართლზომიერება. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატის 19.07.2018წ. განჩინების სამოტივაციო ნაწილის პირველ აბზაცში აღნიშნულია, რომ პალატა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებას ახდენს დაშვებულ ნა-

ნილში, დაშვებულ ნაწილში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებაზე მითითებულია აგრეთვე 19.07.2018წ. განჩინების ბოლო აბზაცშიც. ამდენად, ვინაიდან შსს-ს საკასაციო საჩივარი მომვლელის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში სრულად იქნა დაშვებული, რაიმე კონკრეტული პერიოდის მითითების გარეშე, აღნიშნული ნიშნავს, რომ საკასაციო პალატის განჩინება ეხება მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნას სრულად და არა მხოლოდ სარჩელის შეტანამდე – 2016 წლის 31 მაისამდე პერიოდს. საკასაციო სასამართლო მიუთითებდა ზიანის ნატურით რესტიტუციის საკითხის გარკვევაზე, შესაბამისად, არც სარჩელის აღძვრამდე და არც აღძვრის შემდეგ მოსარჩელის მოთხოვნა მომვლელის ხარჯის ანაზღაურების შესახებ საკასაციო სასამართლოს 19.07.2018წ. განჩინებით არ დაკმაყოფილებულა. გასათვალისწინებელია, რომ პერიოდის განმსაზღვრელ კონკრეტულ თარიღებზე მითითებას არ შეიცავს აგრეთვე საკასაციო პალატის 19.07.2018წ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილიც. უკეთეს საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას გააუქმებდა მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით არა სრულად, არამედ სარჩელის შეტანის თარიღამდე პერიოდზე და მიიჩნევდა, რომ ვ. ე-ის მოთხოვნა მომვლელის ხარჯის ანაზღაურების შესახებ სარჩელის შეტანის შემდგომ პერიოდზე საფუძვლიანი იყო, ასეთ შემთხვევაში საკასაციო პალატა ძალაში დატოვებდა სააპელაციო სასამართლოს განჩინებას იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მომვლელის ხარჯის ანაზღაურების დაკმაყოფილების შესახებ სარჩელის აღძვრიდან – 2016 წლის 31 მაისიდან. საკასაციო პალატის 19.07.2018წ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ასეთ მითითებას არ შეიცავს. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ საკასაციო პალატა ზემოაღნიშნულ განჩინებაში არ მსჯელობს მხოლოდ ხანდაზმულობის საკითხებზე, საკასაციო პალატა უთითებს აგრეთვე სკ-ის 409-ე და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ 14.06.1995წ. კანონის 26-ე მუხლებზე, ვალდებულების ნატურით შესრულების, მომვლელის დანიშვნის შესაძლებლობასა და აღნიშნული ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს 19.07.2018წ. განჩინებით სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება სრულად გაუქმდა მომვლელის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით.

დაუსაბუთებელია აგრეთვე კასატორის მოსაზრება, რომ საკასაციო პალატამ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა მხო-

ლოდ ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობის საჭიროების გამო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ სამართლებრივ საკითხთა შეფასების საჭიროება, საკასაციო სასამართლოს მიერ ხელახლა განსახილველად დავის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება ადასტურებს საქმეზე გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დამატებით გამოკვლევის საჭიროებას. განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 409-ე მუხლისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ 14.06.1995წ. კანონის 26.1 მუხლის გათვალისწინებით, გამოსაკვლევ იყო მომვლელის დანიშვნის ფაქტობრივი შესაძლებლობა. უკეთუ მომვლელის დანიშვნის არა მხოლოდ ნორმატიული, არამედ ფაქტობრივი შესაძლებლობაც არსებობდა, მაშინ წარმოიშობოდა აღნიშნულ ნაწილში სარჩელის ტრანსფორმირების საჭიროება, რადგან ზიანის ფულადი ანაზღაურება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ან არსებითად გართულებულია ვალდებულების ნატურით შესრულება. ამის საპირისპიროდ, უკეთუ მომვლელის დანიშვნის ნორმატიულად გარანტირებული უფლების არსებობის მიუხედავად, შშმ პირს არ აქვს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსაგან მომვლელის მომსახურების მიღების შესაძლებლობა, მაშინ სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა კონკრეტული ოდენობით მომვლელის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სარჩელი არ დააკმაყოფილა მხოლოდ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ 14.06.1995წ. კანონის 26.1 მუხლზე მითითებით, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით არ ქმნიდა მომვლელის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის უარყოფის საკმარის საფუძველს. მართებულია კასატორის მოსაზრება, რომ ამ ნაწილში სარჩელის უარყოფა საჭიროებდა სამედიცინო მომვლელის მომსახურების მიღების რეალური შესაძლებლობის დასაბუთებას, ვინაიდან კასატორის აზრით, არ არსებობდა მომვლელის დანიშვნის მოქმედი რეგლამენტირებული პროცედურა. სასამართლოს ჰქონდა აღნიშნული გარემოების (ვალდებულების ნატურით შესრულების მიღების) გამოკვლევის პროცესუალური შესაძლებლობა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ დავის განხილვაში ჩართული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების კვლევა ამ ეტაპზე რელევანტური აღარ არის, რადგან „შეზღუდული შესაძლებლო-

ბის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ 14.06.1995წ. კანონი 2021 წლის პირველი იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ 14.07.2020წ. კანონით (38-ე მუხ.). ახალი მოწესრიგება აღარ ითვალისწინებს მომვლელის დანიშვნის შესაძლებლობას, თუმცა კანონს შემოაქვს ახალი – პერსონალური ასისტენტის სერვისი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით (მე-2 მუხ. „კ“ ქვ.პ.). გასათვალისწინებელია, რომ შშმ პირისათვის მომვლელის დანიშვნის მიზანიც აგრეთვე არის მოვლაზე დამოკიდებული ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, პაციენტების დახმარება, სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდება. ამდენად, პერსონალური ასისტენტის სერვისი ფაქტობრივად შშმ პირისათვის მომვლელის სერვისის მიწოდებას უტოლდება, რაც ნიშნავს, რომ ძალადაკარგული კანონის მსგავსად, ახლადმიღებული კანონიც ითვალისწინებს შშმ პირისათვის სხვადასხვა სახის მხარდამჭერი მომსახურების ხელმისაწვდომობას (4.1 მუხ.), შშმ პირის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო სერვისების და სტანდარტების დანერგვას (4.5 მუხ.). პერსონალური ასისტენტი არის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელიც გამოხატავს თანხმობას, გაუწიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მისთვის საჭირო მომსახურება დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას (20.2 მუხ.). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სერვისით სარგებლობის მიზნით უნდა შემუშავდეს პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტები, წესები, პერსონალური ასისტენტის შერჩევის კრიტერიუმები, პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდების წესი (20.1, 20.3 მუხ.). კანონის თანახმად, პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტებისა და წესების, მათ შორის, პერსონალური ასისტენტის შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცება უნდა მოხდეს 2024 წლის იანვრამდე (37.2 მუხ. „ბ“ ქვ.პ.), პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამული განწერა, სერვისის მოცულობის განსაზღვრა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისი მიწოდების წესების შემუშავება უნდა განხორციელდეს 2025 წლის პირველ იანვრამდე, ხოლო პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა 2025 წლის პირველი იანვრიდან უნდა მოხდეს (37.5 მუხ.). ამდენად, ამ ეტაპზე არათუ ფაქტობრივად,

არამედ ნორმატიულადაც შეუძლებელია შშმ პირის მიერ სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის ფარგლებში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით სარგებლობა. აღნიშნული გარემოებით დასტურდება, რომ მომსახურების ნატურით მიღების შესაძლებლობა ვ. ე-ს არ აქვს, შესაბამისად, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს მომვლელის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.12.2013წ. №1888-ს დადგენილებით) თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ შშმ პირთა თანაბარ უფლებას, სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვრონ საზოგადოებაში და იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, რათა ხელი შეუწყონ შშმ პირთა ამ უფლების სრულ რეალიზებასა და მათ სრულყოფილ ჩართვას ადგილობრივ საზოგადოებაში, მათ შორის უზრუნველყოფენ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ბინაზე, ინსტიტუციური და სხვა სახის საზოგადოებრივი დამხმარე მომსახურების მისაწვდომობას, ინდივიდუალური დახმარების ჩათვლით, რაც აუცილებელია მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისათვის, საზოგადოებისაგან იზოლაციისა და სეგრეგაციის პრევენციისათვის (მე-19 მუხ. „ბ“ ქვ.პ.), მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობისა და მაქსიმალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად (20.1 მუხ.). ამდენად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის წარმომშობი წინაპირობების დადგომაში სახელმწიფოს ბრალის არარსებობის მიუხედავად, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შშმ პირთა უფლებების ეფექტიანი რეალიზების ხელშეწყობა. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მით უფრო მაღალია მაშინ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის წარმოშობა სახელმწიფოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით/უმოქმედობით არის განპირობებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მომვლელის მომსახურების მიღების შეუძლებლობის პირობებში, ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიერ ვალდებულებათა არაჯეროვანმა შესრულებამ წარმოშვა პირისათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება, ვალდებულია აანაზღაუროს მომვლელის მომსახურების ხარჯი.

რაც შეეხება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.02.2017წ. გადაწყვეტილებით ვ. ე-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 5452,30 ლარის ნაცვლად, რომელსაც მოითხოვდა მოსარჩელე, მოპასუხე საქართვე-

ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2004 წლის 24 აგვისტოდან სამედიცინო მომვლელის ხარჯის – ყოველთვიურად 1642,5 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. ამდენად, ერთი მხრივ – ვ. ე-ი დაეთანხმა მომვლელის ხარჯის კონკრეტული ოდენობით ანაზღაურებას, ხოლო მეორე მხრივ გადაწყვეტილება გასაჩივრდა მხოლოდ შსს-ს მიერ, რაც კასაციის საუარესოდ შებრუნების გამორიცხვის პრინციპის გათვალისწინებით, დაუმკებელს ხდის შსს-სთვის ყოველთვიურად 1642,5 ლარის ანაზღაურებაზე მეტის დაკისრებას. გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა ა(ა)იპ-ის „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“ 19.05.2016წ. ცნობაზე თანდართული გაანგარიშებით, რომლის თანახმად, ჰიგიენური მოვლა საჭიროებს ყოველთვიურ ანაზღაურებას – 877,50 ლარის ოდენობით, ხოლო სამედიცინო მოვლა – 765 ლარის ოდენობით, რაც ჯამში შეადგენს 1642,5 ლარს (სასამართლომ მიუთითა, რომ სამედიცინო და ჰიგიენური მოვლის ხარჯებით ერთგვარად მოცულია მეთვალყურეობისა და რეაბილიტაციის მიმართებით ღირებულების დაანგარიშება). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (სსკ-ის 103.1 მუხ.), სწორედ მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზედაც ამყარებს იგი თავის მოთხოვნებს თუ შესაგებელს (სსკ-ის 102.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია რაიმე სახის ალტერნატიული გაანგარიშება, არ დაუსაბუთებია აგრეთვე მომვლელის მომსახურების ღირებულების სახით მოსარჩელისათვის კონკრეტული ოდენობის თანხის მიკუთვნების არათანაზომიერება, რის გამო სასამართლო იზიარებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ცნობაში არსებულ გაანგარიშებას. მომვლელის ხარჯის ანაზღაურების პერიოდთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო პალატაში ვ. ე-მა, საკასაციო პალატის მითითებების შესაბამისად, დააზუსტა მოთხოვნა და მომვლელის ხარჯის ანაზღაურება მოითხოვა 2013 წლის 31 მაისიდან, ანუ საარჩელის აღძვრამდე წინა სამი წლის უკან დახვეით, რაც გამორიცხავს პერიოდული ვალდებულების (მომვლელის ხარჯის ყოველთვიურად ანაზღაურების) შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევას.

რაც შეეხება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხზე

მსჯელობა აღარ არის რელევანტური, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.02.2021წ. განჩინებით შსს-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს 14.03.2019წ. გადაწყვეტილება ვ. ე-ს სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების ნაწილში. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების აღნიშნულ ნაწილზე 07.04.2021წ. სააპელაციო სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, ამდენად, გადაწყვეტილება კონკრეტულ ნაწილში უკვე მიქცეულია აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ე-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.03.2019წ. გადაწყვეტილება მომვლელის ხარჯის ანაზღაურების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დაკისრების შესახებ ვ. ე-ს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ე-ს სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მომვლელის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვ. ე-ს სასარგებლოდ დაეკისროს მომვლელის ხარჯის ანაზღაურება 2013 წლის 31 მაისიდან ყოველთვიურად 1642,5 (ათას ექვსას ორმოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარის ოდენობით;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურების კონკრეტული ოდენობის
ბანსაზღვრა**

**ბანჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-247-247(4კ-18)

3 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ბ-მა დაუზუსტებელი სარჩელით მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ზიანის – 23608 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში 41430 ლარის), საკუთრების რეგისტრაციისთვის გაწეული ხარჯის – 51 ლარის, მინის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისათვის გაწეული ხარჯის – 50 ლარის და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 600 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, 12.10.10წ. აუქციონში გამარჯვების შედეგად შეიძინა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. თბილისში, ...ე მეურნეობაში მდებარე 454 კვ.მ. მინის ნაკვეთი (ს.კ. ...), რომელიც 20.12.10წ. აღირიცხა თავის სახელზე საჯარო რეესტრში. დ. ს-მა პრეტენზია წარადგინა იმასთან დაკავშირებით, რომ აუქციონზე გატანილი მინის ნაკვეთი იჭრებოდა მის სახელზე რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრებში. აღნიშნულის შეცდომის შემდეგ რ. ბ-მა წერილით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სადავო ნაკვეთზე ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობისა და თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თავის საკუთრებასთან დაკავშირებით 3 წლის მანძილზე მიმდინარეობდა დავა სასამართლოში, საბოლოოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 17.04.14წ. განჩინებით ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.13წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. ს-ის მოთხოვნა, ბათილად იქნა ცნობილი რ. ბ-ის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი და რ. ბ-ის სახელზე გაცემული საკუთრების მონმობა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ არის ქონების კეთილსინდისიერი შემძენი, მაგრამ მოპასუხის განზრახ თუ უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად აღმოჩნდა დაზარალებული. შესაბამისად, სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.12.15წ. გადაწყვეტილებით რ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება 25000 ლარის ოდენობით, ასევე საკუთრების რეგისტრაციისთვის განეული ხარჯის – 51 ლარის, მინის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისთვის გადახდილი თანხის – 50 ლარის და ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 600 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირდა თბილისში, ...ე მეურნეობაში მდებარე 454 კვ.მ. ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი (ს.კ. ...). აღნიშნული უძრავი ქონება სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 12.10.2010წ. გამართულ აუქციონზე შეიძინა რ. ბ-მა, 12.10.10წ. გაიცა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №... ოქმი, ხოლო 08.12.10წ. გაიცა №... საკუთრების დამადასტურებელი მონმობა. ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა რ. ბ-ის საკუთრებად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.04.14წ. №ბს-92-90(2კ-14) განჩინებით ქ. თბილისის მერიის და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2013წ. №3ბ/1053-13 გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. ს-ის სააპელაციო საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.10წ. №... აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი და რ. ბ-ის სახელზე 08.12.10წ. გაცემული №... საკუთრების უფლების მონმობა (ს.კ. ...). შესაბამისად, რ. ბ-ს გაუუქმდა ქ. თბილისში, ...ე მეურნეობაში აუქციონის შედეგად შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება. ამდენად, დადასტურებულად იქნა მიჩნეული მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მართლსაწინააღმდე-

გო ქმედების ჩადენა, მათ მიერ გამოცემული კანონსაწინააღმდეგო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით რ. ბ-ისთვის ზიანის მიყენება.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე, 42.9, სზაკ-ის 207-ე, 208-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლოს წესით სრულად ანაზღაურების უფლება. სკ-ის 317-ე, 992-ე, 1005-ე მუხლების შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებასა (მოქმედება ან უმოქმედობა) და შედეგს (ზიანი) შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი. სასამართლომ სკ-ის 311-ე, 312-ე მუხლებზე და სუს 23.07.13წ. №ბს-52-47(კ-13) განჩინებაზე მითითებით აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრი, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი საჯარო დაწესებულება ფუნქციურ-სამართლებრივი ნიშნით შექმნილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, რომელზეც სრულად ვრცელდება სზაკ-ის უმნიშვნელოვანესი პრინციპები, მათ შორის კანონიერების და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპი. მოცემულ შემთხვევაში რ. ბ-ს კანონიერი ნდობა გააჩნდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ, რომლითაც მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა გამსხვისებლის – თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. სზაკ-ის 60^{1.4} მუხლის შესაბამისად დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა აღმჭურველი კანონსაწინააღმდეგო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. სზაკ-ის 60^{1.6} მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად იქნა ცნობილი, დაინტერესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონხანსორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.10წ. №... აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის თანახმად სადავო მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა 13620 ლარით. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს დასკვნით მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ 41430 ლარს შეადგენს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთმიმართება და ამგვარად დადგინდეს მათ შორის პროპორცია, რათა ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს კერძო პირისა და საჯარო ინტერესები. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა ემსახურება საჯარო და კერძო ინტერესის თანაზომიერების დაბალანსების მიზანს, რათა უსაფუძვლოდ არ მოხდეს კერძო ინტერესის დაცვა საჯარო ინტერესის ხარჯზე, ან პირიქით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება გამოიწვევს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დარღვევას, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარწილად ზიანის სახით 25 000 ლარის გადახდა, პროპორციულად უნდა ანაზღაურდეს ასევე საკუთრების რეგისტრაციის, მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისათვის და ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.12.15წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და რ. ბ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.10.17წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრება მათი ბრალეულობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობის თაობაზე და მიუთითა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული აქტების ბათილად ცნობა ადასტურებს იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას, რის გამორიცხვასაც ადმინისტრაციული ორგანოები მოცემულ შემთხვევაში ცდილობენ.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება იმოქმედოს კანონის საფუძველზე, იცავს არა მხოლოდ დაინტერესებულ პირს, არამედ თავად ამ ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი შეცდომისაგან და იმ სამომავლო ვალდებულებებისაგან, რაც თან ახლავს საჯარო უფლებამოსილ-

ბის განხორციელების პროცესში კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების შედეგად შეილახა რ. ბ-ის უფლებები, რამდენადაც მასზე მოხდა იმ მიზნის ნაკვეთის გასხვისება და შემდგომ აღრიცხვა, რომელიც არ წარმოადგენდა გამსხვისებლის – თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე, 42.9, სზაკ-ის 60¹.6, 207-ე, 208-ე, სკ-ის 992-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა ზიანის ანაზღაურების სავალდებულო წინაპირობები: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ბრალი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განისაზღვრა გონივრული შეფასების საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესთა დაბალანსებით და სრულად უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებებში აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.10.17წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და რ. ბ-ის მიერ.

კასატორმა – რ. ბ-მა აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა მათივე ბრალით ვერ უზრუნველყვეს რ. ბ-ის საკუთრების უფლებების დაცვა და მიაყენეს ზიანი, რის შედეგადაც წარმოეშვა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში კასატორისათვის მიყენებული ზიანი არ ანაზღაურებულა სამართლიანი წესით. სამართლიანი წესით ანაზღაურება გულისხმობს არა კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონასწორებას, არამედ საკუთრების საბაზრო ღირებულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებას. საკუთრების უფლება, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლება, არის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება. საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუხებელია, საქართველოს კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ საკუთრება, არამედ მისი შექმნაც და გასხვისებაც. სახელმწიფო ორგანოების მიერ საფუძველიანი გამოკვლევის გარეშე, აუქციონის მეშვეობით საკუთრების გადაცემამ გამოიწვია კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების შექმნის უფლების შელახვა. განსახილველ შემთხვევაში ქონების შექმნის მიერ განცდილი ზიანი მომდინარეობს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს ადმინისტრაციულ ორგანოთა არამართლზომიერი ქმედებებიდან, ამიტომ სასამარ-

თლოს საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით უნდა მიეღო შე-
საბამისი გადაწყვეტილება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კა-
ნონის მე-19 მუხლი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძა-
ლის მიხედვით დადგენილ იერარქიაში პირველ ადგილზე საქარ-
თველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს აყენებს. სა-
ქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია საქართველოს ყვე-
ლა მოქალაქისათვის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართვე-
ლობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული
ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება. კა-
სატორმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამარ-
თლომ არ იხელმძღვანელა სკ-ის 408-ე, 409-ე, 490-ე, 494-ე, 992-ე
მუხლებით, ხოლო სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 408-ე მუხლებზე მი-
თითებით კასატორმა აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული
ორგანოები ვალდებული არიან აანაზღაურონ ქონების საბაზრო
ღირებულება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება 13.06.146. ჩა-
ტარებული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით.

კასატორმა – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ
სზაკ-ის 207-ე, სკ-ის 395-ე, 1005-ე მუხლებზე მითითებით აღნიშ-
ნა, რომ ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და
ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, როდესაც სახეზეა
პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა
და დამდგარ შედეგს შორის. მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქტი არ
არის საკმარისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის
პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, არამედ სახეზე უნდა იყოს
მართლსაწინააღმდეგობა და ბრალეულობა. კასატორმა მიუთითა,
რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 29.11.136. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დ. ს-
ის სააპელაციო საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი რ. ბ-ის სა-
კუთრების დამადასტურებელი მონმობა და აუქციონში გამარჯვე-
ბის დამადასტურებელი ოქმი. სწორედ ზემოაღნიშნული უფლების
დამდგენი დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა რეგის-
ტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადება, რასაც შედეგად მოჰ-
ყვა რ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება. რე-
გისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მოცემული და-
ვის ფარგლებში არ გასაჩივრებულა და მხარეებს შორის სადავოდ
არ გამხდარა, შესაბამისად საჯარო რეესტრის აქტი მართლზომიერ-
ია, სახეზე არ არის სკ-ის 1005-ე მუხლის შემადგენლობა და არ
არსებობს კასატორისათვის ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად
დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. საქმის მასალების მი-
ხედვით მოსარჩელე მხარის მიერ უძრავი ნივთი შეძენილ იქნა 13
620 ლარად. ამასთანავე, უძრავი ნივთის ღირებულების ანაზღაუ-

რება უნდა დაეკისროს ქ. თბილისის მერიას, რამეთუ აუქციონზე შექმნილი ქონების საფასურის ჩარიცხვა ქ. თბილისის მერიის ანგარიშზე განხორციელდა.

კასატორი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით. საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება არ მიუთითებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მართლსაწინააღმდეგო/ბრალულ ქმედებაზე. შესაბამისად, არ არსებობს კასატორისათვის სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მითითებული მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და შედეგს შორის არსებობს პირდაპირი და უშუალო კავშირი, რასაც კასატორის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. არასწორია სასამართლოს მოსაზრება საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ მხოლოდ რ. ბ-ის კანონიერი ნდობის არსებობის შესახებ, რამეთუ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასაც ჰქონდა კანონიერი ნდობა იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, რომლის საფუძველზეც დარეგისტრირდა სადავო მიწის ნაკვეთი ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. სასამართლომ შესაბამისი შეფასების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასაც ჰქონდა კანონიერი ნდობა იმ აქტის მიმართ, რომლის საფუძველზეც დარეგისტრირდა სადავო ნაკვეთი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. საჯარო რეესტრის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისადმი ნდობა გულისხმობს იმას, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლება ნამდვილად ეკუთვნის გამსხვივებელს. საჯარო რეესტრის უტყუარობასთან და სისწორესთან დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კანონიერი ნდობა. სასამართლოს არ უმსჯელია ქ. თბილისის კანონიერ ნდობაზე. საკუთრების უფლების რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახური, რა დროსაც სწავლობს სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციას, იკვლევს გარემოებებს და ამის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას უფლების რეგისტრაციის შესახებ. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის უცნობი იყო სადავო მიწის ნაკვეთზე სხვა პირთა უფლების არსებობა, შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) 47-ე მუხლის გათვალისწინებით მოეთხოვა სადავო მი-

ნის ნაკვეთის თავის სახელზე აღრიცხვა. მარეგისტრირებელ ორგანოს თავის მხრივ გააჩნდა ვალდებულება სრულყოფილად გამოეკვლია თვითმმართველი ერთეულის მიერ წარდგენილი და საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტაცია, სრულად შეესწავლა საქმის გარემოებები და შემდგომ მიელო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, რადგან უპირველესად სწორედ მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არის ცნობილი ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ.

კასატორმა აღნიშნა, რომ მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების დადასტურების შემთხვევაშიც ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებით, არამედ იმ თანხის ოდენობით, რაც მხარემ აუქციონზე მიწის ნაკვეთის შესაძენად გადაიხადა. კასატორი სკ-ის 408-ე, 409-ე მუხლებზე მითითებით მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში სასამართლოს უნდა აღედგინა პირვანდელი მდგომარეობა, რაც გულისხმობს მოსარჩელისათვის მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას და არა უსაფუძვლოდ გარკვეული მატერიალური სიკეთის მისთვის მიკუთვნებას. ამასთანავე, დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთრების უფლების რეალიზება და შესაბამისი მატერიალური სიკეთის მიღება, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განხორციელდა რ. ბ-ის საკუთრების წარმომშობი აქტების ბათილად ცნობა, რაც ძალადაკარგულად გამოცხადებისაგან განსხვავებით გულისხმობს, რომ საკუთრება არც წარმომშობილა, შესაბამისად რ. ბ-ი არ ყოფილა ნამდვილი სამოქალაქო უფლების მატარებელი.

კასატორმა – სსიპ ქონების მართვის სააგენტომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2, მე-3, მე-8, 23-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ჰქონდა კანონიერი ნდობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების მიმართ, რომლითაც მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. მარეგისტრირებელმა ორგანომ განიხილა წარდგენილი დოკუმენტაცია და 19.08.2010წ. მიღებულ იქნა №... გადაწყვეტილება მოთხოვნილი უძრავი ქონების თვითმმართველი ერთეულის სახელზე რეგისტრაციის შესახებ. შესაბამისად, რეესტრის მონაცემთა მიმართ მოქმედი უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციიდან გამომდინარე სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ჰქონდა კანონიერი ნდობა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომლითაც მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ქ. თბილისის

თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. ამდენად, უძრავი ქონების განკარგვის დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრირებული ნაკვეთის გასხვისების შესახებ. ამდენად, უძრავი ქონების განკარგვის დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გასხვისების შესახებ. კასატორმა აღნიშნა, რომ აუქციონი ჩატარდა ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.10წ. №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზირების წესის“ შესაბამისად. ამდენად, არ არსებობს კასატორისათვის სზაკ-ის 207-ე, სკ-ის 1005-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. სახეზე არ არის ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო მოქმედება. ამასთანავე, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველიანად მიჩნევის შემთხვევაში, სკ-ის 408-ე, 409-ე მუხლების შესაბამისად უნდა მომხდარიყო მხოლოდ აუქციონში ნივთის შესაძენად გადახდილი თანხის ანაზღაურება.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.18წ. განჩინებით რ. ბ-ის საკასაციო საჩივარი სსკ-ის 396.3, 399-ე მუხლების შესაბამისად დარჩა განუხილველი.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.01.19წ. განჩინებით სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.08.2010წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადება და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ...ე მეურნეობაში მდებარე 454 კვ.მ. მიწის ნაკვეთ-

ზე (ს/კ ...). სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 12.10.2010წ. ჩატარებულ აუქციონზე აღნიშნული მიწის ნაკვეთის შემქმნი 13620 ლარის გადახდის სანაცვლოდ გახდა რ. ბ-ი, რომლის სახელზე 12.10.2010 წ. გაიცა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №... ოქმი, ხოლო 08.12.2010წ. საკუთრების დამადასტურებელი №... მონმოზა. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე 20.12.2010წ. რ. ბ-ის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში აღირიცხა. რ. ბ-ის მიერ აუქციონზე შეძენილი ნაკვეთის დ. ს-ის ნაკვეთთან ზედდების გამო დ. ს-ის მიერ სადავოდ იქნა გამხდარი თბილისის თვითმმართველი ერთეულის სახელზე, ხოლო შემდგომ რ. ბ-ის სახელზე მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.04.2014წ. განჩინებით (№ბს-92-90(2კ-14)) ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად (მონინალმდგე მხარე: დ. ს-ი), ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.11.2013 წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. ს-ის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.2010წ. №... აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი და რ. ბ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მონმოზა 08.12.2010წ. №..., თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.07.2013წ. გადაწყვეტილება სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.08.2010წ. №06-8/8028 და №06-8/8207 წერილების ბათილად ცნობის ნაწილში დარჩა უცვლელად. შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე სარეგისტრაციო სამსახურის 24.07.14წ. №... გადაწყვეტილებით გაუქმდა რ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევა, ნაკვეთის უფლებრივი მდგომარეობის არასაკმარისი გამოკვლევა-შეფასება. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უძრავი ნივთის მიმართ განახორციელეს სამართლებრივი ქმედებები, რომელიც წარმოადგენდა სხვა პირის უფლების ობიექტს. შესაბამისად, მართებულია მოსაზრება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერი ნდობის გამორიცხვის შესახებ, რადგან სზაკ-ის 60¹.5 მუხლის თანახმად, კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. განსახილველ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით დადასტუ-

რებულია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ გამოცემული აქტების უკანონობა, ამასთანავე, კანონიერი ნდობა შეიძლება ჰქონდეს ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირს და არა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის მიმართ კომპეტენტურობის მოთხოვნა არის მკაცრი იმპერატივი, კომპეტენტურობა არის ადმინისტრაციული ორგანოს არა უფლება, არამედ ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციულ ორგანოებზე ვრცელდება სზაკ-ის მოქმედება, მათ შორის მტკიცებულებათა მოძიების, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის (სზაკ-ის 96-ე, 53-ე მუხ.), კანონის საფუძველზე უფლებამოსილების განხორციელების (სზაკ-ის მე-5 მუხ.) მოთხოვნები. რაც შეეხება რ. ბ-ის კანონიერ ნდობას იმ აქტების მიმართ, რომელთა საფუძველზეც მოხდა უძრავი ქონების მის სახელზე აღრიცხვა, მოცემულ შემთხვევაში რ. ბ-ის კანონიერი ნდობა გადაიფარა ნაკვეთის მესაკუთრის დ. ს-ის კანონიერი ნდობის დაცვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებით. პირის უფლების და ინტერესის არსებითად დარღვევა სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი მიუხედავად აქტების მიმართ დაინტერესებული პირის – რ. ბ-ის კანონიერი ნდობისა, მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი უკეთეს არსებითად ირღვევა სხვა პირის კანონიერი უფლებები და ინტერესები. ნაკვეთის დ. ს-ის სახელზე რეგისტრაციის შედეგად მას გააჩნდა საჯარო რეესტრის ჩანაწერებისადმი კანონიერი ნდობა და ამ ნდობის პირობებში წლების განმავლობაში ის მართლზომიერად ფლობდა კუთვნილ მიწის ნაკვეთს. ნაკვეთის მესაკუთრის დ. ს-ის მიერ მისი საკუთრების უფლების შემლახავი აქტების გასაჩივრებამდე, რ. ბ-ის მიმართ დამდგარი სამართლებრივი შედეგი არ იყო მყარი, ვინაიდან მოსალოდნელი იყო ნაკვეთის მესაკუთრის მიერ პრეტენზიის წარდგენა, რის შესახებაც რ. ბ-ისთვის ცნობილი იყო (რ. ბ-ი სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ განცხადებაში თავად აღნიშნავს, რომ დავის წარმოშობამდე დ. ს-ი მოითხოვდა მის სახელზე რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრებში შემოჭრის აღკვეთას).

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამო რ. ბ-ს გაუუქმდა საკუთრების უფლება, რის გამოც მან ვერ შეძლო საკუთრების უფლების რეალიზება და შესაბამისი მატერიალური სიკეთის მიღება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაშვებული დარღვევების შედეგად მოხდა კერძო პირის საკუთრებაში

მყოფი მიწის ნაკვეთის რ. ბ-ის სახელზე აღრიცხვა. კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი რ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი – საკუთრების დამადასტურებელი მონმობა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი. რ. ბ-ის სახელზე მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის მომენტში ნაკვეთზე დ. ს-ის რეგისტრაცია ძალაში იყო და ინარჩუნებდა თავის ძალას, ის არ გასაჩივრებულა, არ გაუქმებულა რ. ბ-ზე რეგისტრაციით (ადგილი ჰქონდა ორ პარალელურ რეგისტრაციას), დ. ს-ის რეგისტრაციის მიმართ მოქმედებდა რეგისტრაციის კანონიერების და უტყუარობის პრეზუმფცია, მისი კანონიერება ეჭვქვეშ არ დამდგარა, ხოლო ერთი და იგივე ობიექტზე რამდენიმე ჩანაწერის კონკურენციის პირობებში სასამართლო გადაწყვეტილებით უპირატესობა მიენიჭა იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე იყო რეგისტრირებული. შესაბამისად რ. ბ-ს არ წარმოშობია საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე.

საქმეში დაცული სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.2010წ. №... აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის თანახმად სადავო მიწის ღირებულება განისაზღვრება 13 620 ლარად. სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხე ორგანოებისათვის 23 608 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში დაკისრება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ანაზღაურება უნდა განისაზღვროს არა მიწის საბაზრო ღირებულებით, არამედ იმ თანხის ოდენობით რაც მხარემ მიწის ნაკვეთში გადაიხადა, ვინაიდან მოთხოვნა ემყარება არა პირის მფლობელობიდან საკუთრების გასვლას, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვას, არამედ უძრავი ქონების პრივატიზების კანონიერებას. აღნიშნულს არ ცვლის მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექპერტიზის ეროვნული ბიუროს 17.07.2014წ. №5002687114 დასკვნა, რომლითაც განისაზღვრა სადავო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრებას, ვინაიდან იგი მიიღებს იმაზე გაცილებით მეტ სიკეთეს, ფულად თანხას, ვიდრე მან აუქციონზე მიწის ნაკვეთის შეძენის შედეგად გადაიხადა.

სკ-ის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის პროპორციულია ფულადი ანაზღაურება, მოსარჩელის მიერ გადახდი-

ლი თანხის უკან დაბრუნება. აღნიშნულის სანაცვლოდ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოხდა არათუ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, არამედ მატერიალური სიკეთის უსაფუძვლოდ მიკუთვნება. სასამართლო ერთი მხრივ ეყრდნობა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი აქტები, ხოლო მეორე მხრივ არ იღებს მხედველობაში იმავე გადაწყვეტილებით დამდგარ შედეგს. სასამართლომ ბათილად ცნო ის აქტები, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვა რ. ბ-ის საკუთრების უფლება. აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისგან განსხვავებით, აქტის ბათილად გამოცხადება გულისხმობს აქტის ძალაში შესვლის დღიდან გაუქმებას, როგორც წესი აქტის ბათილად ცნობის მიზნებიდან გამომდინარე, აქტის მოქმედების შეწყვეტა განისაზღვრება მისი ძალაში შესვლის დღიდან, თუმცა სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-7 ნაწილი გამონაკლისის სახით უშვებს ასევე აქტის მოქმედების შეწყვეტის სხვა თარიღის განსაზღვრის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში ოქმი და საკუთრების მონობა ბათილად იქნა ცნობილი მათი უკანონობის გამო. უფლებამოსილი ორგანოს მიერ აქტის არამართლზომიერად ცნობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ადასტურებს აქტის გამოცემის მომენტიდანვე მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების და წარმოშობილი შედეგების არამართლზომიერებას. შესაბამისად, რ. ბ-მა საკუთრების უფლება ნაკვეთზე დაკარგა წარმოშობის მომენტიდანვე. ამდენად, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთრების უფლების რეალიზაცია და მატერიალური სიკეთის მიღება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ზოგადად, თავის მხრივ იწვევს თანამდევი სამართლებრივი შედეგების გაუქმებასაც. მართალია, ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ აქტის ბათილად ცნობამდე იგი ძალაშია და არაა აქტისაგან განსხვავებით, შესასრულებლად სავალდებულოა, თუმცა უფლებამოსილი ორგანოს მიერ აქტის არამართლზომიერად ცნობა ადასტურებს აქტის ძალაში შესვლის დღიდან მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების და წარმოშობილი შედეგების არამართლზომიერებას. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, სასამართლოს მიერ რ. ბ-ის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების ბათილად ცნობამდე, ისინი მიიჩნეოდა ნამდვილად, თუმცა ფაქტობრივად უძრავი ნივთის თვითმმართველი ერთეულის სახელზე აღრიცხვა, გასხვისება და ახალ შემძენზე საკუთრების რეგისტრაცია იმთავითვე იყო არამართლზომიერი, რაც მოგვიანებით დადასტურდა კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებებით ბათილად იქნა ცნობილი რ. ბ-ისთვის ნივთის საკუთრებაში გადაცემის საფუძველი: აუქციონში გამარჯვების ოქმი და საკუთრების მონმოზა. ბათილი აქტის შესრულების შედეგად ადგილი ჰქონდა ქონების უსაფუძვლოდ შეძენას, სხვა პირის ხარჯზე ქონების გაზრდას. ბათილობა ინვესტორ-მხრივ რესტიტუციას, რომლის შედეგად მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ის, რაც მათ მიიღეს. ამდენად, რ. ბ-მა შესრულება განახორციელა სათანადო საფუძვლის არსებობის გარეშე, რაც წარმოქმნის სადავო მიწის ნაკვეთის შესაძენად განუული ხარჯის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან შესრულების უსაფუძვლობა განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაშვებულ სამართალდარღვევათა ერთობლიობით, მართებულია მოპასუხეებისთვის პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრება (იხ. სუს 15.02.18წ. №ბს-818-810(2კ-16) გადაწყვეტილება). შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოსაზრება პასუხისმგებლობის მხოლოდ შესრულების მიმღები მოპასუხე ორგანოსათვის დაკისრების შესახებ. კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ რ. ბ-ის სახელზე ნაკვეთის რეგისტრაციის მომენტში ნაკვეთზე დ. ს-ის რეგისტრაცია ძალაში იყო. დაუზუსტებელ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა, სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია, სარეგისტრაციო აღრიცხვის ოფიციალობა უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრით. მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელნი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამავე კანონის 23-ე მუხლის „ვ1“ ქვეპუნქტის თანახმად რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს სარეგისტრაციო მოთხოვნის რეგისტრირებულ მონაცემებთან იდენტურობა წარმოადგენს. ვინაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლება გამოორიცხავს იმავე ნივთზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების რეგისტრაციას, მარეგისტრირებელი ორგანო ასეთ შემთხვევაში უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ. დაუშვებელია სარეგისტრაციო მონაცემების და ნამდვილი მდგომარეობის შეუსაბამობა, არ დაიშვება

რეგისტრირებულ მონაცემებს შორის კონკურენციის არსებობის შესაძლებლობა. ამდენად, ხსენებული ნორმის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეესტრაციო სამსახურს თვითმმართველობის ორგანოს სახელზე ნაკვეთის რეგისტრაციამდე უნდა გამოეკვლია ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაციის არსებობა, შეედარებინა სარეესტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საარქივო ცნობასთან – ქალაქში შესრულებულ საკადასტრო მონაცემებთან თუ სააღრიცხვო ბარათთან და ამონაწერებთან, დაედგინა სადავო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა სარწმუნოდ დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და არ დაეშვა ერთი ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერის არსებობა. გადამოწმების ვალდებულება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფრო მაღალი ხარისხით წარმოემოხა იმის გათვალისწინებითაც, რომ უპირატესად სახელდობრ თავად მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არის ცნობილი რეესტრში რეგისტრირებული ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ, სწრაფი რეგისტრაციის პრინციპის გატარება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სხვა სუბიექტების საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას (სუსგ 28.02.2013წ. №ბს-367-363(კ-12)). უსაფუძვლოა აგრეთვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობის გამოორიცხვა იმაზე მითითებით, რომ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სარეესტრაციო სამსახურის გადანყვეტილება არ გასაჩივრებულა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკუთრების რეგისტრაციის საფუძვლის სამართლოს მიერ ბათილად ცნობის შედეგად განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება, ხოლო რეგისტრაციის საფუძვლის ბათილად ცნობა გამოიწვია მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან საქმიანობის კანონიერების, მტკიცებულებათა მოძიების და საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის მოთხოვნების დარღვევამ.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორი ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრებებს მათი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობის შესახებ, ვინაიდან კანონიერ ძალაში არსებული სასამართლო გადანყვეტილების არსებობა, რომლითაც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოსარჩელის სახელზე გაცემული საკუთრების უფლებადამდგენი დოკუმენტები უკანონობის გამო გამოცხადდნენ ბათილად, ადასტურებს იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას, რის გამოორიცხვასაც კასატორი ადმინისტრაციული ორგანოები ითხოვენ.

კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად არ გამოცხადებულა მუნიციპალიტეტის მთავრობის რაიმე აქტი, ასეთი არ ყოფილა სადავოდ გამხდარი, რაც ასევე არ გამოცხადავს მუნიციპალიტეტის მთავრობის სათანადო მოპასუხეობას, ვინაიდან აუქციონის ჩატარების დროს მოქმედი ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.2010წ. №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველის ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ 1.2 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა ქ. თბილისის მთავრობა, ამავე წესის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ქ. თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული საპრივატიზაციო ქონების დადგენილი ფასით და პირობებით აუქციონის გზით რეალიზაცია, იყო აუქციონატორი – ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი (რწმუნებული პირი). აუქციონის გამართვის დროს მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19¹ მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, ამასთანავე, თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე ქონებრივი უფლებების განხორციელების შედეგად შემოსული თანხები მთლიანად ირიცხებოდა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. ამავე პერიოდში მოქმედი „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის 23¹ მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი საკუთრების განკარგვა თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. ქ. თბილისის ცენტრალური ორგანო – ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილი იყო შეექმნა საქალაქო სამსახურები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (ქ. თბილისის საკრებულოს 12.10.2006წ. №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის დებულების“ 4.1. მუხ., მე-14 მუხლის „ე“ ქვ.პ.). აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში ქ. თბილისის მთავრობის 30.03.2010წ. №08.32.412 დადგენილებით შეიქმნა სსიპ ქონების მართვის სააგენტო, რომლის ფუნქციებში შედიოდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება (№08.32.412 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების (დებულები)“ 2.2 მუხ. „ბ“ ქვ.პ.). ამდენად, სადავო პერიოდში, ქ. თბილისის თვითმმართველი

ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადამწყვეტილებას იღებდა და ქონების საწყის ფასს განსაზღვრავდა ქ. თბილისის მთავრობა, თუმცა აუქციონს ატარებდა ქ. თბილისის მთავრობის უფლებამოსილი წარმომადგენელი – სსიპ ქონების მართვის სააგენტო, თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის საფუძველზე. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, რომ შექმნილი უძრავი ქონების საფასურის გადახდა ხორციელდებოდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში (ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.2010წ. №9-63 გადამწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ 1.2, 1.4, 3.1, 3.2, 3.6, 8.7, 12.3 მუხ., მე-2 მუხლის „გ“ ქვ.პ.). ამდენად, ქ. თბილისის მთავრობა, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან ერთად, არის უსაფუძვლო შესრულების მიმღები სუბიექტი. ამდენად, დაუსაბუთებელია კასატორ ქ. თბილისის მთავრობის მოსაზრება მისთვის თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების უსაფუძვლობის შესახებ.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ზიანის ანაზღაურების მოცულობის საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპით განსაზღვრასთან დაკავშირებით. გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის დასაბუთებული თუ რატომ არის ნაკვეთის შესაძენად გადახდილ თანხაზე მნიშვნელოვნად მეტი თანხის (25 ათასი ლარის) გადახდის დაკისრება მოპასუხეებზე კანონიერი. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.2010წ. №... აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის თანახმად, ნაკვეთის ღირებულება 13 620 ლარით განისაზღვრა. მოსარჩელე ითხოვს 23 608 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის მოპასუხე ორგანოებისათვის სოლიდარულად დაკისრებას. რ. ბ-ი ითხოვს ნივთის საბაზრო ფასის ანაზღაურებას, რასაც ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას ჩამოერთვა საკუთრება უძრავ ნივთზე, შესაბამისად მიადგა ზიანი უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ოდენობით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გაიზიარეს მოსარჩელის აღნიშნული მოსაზრება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ერთსა და იმავე ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვისას ზიანის ანაზღაურების ოდენობა შესაძლოა სხვადასხვა იყოს საკუთრების დაკარგვის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რ. ბ-ის მიერ აუქციონზე შექმნილი საკუთრება არასდროს ყოფილა მართლზომიერი. შესაბამისად, დაუსაბუთებელია ნივთის ჩამორთმევისათვის კომპენსაციის დაანგარიშება როგორც კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის, ისე ნივთის საბაზრო ღირებულების მიხედვით. იმ გარემოების გათვალისწინე-

ბით, რომ რ. ბ-ს საკუთრების უფლება ფაქტობრივად არ წარმოშობია, მისი მოთხოვნა შესაძლოა დაიყოს ორ ნაწილად: ერთი მხრივ რ. ბ-ი უფლებამოსილია ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს გადახდილი ნასყიდობის ფასის დაბრუნება (სკ-ის 976.1 მუხ.), რადგან ორგანო უსაფუძვლოდ მდიდრდება, ხოლო მეორე მხრივ ნასყიდობის ფასის გარდა, რ. ბ-ს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სკ-ის 992-ე მუხ.) სათანადო წინაპირობების არსებობის დადასტურების შემთხვევაში (იხ. სუს 15.02.18წ. №ბს-818-810(2კ-16) გადაწყვეტილება). საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების გარანტიას, თუმცა აღნიშნული გარანტია ამოქმედებას იწყებს მხოლოდ ზიანის არსებობის დადასტურების შემთხვევაში. პირი, რომელმაც უსაფუძვლოდ მიიღო თანხა, მოვალეა დააბრუნოს იგი, როცა შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ქონება უსაფუძვლოდ ჰქონდა მიღებული. მოთხოვნა შესაძლოა ცდებოდეს უსაფუძვლოდ მიღებული ქონების უკან დაბრუნებას, პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, ამასთანავე, კონდიქციური ვალდებულება როგორც წესი წარმოიშობა თვით დაზარალებული პირის მიერ დაშვებული შეცდომის ან უზუსტობის გამო, ხოლო ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების შემთხვევაში, მისი საფუძველი ყოველთვის ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედებაა. ამასთანავე, თანხის უსაფუძვლოდ მიმღებს ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უკეთუ მოპასუხემ იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი თანხის მიღების უსაფუძვლობა. მოცემულ შემთხვევაში ზიანის მოთხოვნა დასაშვებია, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საჯარო უფლებამოსილებების არამართლზომიერი განხორციელება. ამასთანავე, ზიანის ანაზღაურების ოდენობა ექვივალენტობის პრინციპიდან გამომდინარე ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს ადმინისტრაციულ ორგანოთა ბრალეულ და მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობაზე, თუმცა არაფერს ამბობს მათი ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე, სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ზიანის კონკრეტული ოდენობა, ამ მხრივ არ შეუფასებია საქმეში დაცული მტკიცებულებები, ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არასაკმარისობის შემთხვევაში სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო დამატებით გამოეთხოვა ისინი და სრულად დაედგინა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი გარე-

მოებები. პირის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა არ გამორიცხავს ხარჯების და დანაკლისის ანაზღაურებას, უკეთეს მიმღებმა გასწია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი საშუალოდ შექცნილად მიაჩნდა. ამასთანავე, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის შესახებ მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან (სკ-ის 981-ე მუხ.). სასამართლო წესით აქტების ბათილად ცნობის მიუხედავად, ანუ მას შემდეგ რაც მოისპო თანხის გადაცემის სამართლებრივი საფუძველი, ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია ნასყიდობის ღირებულების მოსარჩელისათვის დაბრუნება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ დავის წარმოშობამდე, 2011 წლის აპრილში მოსარჩელემ განცხადებით მიმართა თბილისის ქონების მართვის სააგენტოს, რომლითაც მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. საქმეში დაცულია 13.05.2011წ. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის 13.05.2011წ. №12/48717-5 წერილი რ. ბ-ის განცხადებაზე, რომლითაც განმცხადებელს ეცნობა, რომ მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა, ვინაიდან აუქციონზე გატანამდე ნაკვეთი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში იყო რეგისტრირებული, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 12.10.2010წ. №... ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, განმცხადებელს ამასთანავე ეცნობა, რომ დათქმულ ვადაში შექცნილი ქონების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდებოდა და რ. ბ-ი დაკარგავდა გადახდილი ბეს თანხას. ხანგრძლივი სასამართლო დავის შედეგად საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.04.2014წ. განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარი, ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს 29.11.2013წ. გადანყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა დ. ს-ის სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების დამადასტურებელი მონშობა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი. თანხის გადაცემის სამართლებრივი საფუძვლის გაუქმების მიუხედავად, არ მომხრადა ნასყიდობის ღირებულების მოსარჩელისათვის დაბრუნება, საქმის მასალებში არ მოიპოვება გადახდილი საპრივატიზებო თანხის დაბრუნების დამადასტურებელი მტკიცებულება. თანხის დაბრუნების მიზნით დავა განხილულ იქნა ყველა სასამართლო ინსტანციაში, მიუხედავად

იმისა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის აქტების ბათილობით იმთავითვე იყო ცნობილი, რომ არ არსებობდა უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაყოვნების სამართლებრივი საფუძველი, ნასყიდობის ფასი კრედიტორს (მოსარჩელეს) დღემდე არ გადასცემია. ბრალეული ვადაგადაცილების პირობებში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, ვინაიდან ნასყიდობის ღირებულების დაბრუნება მოსარჩელისათვის არ ხდება დაყოვნების საფუძვლის არ არსებობის მიუხედავად, გარკვევას საჭიროებს დანაკარგის არსებობა სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობის გამო და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ზიანის ოდენობის დადგენის გარეშე, მოპასუხეთათვის სადავო მიწის ნაკვეთის ღირებულების ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ დადგენილი ოდენობით დაკისრება სცდება როგორც უსაფუძვლო გამდიდრების, ასევე ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმების დანაწესს და შესაძლოა მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების სახით ფაქტობრივად განცდილ დანაკარგზე მეტი სიკეთის მიღების საშუალებად იქცეს.

მოსარჩელე ითხოვს მის მიერ გადახდილი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისათვის დახარჯული 50 ლარის გადახდას. საქმის მასალებით, კერძოდ 29.12.2010წ. საჯარო შემოსავლის ორდერით და №192087 ანგარიშ-ფაქტურით არ დასტურდება ხსენებული თანხის რ. ბ-ის მიერ გადახდა, ხსენებული დოკუმენტაციის მიხედვით რ. ბ-ის კუთვნილი 454 კვ.მ. ნაკვეთის ნითელი ხაზის კუთხეების დაკვალვის ღირებულების გადამხდელია არა რ. ბ-ი, არამედ დ. ო-ძე. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოპასუხეებისათვის აზომვითი ნახაზის შედგენისათვის გადახდილი თანხის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდის დავალება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება სოლიდარული მოპასუხეთათვის ზიანის სახით 11380 ლარის (25000 – 13620 (ნასყიდობის ფასი)) დაკისრების ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ყველა სოლიდარული მოპასუხის: სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილებში სახეზეა სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.10.2017წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.12.2015წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეებს – სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რ. ბ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 11380 (თერთმეტი ათას სამას ოთხმოცი) ლარის გადახდა, აგრეთვე მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის შედგენისათვის გადახდილი თანხის – 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა, ხსენებულ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.10.2017წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.12.2015წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეებს – სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რ. ბ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურება 13 620 (ცამეტი ათას ექვსას ოცი) ლარი, აგრეთვე საკუთრების რეგისტრაციისათვის განეული ხარჯი – 51 (ორმოცდათერთმეტი) ლარი დარჩეს უცვლელად;

3. მხარეთა შორის სასამართლოს ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა

გადაწყვეტილება საქართველოს სასხლით

№ბს-919(2კ-20)

16 სექტემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 19 ნოემბერს ლე. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

2019 წლის 28 თებერვალს ლე. მ-ემ და ც. ბ-მა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათი შვილი – ლუ. მ-ძე მუშაობდა ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-5 განყოფილებაში დეტექტივის თანაშემწე გამომძიებლის თანამდებობაზე.

2008 წლის 3 აპრილს ხელმძღვანელობის მიერ სამსახურებრივი მივლინებით იგი, გამომძიებელი ა. გ-ი და დეტექტივი ლ. მ-ლი დამნაშავის დასაკავებლად გაგზავნილ იქნენ ქალაქ ქუთაისში. მათ დამნაშავის დაკავება ვერ შეძლეს და ამავე წლის 5 აპრილს ლ. მ-ლის მითითებით წამოვიდნენ ქალაქ თბილისში, ლ. მ-ლის „ჭ-ის“ მარკის ავტომანქანით (სახ. ნომრით ...). ავტომანქანას მართავდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ლ. მ-ლი.

მოსარჩელეთა განმარტებით, 19:30 სთ-ზე, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანზე სასტუმრო „უშბის“ წინ ლ. მ-ლმა მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა მათი შვილი – ლუ. მ-ძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, ლ. მ-ლი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. 2018 წლის 18 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე ლ. მ-ლმა აღიარა ჩადენილი დანაშა-

ული, განმარტა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა სწორედ მისი ბრალით მოხდა, რაშიც იგი სრულად დამნაშავედ ცნობდა თავს და საბოლოოდ, მან პატიება ითხოვა.

მოსარჩელეთა მითითებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 29 სექტემბრის დადგენილებაში აღინიშნა, რომ ლუ. მ-ძე დაილუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, იგი იყო თავისი ოჯახის მარჩენალი, მას დარჩა მოხუცი მშობლები, მეუღლე და 2008 წლის 19 მარტს დაბადებული ჩვილი ბავშვი – მ. მ-ძე. ლუ. მ-ძე ვალდებული იყო თავისი ცოლ-შვილისათვის ეყიდა საცხოვრებელი ბინა, ერჩინა ისინი თავის მშობლებთან ერთად, რაც მან ვერ შეძლო, რადგანაც იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის – ლ. მ-ლის ბრალეული ქმედებით დაილუპა.

მოსარჩელები მიუთითებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლზე და აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგამესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი/სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც შედეგი სახელმწიფოს მუშაკის ბრალით არის გამოწვეული.

მოსარჩელეთა განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით დადგენილია, რომ ლუ. მ-ძე დაილუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის – ლ. მ-ლის ბრალეული ქმედების შედეგად. შესაბამისად, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა აანაზღაუროს ზიანი.

ამდენად, მოსარჩელებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ლუ. მ-სა და ც. ბ-ის სასარგებლოდ ოროთახიანი ბინის საყიდლად – საბაზრო ღირებულებით – 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურების, ლ. მ-ის დალუპვის დღიდან – 2008 წლის 6 აპრილიდან სიცოცხლის მანძილზე სარჩოს სახით 200 ლარის ანაზღაურებისა და მორალური ზიანისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ლუ. მ-სა და ც. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2009 წლის 20 ოქტომბრის №7/2/7-4171 წერილის თანახ-

მად, ლუ. მ-ძე 2008 წლის 3 აპრილის №576პ/შ მივლინების ბრძანების საფუძველზე, ოთხი დღით მივლინებული იყო ქალაქ ქუთაისში და მასზე გაიცა სადღეღამისო ნორმა 4 დღეზე – 60 ლარი.

ლუ. მ-ძე გარდაიცვალა 2008 წლის 6 აპრილს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2008 წლის 29 სექტემბრის დასკვნის თანახმად, ლუ. მ-ძეს 2008 წლიდან დაკავებული ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის თანამდებობა. 2008 წლის 7 აპრილიდან, იგი ამორიცხეს შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის სიებიდან გარდაცვალების გამო.

დასკვნის მიხედვით, 2008 წლის 5 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქალაქ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოში, ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანზე სასტუმრო „უშბასთან“ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების – ა.გ-ის ჯანმრთელობის დაზიანებისა და ლუ. მ-ძის გარდაცვალების ფაქტზე, დაინგო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2008 წლის 7 აპრილს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად გადაიგზავნა ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში. საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2008 წლის 5 აპრილს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელი – ლუ. მ-ლი ნასვამ მდგომარეობაში მისი მართვის ქვეშ მყოფი „Bჟ-ის“ მარკის ავტომანქანით (სახ. ნომრით ...), თანამშრომლებთან – ლუ. მ-თან და ა.გ-იანთან ერთად მოძრაობდა ქალაქ მცხეთიდან ქალაქ თბილისის მიმართულებით. დაახლოებით 19:30 საათზე, აღმაშენებლის ხეივანზე, სასტუმრო „უშბას“ მიმდებარე ტერიტორიაზე ლუ. მ-მა შენიშნა ავტომობილის სავალ გზაზე გადმომავალი ბავშვი. ქვეითად მოსიარულესთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად, მან საჭე მკვეთრად მომართა მარჯვნივ, აიცილა ამ უკანასკნელზე შეჯახება, მაგრამ ვეღარ მოახერხა ავტომობილის დამორჩილება, გადავიდა სავალი გზიდან, დაეჯახა ბორდიურს და შემდეგ ელ. განათების ბოძს. მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს ავტომანქანის მგზავრებმა – ა.გ-იანმა და ლუ. მ-ძემ. მიუხედავად დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარებისა, ლუ.

მ-ძე 2008 წლის 6 აპრილს ქალაქ თბილისის №5 საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დასკვნის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული კომპლექსური ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის 2008 წლის 6 მაისის დასკვნის შესაბამისად, „დადგენილ ვითარებაში მძღოლ ლე. მ-ს ტექნიკური თვალსაზრისით ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფა არ აღინიშნება“. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებიდან შემოსული წერილით ირკვევა, რომ ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე 2008 წლის 3 აპრილიდან 6 აპრილის ჩათვლით დეტექტივ-გამომძიებელი – ლე. მ-ლი და მისი თანაშემწეები – ა.გ-იანი და ლუ. მ-ძე სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდნენ ქალაქ ქუთაისში, რათა ეჭვმიტანილ ი.ხ-ის ოჯახის წევრებთან ჩატარებინათ საგამომძიებო მოქმედებები. აღნიშნული წერილით, ასევე, ირკვევა, რომ ლე. მ-ლი, ა.გ-იანი და ლუ. მ-ძე მიმდინარე წლის 5 აპრილს ქალაქ ქუთაისიდან ბრუნდებოდნენ ქალაქ თბილისში.

დასკვნაში ასევე აღინიშნა, რომ ლუ. მ-ძე დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. პოლიციის უფროს ლეიტენანტ ლუ. მ-ძის ოჯახზე უნდა გავრცელებულიყო „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირით, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სასამართლომ, ასევე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 ოქტომბრის №8189პ/შ ბრძანებით შინაგან საქმეთა ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის, პოლიციის უფროსი ლეიტენანტის – ლუ. მ-ძის დაღუპვა ჩაითვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად და მის ოჯახზე გავრცელდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტითა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების 21-ე პუნქტით გათვალისწინე-

ბული მოთხოვნები.

აღნიშნული ბრძანების აღსრულების მიზნით 2008 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებიდან ლუ. მ-ძის მეუღლეზე – ი. ლ-ზე 2008 წლის 4 ნოემბრის №1000 საგადახდო დავალებით გაცა 15 500 ლარი ერთჯერადად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 4 ივნისის №MIA01801316537 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 500 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის №11276პ/შ ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1000 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №839176 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1000 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №1609536 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1000 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 24 დეკემბრის №1754433 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 დეკემბრის №2625852 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 22 სექტემბრის №1870738 ბრძანებით ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცა 1250 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის №2630835 ბრძანებით ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 დეკემბრის №2870442 ბრძანებით ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №1005 ბრძანებით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს გადაეცა ლეპტოპი (ღირებულებით 740 ლარი) და 100-ლარიანი სასაჩუქრე ბარათი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 21 მარტს №705440 ბრძანებით ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცა 1250 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 27 დეკემბრის №3221450 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 1200 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №3135984 ბრძანებით მატერიალური დახმარება მიეცა 700 ლარის ოდენობით ლუ. მ-ძის ოჯახის (ერთ-ერთ) წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ (ერთ-ერთ) პირს.

სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 სექტემბრის №1/41 გადაწყვეტილებით ი. ლ-ძეს უარი ეთქვა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ლუ. მ-ძის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹ მუხლი) დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადასტურებაზე/დადგენაზე.

სასამართლომ, ასევე, დადგინდად მიიჩნია, რომ „პირის ბრალდების შესახებ“ 2016 წლის 5 სექტემბრის დადგენილების თანახმად, ლე. მ-ლი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. დადგენილების მიხედვით, ლე. მ-მა დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის აკრძალვა (სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლურ, სიმთვრალის მდგო-

მარეობაში მართვა) და ამავე კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები (სიჩქარის გადაჭარბება). აღნიშნული მოთხოვნების უგულებელყოფის შედეგად, ლე. მ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა გადავიდა მარჯვნივ, ავარდა ბორდიურზე, შეეჯახა ელექტროგანათების ბოძს, ასევე ე.წ. „გარე განათების კარადას“, ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელის რკინა-ბეტონის კონსტრუქციას, დაუბრკოლებლად გადალახა იგი, ავარდა ჰაერში და საბოლოოდ გაჩერდა ამობრუნებულ მდგომარეობაში. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად აღნიშნული ავტომანქანის მგზავრი – ლუ. მ-ძე მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 5 სექტემბრის ბრალდებულის დაკითხვის ოქმის მიხედვით, ლე. მ-მა თავი დამნაშავედ არ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. ამასთან, 2018 წლის 18 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმიდან ამონაწერის თანახმად, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ლე. მ-ის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

სასამართლომ ასევე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 15 მარტის №650188 წერილის თანახმად, ლუ. მ-ძის ხელფასს 2008 წლის აპრილის თვის შესაბამისად კომპონენტების მიხედვით შეადგენდა: თანამდებობრივი სარგო – 1030 ლარი, ნოდებრივი სარგო – 30 ლარი, წელთა ნამსახურების დანამატი – 159 ლარი, სულ დარიცხვა – 1219 ლარი, აქედან საშემოსავლო გადასახადი – 304.75 ლარი, ხელზე მისაღები კი – 914.25 ლარი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ლ-ძე და ლუ. მ-ძე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში 2008 წლის 16 იანვრიდან. მ. მ-ძე (დაბადებული 2008 წლის 19 მარტს) არის ი. ლ-ძისა და ლუ. მ-ძის შვილი.

სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 2 ოქტომბრის №... წერილის თანახმად, ლუ. მ-ძის რეგისტრაციის ადგილს წარმოადგენდა ქ. თბილისი, ... მასივი, ... მკ/რ., კორპუსი №..., ბინა №....

ამასთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 21 თებერვლის №01/48297 წერილის თანახმად, ლე. მ-ძის საკუთრებაში არსებულ საცხოვრისში (მის: ქალაქი თბილისი, ... მასივი, ... მკ/რ., კორპ. №..., ბინა №..., ს.კ. ...), სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მი-

ხედვით, 2017 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 4 პირი, მათ შორის, ც. ბ-ი, ლე. მ-ძე და მ. მ-ძე.

სასამართლომ დადგინილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ლე. მ-ძე დაიბადა 1947 წლის 25 აპრილს, ც. ბ-ი კი – 1955 წლის 31 იანვარს.

ამასთან, 2019 წლის 19 მარტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის თანახმად, ლე. მ-ძის დიაგნოზად განსაზღვრულია გიდ. მოციმციმე არითმია, პერმანენტული არტ. ჰიპერტენზია ს, გულის უკმარისობა, პროსტატის ადენომა, შაქრიანი დიაბეტი ტ.2 დეკომპენსირებული.

სასამართლომ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურბრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში ან უხემ გაუფრთხილებლობაში. ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა კი, სასამართლოს განმარტებით, წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის იმ არგუმენტზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებამ გამოიწვია მისი შვილის გარდაცვალება, რომელიც მშობლებს უზრუნველყოფდა მატერიალურად, რის გამოც იგი მოპასუხისათვის სარჩოს დაკისრებას ითხოვდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩოს დაკისრების სავალდებულო წინაპირობებს წარმოადგენდა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც მიზეზობრივ კავშირში უნდა ყოფილიყო დამდგარ შედეგთან. სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 1006-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, პირს სარჩოს მოთხოვნის უფლება წარმოეშვას, უნდა დადგინდეს, რომ დაზარალებულის გარდაცვალებით აღნიშნულმა პირმა/პირებმა დაკარგეს მარჩენალი, რაც გულისხმობს, რომ სარჩოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ დაზარალებულს ევალებოდა მათი რჩენა. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ გარდაცვალების მომენტიდან ადრეული პირები უნდა ყოფილიყვნენ გარდაცვლილი პირის კმაყოფაზე.

სასამართლოს შეფასებით, უნდა დადგენილიყო, ჰქონდა თუ არა ადგილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, რომელმაც ლუ. მ-ის გარდაცვალება გამოიწვია. სასამართლომ მიუთითა, რომ ამინისტრის შედეგად ლუ. მ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, რის გამოც სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ის პოზიცია, რომ ლუ. მ-ის ბრალეულობა კანონმდებლობით დადგენილი წესით იყო დადგენილი. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან ზიანის გამომწვევი ბრალეული ქმედება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან არ დადასტურდა კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპასუხის ბრალეული ქმედება დამდგარ შედეგში, არ არსებობდა სარჩოს დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით ასევე დადგენილად არ მიიჩნია ლუ. მ-ის მიერ მის გარდაცვალებამდე მოსარჩელების რჩენის ფაქტი. სასამართლოს მოსაზრებით, ლუ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სასამართლოში წარდგენილი ცნობა იძლეოდა მხოლოდ ინფორმაციას სარჩელის განხილვის დროს მოსარჩელის სამედიცინო დიაგნოზების შესახებ, თუმცა არ იძლეოდა შესაძლებლობას დადგენილიყო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იყო თუ არა იგი შრომისუუნარო ან შეზღუდული შრომისუნარიანი ლუ. მ-ის გარდაცვალების დროს. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ლუ. მ-ის გარდაცვალების დროისათვის ლუ. მ-მ და ც. ბ-ი არ იყვნენ საპენსიო ასაკს მიღწეულნი.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას მატერიალური ზიანის 150 000 ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე, 412-ე და 1005-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოსარჩელებს არ წარუდგენიათ მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ლუ. მ-ის მიერ მათთვის ბინის ყიდვის დაპირების ფაქტს, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ლ. მ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა ბინა. სასა-

მართლმ, ასევე მიუთითა, რომ საქმეში არ იყო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას ოროთახიანი საცხოვრებელი ბინის საბაზრო ღირებულების შესახებ.

მორალური ზიანი ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლებზე, ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინებაზე (საქმეზე №ას-1156-1176-2011) და აღნიშნა, რომ მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ იმ ფაქტს, რომ შვილის გარდაცვალებით მათ მიადგათ ძლიერი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს შეფასებით, მორალური ზიანის გამო ფულადი კომპენსაცია შეიძლება მისცემოდა მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს. ამდენად, სასამართლომ სარჩელი აღნიშნულ ნაწილშიც დაუსაბუთებლად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლე. მ-ძემ და ც. ბ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურება დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილზე (ახალი რედაქციით მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამავე კოდექსის 997-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სადავო საკითხს ეხებოდა სწორედ 997-

ე მუხლი, წინამდებარე დავისათვის კონკრეტული და არა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული 992-ე მუხლი, რომელიც დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი ნორმაა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზმდეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში ან უხემ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა კი წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

მოსარჩელეთა მიერ საცხოვრებელი ბინის შესაძენად საჭირო თანხის – 150 000 ლარის მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნის ნაწილზე მსჯელობის მიზნით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია სახელმწიფოს/სახელმწიფო მოსამსახურის განზრახი ან უხემი გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ზიანის ანაზღაურებისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს მოცემული სამივე კომპონენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლებზე და აღნიშვნა, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის გათვალისწინებულ უნდა იქ-

ნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი კი ისაა, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობდა მის მიუღებლობაში, მაგრამ უნდა შეფასებულიყო, რომ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება, რამდენად მიიღებდა მხარე ამ სარგებელს და რამდენად რეალური იქნებოდა აღნიშნული. ამრიგად, სასამართლომ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ ხსენებული უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ მოსარჩელეებს არ წარუდგენიათ მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ლუ. მ-ის მიერ მათთვის ბინის ყიდვის დაპირების ფაქტს, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ლე. მ-ის საკუთრებაში ირიცხებოდა ბინა (მის: ქალაქი თბილისი, ... მასივი, ... მკ/რ., კორპ. №..., ბინა №..., ს.კ. ...). ამასთან, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება აპელანტების მიერ არც საქმის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს არ წარდგენილა, ასევე, საქმეში არ იყო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას – ოროთახიანი საცხოვრებელი ბინის საბაზრო ღირებულების შესახებ. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები არ იკვეთებოდა, რის გამოც აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და შედეგს.

რაც შეეხება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ლე. მ-ის სასარგებლოდ სარჩოს ანაზღაურების დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ლუ. მ-ის გარდაცვალების დროისათვის ლე. მ-მ არ იყო საპენსიო ასაკს მიღწეული. მის მიერ წარმოდგენილი ცნობა,

რომ იგი იღებდა კომპენსაციას, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, არ ადასტურებდა მის საპენსიო ასაკს და არც მის შრომისუუნარობას. ეს დოკუმენტი განსაზღვრავდა მის მიერ კომპენსაციის მიღებას არა ასაკის, არამედ შრომითი სტაჟის გამო. ამასთან, საქმეში მხარეთა მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ლუ. მ-ძის მიერ მის გარდაცვალებამდე მოსარჩელეთა რჩენის ფაქტი. სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მითითებული მუხლის გამოყენებისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო დაზარალებულის ცალსახად დადასტურებული ვალდებულება – არჩინოს ან სარჩო გადაუხადოს პირს, რაც მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ ლუ. მ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას, სააპელაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული ცნობა იძლეოდა მხოლოდ ინფორმაციას დავის მიმდინარეობის დროს აპელანტის სამედიცინო დიაგნოზების შესახებ, თუმცა არ იძლეოდა შესაძლებლობას დადგენილიყო, იყო თუ არა იგი შრომისუუნარო ან შეზღუდული შრომისუნარიანი – ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ლუ. მ-ძის გარდაცვალების დროს.

ამდენად, სააპელაციო პალატამ აღნიშნულ ნაწილშიც გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შედეგი და დამატებით მიუთითა, რომ თითოეულ საკითხზე/მოთხოვნაზე მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევას, შესწავლასა და შეფასებას. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, რამდენადაც მოსარჩელები მიუთითებდნენ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე, მათ უნდა წარედგინათ შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ უპირველესად უნდა გადაწყვეტილიყო, ჩადენილი იყო თუ არა მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავო იყო, რომ ლუ. მ-ლი ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტისათვის იყო სამინისტროს თანამშრომელი. უდავო იყო ისიც, რომ აღნიშნული შემთხვევის მომენტისათვის იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას – ჯერ კიდევ იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში. უდავო იყო ასევე ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოთავსებუ-

ლი ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემონ-
მების ოქმის თანახმად, ლე. მ-მა იმ დილით დალია 4 ბოთლი ლუდი,
მას ჰქონდა ალკოჰოლის მკვეთრი სუნი და დაუდგინდა ნასვამობა
– 0.8 პრომილე. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის მასალებში
მოთავსებული, ლე. მ-ის მოწმის სახით დაკითხვის ოქმის თანახ-
მად, იგი აცხადებდა, რომ საჭეს მართავდა ნასვამ მდგომარეობა-
ში, თუმცა შემდეგ განმარტავდა, რომ იყო წინა დღის ნასვამი.

სააპელაციო პალატის მითითებით, უდავო იყო ისიც, რომ 2018
წლის 18 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად, ლე. მ-ის მიმართ
სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, 17:25 წუთზე, მან თავი
დამნაშავედ სცნო, აღიარა ჩადენილი ქმედება და მოინანია იგი.
აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისას აღსანიშნავი იყო შემდე-
გიც: ლე. მ-მ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ თუ იგი დათან-
ხმდებოდა ლე. მ-ის მიმართ საქმის შეწყვეტას ამნისტიის საფუძ-
ველზე, მას შესაძლოა დაეკარგა შემდგომში ზიანის ანაზღაურე-
ბის მოთხოვნის უფლება, რაზეც მოსამართლემ განუმარტა, რომ
მისი თანხმობის შემთხვევაში, საქმე შეწყდებოდა არა პირის გა-
მართლების, არამედ ამნისტიის გამოყენების გამო. ამდენად, საა-
პელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის (მოსარჩელის) აღნიშ-
ნული ქმედება წარმოადგენდა სისხლის სამართლის კანონმდებ-
ლობით გათვალისწინებული შეღავათების გატარებაზე თანხმობას
და არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმას. ზემოაღ-
ნიშნული და სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკი-
ცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შე-
ფასებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრა-
ციულ-პროცესუალური თვალსაზრისით, ზიანის ანაზღაურების სა-
კითხზე მსჯელობისათვის საკმარისობის კუთხით, სახეზე იყო სა-
მინისტროს თანამშრომლის – ლე. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსა-
წინააღმდეგო ქმედება. სახეზე იყო შედეგიც – პირის გარდაცვა-
ლება. ამასთან, უდავო იყო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და
შედეგს შორის და ლე. მ-ის ბრალიც, რაც ზიანის ანაზღაურების
საფუძველს წარმოადგენდა. ლე. მ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო
ქმედების ჩადენაზე მეტყველებდა ის ფაქტიც, რომ მასზე გავ-
რცელდა „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი,
რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლო-
ბისა და სასჯელისაგან თავისუფლდებოდა პირი, რომელმაც ჩაი-
დინა გაუფრთხილებლობითი „დანაშაული“... სააპელაციო სასამარ-
თლომ აღნიშნა, რომ მართალია, ადმინისტრაციული სამართალწარ-
მოების ფარგლებში ვერ მოხდებოდა პირის მიერ ჩადენილი ქმდე-
ბის დანაშაულად კვალიფიკაცია, თუმცა სააპელაციო პალატისათ-
ვის ნათელი იყო კანონმდებლის მიზანი, პირისათვის ეპატიებინა

დადასტურებულად მიჩნეული უკანონობა, რაც, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივად ადასტურებდა ლე. მ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულის შემდეგ უნდა განსაზღვრულიყო მოცემული დავისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, უნდა ანაზღაურებოდა თუ არა მშობელს მორალური ზიანი შვილის გარდაცვალების გამო.

სააპელაციო სასამართლომ უპირველესად აღნიშნა, რომ ძირითადად ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევით ზიანის მიყენება, თუმცა რიგ შემთხვევებში, ზიანის მიყენება ხდება მოხელის ქმედებით, მაგრამ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის გარეშე (ევროპულ სამართალში ასეთი შემთხვევები მოიხსენიება, როგორც „Administrative Damages in Tort“). სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ აღნიშნულს ჰქონდა ადგილი განსახილველ შემთხვევაში – ზიანი დადგა, ლე. მ-მ გარდაიცვალა, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ლე. მ-ს არ დაურღვევია სამსახურებრივი მოვალეობები. ეს კი იმ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძველია, სადაც მოხელე მუშაობდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი).

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შვილის გარდაცვალების გამო მშობლის ენით გამოუთქმელი მორალური ტრავმა უდავოდ სახეზეა. ეს უკანასკნელი გაიგივებულია სულიერ განცდასა და ფიზიკურ ტანჯვასთან. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამონვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, ანუ როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, ისე მისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხს. შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთა განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნებისათვის ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის მიყენება. მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზია-

ნის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. როგორცაა ახლობელი ადამიანის (მეუღლის, შვილის, დედის, მამის, ძის, ძმის) გარდაცვალება, მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებაამდე ივარაუდება, რომ აღნიშნულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადად, სამართლის სისტემები მოიცავენ წესებსა და პრინციპებს – მორალურ მტკიცებებს. მოსამართლეებმა უნდა განიხილონ სხვადასხვა შეხედულებები და მიიღონ ის გადაწყვეტილება, რომელიც სამართალს აქცევს, რაც შეიძლება, მორალურად საუკეთესოდ. ობიექტური სამართალი, რომელიც დავას არ იწვევს, არის მხოლოდ კანონმდებლებისა და მოსამართლეების მიერ მიღებული წარსულის ოფიციალური გადაწყვეტილებების კრებული. მორალური შეფასება არის სამართლის განუყოფელი ნაწილი (დვორკინის თეორია).

სააპელაციო პალატის შეფასებით, სწორედ მოცემულ შემთხვევაში იყო სასამართლო ვალდებული, მშობლისათვის შვილის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი პოზიტიური სამართლის გვერდით ბუნებითი სამართლის გათვალისწინებითაც შეეფასებინა, რომლიდან გამომდინარეც, ნებისმიერი ქცევა, რომელიც ლახავს ან არღვევს ადამიანის თანდაყოლილ ბუნებით უფლება-მოვალეობებს, მორალურად გაუმართლებელ „დანაშაულად“ ითვლება. ეს ისეთი უფლება-მოვალეობებია, რომლებიც ადამიანს თავისთავად ეკუთვნის, რომელთა დაცვასაც გვაკისრებს მისი ცოცხალ, გონიერ არსებად ყოფნა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მიდგომა საუკუნეთა წინ ჩაისახა და დამკვიდრდა, იგი დღევანდელი რეალობისთვისაც ცოცხალია. ადამიანის გონი, როგორც მოაზროვნე სუბსტანცია, პოზიტიური სამართლის მიღმა ასევე შეიმცნება იმ ფუნდამენტურ, თანდაყოლილ ვალდებულებებსა თუ უფლებებს, რაც ადამიანად ყოფნას განაპირობებს და ამართლებს. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, ამ პრინციპების საწინააღმდეგო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ შვილის გარდაცვალებით მშობელს მორალური ზიანი არ განუცდია და რომ ამგვარი ზიანის დასადასტურებლად მას მტკიცებულებები უნდა წარმოედგინა; სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მორალური ზიანი მტკიცებულებების გარეშეც სახეზე

იყო.

თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, საქმეში წარმოდგენილი იყო ლე. მ-ძის მიხედვით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, რომლის თანახმადაც, მას აქვს გიდ. მოციმციმე არითმია, პერმანენტული არტერიული ჰიპერტენზია I, გულის უკმარისობა, პროსტატის ადენომა, შაქრიანი დიაბეტი ტ.2. დეკემბრისთვის, რაც, სააპელაციო პალატის შეფასებით, ალბათობის მაღალი ხარისხით გამოწვეული იყო შვილის ტრაგიკულად დაღუპვით განცდილი მორალური ტრავმით, ამ ფაქტთან დაკავშირებული ჩვეული სულიერი ტკივილით, რაც გრძელდება ხანგრძლივად, ქმნის ცოცხალი ნათესავის (ამ შემთხვევაში მშობლის) ჯანმრთელობის, მისი ფსიქონერგული მდგომარეობის დაზიანების წინაპირობას.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო გაუბათილებელი პრეზუმფცია შვილის გარდაცვალების გამო მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე, რაც ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონისმიერ წინაპირობას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარი დაასაბუთა იმითაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს კანონით მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ხოლო შვილის გარდაცვალების გამო მშობლისათვის ამ ზიანის ანაზღაურებას კანონმდებლობა არ იცნობდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის დასაბუთებისას მიუთითა, რომ ჯანმრთელობის დაზიანების გამო მორალური ზიანი აუნაზღაურებოდა თავად დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ სიკვდილის შემდეგ მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელი იყო.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ პირველ რიგში, მოსარჩელებმა მორალური ზიანი მოითხოვეს არა როგორც გარდაცვლილი შვილის უფლებამონაცვლეებმა, არამედ პირადად, როგორც შვილის გარდაცვალებით მორალურად დაზარალებულებმა, რაც ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულ შემთხვევებს წარმოადგენდა. გარდა ამისა, შვილის გარდაცვალების გამო მშობლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადან-

ყვეტილებაზე, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც სახეზეა კონვენციის ძირითადი მუხლების (მე-2 და მე-3 მუხლები) დარღვევა და აღნიშნულისათვის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მორალური კომპენსაციის შესაძლებლობას, ამგვარი გაუთვალისწინებლობა არღვევს ევროპული კონვენციის მე-13 მუხლს – ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლებას.

რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადი წესის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით წყდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, მორალური ზიანი ანაზღაურდება გონივრული და სამართლიანი ოდენობით. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვ.. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მორალური ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს მოწყვეტილი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ გარდაცვლილი ლუ. მ-ძე იყო 24 წლის, მას დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, ასაკში შესული მშობლები, ერთადერთი მცირე ფართის მქონე საცხოვრებელი ქალაქ

თბილისში, გლდანში. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საყუარდლებოდ მიიჩნია ისიც, რომ გამოძიება 2009 წლის 19 მაისს შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ხოლო მოსარჩელე ლე. მ-ძის დაახლოებით 4-წლიანი სამართლებრივი ბრძოლის შედეგად განახლდა 2013 წლის 11 თებერვალს. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2008 წლის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დასრულდა და განაჩენი დადგა 10 წლის შემდეგ – 2018 წელს, რა პერიოდშიც ლე. მ-ძემ გამოძიებაში სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარებისა და საქმის განახლების მოთხოვნით დაწერა რამდენიმე ათეული განცხადება, ამასთან, იგი აქტიურად იბრძოდა სიმართლის დასადგენად, რაც მისთვის და მისი მეუღლისათვის (ც. ბ-თვის) უდავოდ დიდი მორალური სტრესის მატარებელი იყო. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია მორალური ზიანის სახით მოთხოვნილი თანხის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის აპელანტებისათვის სრულად ანაზღაურება.

ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე გავლენას ვერ მოახდენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წინა წლებში, წელიწადში ერთხელ ოჯახისათვის გადაცემული მცირე სიმბოლური თანხები, ძირითადად 1000 ლარის ოდენობით.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით უნდა დაკისრებოდა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოსათვის არ უნდა დაეკისრებინა პასუხისმგებლობა. რამდენადაც ლე. მ-ლი იყო პოლიციელი, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იგი წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. მოხელის ბრალეული ქმედებიდან გამომდინარე კი ზიანის ანაზღაურების საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნა-

წილი. კასატორი აღნიშნავს, რომ ხსენებული მუხლის დისპოზიცია როგორც ზიანის მიმყენებელ, ასევე, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად სპეციალურ სუბიექტს განსაზღვრავს. „სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის“ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევისას პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტი) ან იმ ორგანოს, სადაც ხსენებული მოსამსახურე მუშაობს.

კასატორის მითითებით, საყურადღებოა ისიც, რომ სააპელაციო სასამართლომ ზიანის დადგომა ლე. მ-ის სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის გარეშე დაადგინა. მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის კი აუცილებელია დელიქტური პასუხისმგებლობის დადგენისათვის საჭირო ყველა კომპონენტის არსებობა, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს მოხელის ბრალეული ქმედება, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ მძიმე შედეგთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურება მოხელის ქმედებით, თუმცა სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის გარეშე დაადგინა, კასატორისათვის გაუგებარია დელიქტური პასუხისმგებლობის კომპონენტების მხედველობაში მიღებით, რაჭომ უნდა დაეკისროს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზიანის ანაზღაურება.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ რამდენადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის – ლე. მ-ის პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე დადგა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, მოსარჩელების – ლე. მ-ისა და ც. ბ-ის მიერ ზიანის მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ყოფილიყო, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ეხება. ხსენებული მუხლის თანახმად, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების მფლობელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება დამდგარი შედეგის გამო. ამდენად, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე და 999-ე მუხლებს შორის მოსარჩელების არჩევანის თავისუფლებაზე და მიიჩნევს, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი ეფუძნებოდა სატრანსპორტო დანაშაულს, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა მხოლოდ სპეციალური ნორმა – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ყოფილიყო.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მოცემულ საქმეში ზიანის ანაზღაურების საფუძველების არსებობა

დადგინდება, სადავო საკითხს წარმოადგენს ასევე მორალური ზიანის ის ოდენობა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა. კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ოდენობა სცდება გონივრულ ფარგლებს და მანამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკას, გადაწყვეტილება არღვევს სამართლიანობის ბალანსს.

კასატორი მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი – ლე. მ-ლი პასუხისგებაში გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მიეცა. ამასთან, იგი არ ასრულებდა მასზე ფუნქციურად დაკისრებულ ვალდებულებას, მას არ დაურღვევია მისი სამსახურებრივი მოვალეობა. მართალია, ფაქტი დადგა მისი მივლინების პერიოდში, თუმცა არა უშუალოდ სამსახურებრივად მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, არამედ მივლინებიდან უკან დაბრუნებისას, ავტომატურად. მის მიზანს არ წარმოადგენდა ლუ. მ-თვის ზიანის მიყენება.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ საქმეში არ იკვეთება არც თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახი ქმედება. ლე. მ-ის მიმართ გამოძიებას აწარმოებდა პროკურატურა. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ სამოტივაციო ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ლე. მ-ის მორალურ განცდებს აღრმავებდა მის მიერ სამართლიანობის წლების განმავლობაში ძიება, ვერ იქნებოდა მიმართული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, ვინაიდან ამ კუთხით მოპასუხე ვერანაირ სამართლებრივ ღონისძიებას ვერ განახორციელებდა.

ამასთან, კასატორი ყურადღებას ამახვილებს 2019 წელს ლე. მ-ის სახელზე გაცემულ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაზე. სამინისტრო განმარტავს, რომ პირის გარდაცვალების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება მისი ოჯახის წევრისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ უშუალოდ მასაც მიაღებოდა ზიანი. თუმცა არც ერთ მანამდე არსებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში სასამართლო არ დაყრდნობია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მსგავს ცნობას. ვე. მ-ის მიმართ 2019 წელს გაცემული ცნობის ანაწინააღმდეგობა საუბარია ჯანმრთელობის ისეთ მდგომარეობაზე, რომელიც თავისუფლად შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული ლე. მ-ის ასაკის გამო. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ 2019 წლის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და 2008 წლის ფაქტს შორის კავშირის დადგენა ხსენებული მტკიცებულებით შეუძლებელია.

კასატორი გასათვალისწინებლად მიიჩნევს იმასაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ლუ. მ-ის ოჯახზე საკომპენ-

საციოდ გაღებულ იქნა ხარჯებიც. კერძოდ, პოლიციის უფროს ლე-იტენანტ ლუ. მ-ძის გარდაცვალება შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით ჩაითვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალებად და მისი ოჯახის წევრებზე (მემკვიდრეებზე) გავრცელდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ პერიოდში მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტითა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღნიშნულის საფუძველზე კი, სოციალური დახმარების სახით ოჯახზე გაიცა თანხა – 15 500 ლარი. ამასთან, 2008 წლის 23 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, ოჯახზე გაიცა მატერიალური დახმარება 1 000 ლარის ოდენობით, 2010 წლიდან დღემდე კი ლუ. მ-ძის ოჯახი (მეუღლე, შვილი) ყოველწლიურად იღებს ფულად დახმარებას. ჯამში დამატებით გაიცა 10 300 ლარი და 740 ლარის ღირებულების ლეპტოპი. მითითებული თანხები ოჯახს სწორედ ლუ. მ-ძის გარდაცვალების გამო გამოწვეული მორალური ტრავმის ფონზე მიეცა.

კასატორი შეჯამების სახით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ფაქტი მოჰყვა არა რომელიმე სამოხელეო, არამედ გაუფრთხილებლობით ჩადენილ სატრანსპორტო დანაშაულს. ოდენობის განსაზღვრის კუთხით კი კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამინისტროს მხრიდან ოჯახზე მორალური ტრავმის საკომპენსაციოდ პერიოდულად გაღებულ იქნა ფულადი სახსრები, რომელმაც ჯამში 25 000 ლარს გადააჭარბა. ამდენად, განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკის ფონზე, კასატორი გადაჭარბებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ლუ. მ-ძის მშობლების სასარგებლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მორალური ზიანის 50 000 ლარის ოდენობით დაკისრებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლუ. მ-ძემ და ც. ბ-მა, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორთა განმარტებით, ლუ. მ-ძის გარდაცვალების მომენტში, ლუ. მ-ძე იყო პენსიონერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიცე პოლკოვნიკი. მას აღენიშნება სხვადასხვა დაავადებები, რის გამოც მას ესაჭიროება მკურნალობა. ამასთან, იგი აღრიცხვაზე იმ-

ყოფება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დანესებულებების პოლიკლინიკაში. კასატორთა მითითებით, დანიშნული საპენსიო თანხები არ არის საკმარისი წამლების შესაძენად. ლუ. მ-ძე კი ლე. მ-ძეს თავისი სურვილით უზრუნველყოფდა წამლების შესაძენად საჭირო თანხით. მას ჰქონდა ხელფასი 1219 ლარი, საიდანაც ხელზე იღებდა 914.25 ლარს. იმ შემთხვევაში კი, თუკი ლუ. მ-ძე წამლებისათვის საჭირო თანხას ლე. მ-ძეს ნებაყოფლობით არ მისცემდა, ეს უკანასკნელი მიმართავდა სასამართლოს, რათა წამლებისათვის განკუთვნილი თანხები ლუ. მ-ძეს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებოდა.

ამასთან, კასატორები მიუთითებენ, რომ ოჯახს აქვს ერთთახიანი ბინა, მდებარე ქალაქ თბილისში, ... მასივში, მე-... მ/რ-ნში, მე-... კორპუსი, ბინა №... მითითებულ მისამართზე ჩანერილები არიან ლე. მ-ძე, ც. ბ-ლი, ასევე, მათი მეორე შვილი – გ. მ-ძე საკუთარ ცოლ-შვილთან ერთად და ლუ. მ-ძის შვილი – მ. მ-ძე. კასატორის განმარტებით, ოჯახის წევრები შეთანხმებულნი იყვნენ, რომ ლუ. მ-ძეს, როგორც საჯარო მოსამსახურეს, ბანკიდან უნდა გამოეტანა სესხი. სესხის სახით აღებულ თანხას ოჯახის დანარჩენი წევრები დაამატებდნენ დაახლოებით 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარს, რის საფუძველზეც ლუ. მ-ძე მათ უყიდდა ოროთახიან საცხოვრებელ ბინას. ნაყიდ ბინაში გადავიდოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრები, ხოლო თვითონ კი საკუთარ მეუღლესთან და შვილთან ერთად ზემოხსენებულ ერთთახიან ბინაში დარჩებოდა. კასატორები მიიჩნევენ, რომ გარდაცვალების გამო ლუ. მ-ძემ ყოველივე აღნიშნული ვერ შეძლო.

კასატორები ასევე განმარტავენ, რომ ლუ. მ-ძის მეუღლე – ი. ლ-ძე სამუშაოდ მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. მას ნახალისების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოუყო მშენებარე ბინა შესყიდვის მიზნით. ბინის ღირებულების 40% – 33 273.2 ლარი გადაიხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ღირებულების დანარჩენი 60% – 49 909.8 ლარი კი უნდა გადაეხადა ი. ლ-ძეს. ამ მიზეზით მოსარჩელები იძულებულნი გახდნენ ქ. თბილისში, ... მასივში, მე-... მ/რ-ნში, კორპ. №...-ში მდებარე №... საცხოვრებელი ბინა გაეყიდათ გამოსყიდვის უფლებით – 19 800 აშშ დოლარად, ეროვნულ ვალუტაში ექვივალენტით 58 554.54 ლარი. ამჟამად, ოჯახი დარჩა უბინაოდ, რამდენადაც მათ ბინის გამოსყიდვის თანხა არ გააჩნიათ. ამდენად, კასატორები წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში ამცირებენ მოპასუხისათვის 150 000 ლარის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას და მოითხოვენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მათი ბინის გამოსყიდვისათვის საჭირო

19 800 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ექვივალენტის – 58 554.54 ლარის ანაზღაურების დაკისრებას.

რაც შეეხება სარჩოს სახით თანხის დაკისრების მოთხოვნას, კასატორები მიუთითებენ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც არის უკანონო, რამდენადაც, ლე. მ-ძის გარდაცვალების დროს ლე. მ-ძე იყო 60 წლის და 11 თვის. ამასთან, იგი 2004 წლის 13 მაისიდან წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პენსიონერს. კასატორი ხაზს უსვამს, რომ აღნიშნულ ორგანოში მან 35 წელი იმუშავა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაიწმინა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა უპირველესად იმსჯელებს ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. კერძოდ, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოთხოვნილი იყო მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოთათვის მატერიალური ზიანის სახით 150 000

ლარის ანაზღაურება და სარჩოს სახით 100 (ასი) ლარის ანაზღაურება 2008 წლის 6 აპრილიდან სიცოცხლის მანძილზე. თუმცა კასატორებმა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში შეამცირეს მოპასუხისათვის 150 000 ლარის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მათი ბინის გამოსყიდვისათვის საჭირო 19 800 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ექვივალენტის – 58 554.54 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილზე (მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი), რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიყენება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად კი, პირი ვალდებულია აა-

ნაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ განსახილველი შემთხვევისათვის რელევანტურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი. ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოსარჩელებს უფლება ჰქონდათ ზიანის ანაზღაურება მოეთხოვათ არა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის გამოყენებით, არამედ ლე. მ-თვის ამავე კოდექსის 999-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მე-3 მუხლში რეგლამენტირებული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე აღჭურვილია დავის საგნისა და შესაბამისი მოთხოვნის ადრესატის განსაზღვრის არჩევანის თავისუფლებით. ამდენად, მარტოოდენ ის ფაქტი, რომ მოსარჩელებს ჰქონდათ უფლება, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვათ უშუალოდ ზიანის მიმყენებელი ფიზიკური პირის – ლე. მ-ის მიმართ, ვერ გამოორიცხავს წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობას.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), დამდგარი ზიანი, მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და შედეგს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ, მიზანმიმართულ უმოქმედობაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ პირი შეგნებულად უნდა უშეგბდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, ქმედების უკანონობა დადასტურებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში იქნება დამდგარ ზიანთან. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა კი წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განცალკევებით იმსჯელოს მოსარჩელეთა თითოეული მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. კერძოდ, მოსარჩელების – ლ. მ-ძისა და ც. ბ-ის ერთერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაკისრებოდა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 150 000 ლარის ოდენობით. საკასაციო პალატა განმეორებით ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ კასატორებმა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში შეამცირეს მოპასუხისათვის 150 000 ლარის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მათი ბინის გამოსყიდვისათვის საჭირო 19 800 აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაში ექვივალენტის – 58 554.54 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია სახელმწიფო/სახელმწიფო მოსამსახურის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ზიანის ანაზღაურებისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს მოცემული სამივე კომპონენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის ანაზ-

დაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი კი ისაა, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობს მის მიუღებლობაში, მაგრამ არსებითაა განისაზღვროს, რომ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება, რამდენად მიიღებდა მხარე ამ სარგებელს და რამდენად რეალური იქნებოდა აღნიშნული. ამრიგად, მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა ლუ. მ-ძის მიერ მათთვის ბინის ყიდვის დაპირების ფაქტი. ამასთან, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება კასატორების მიერ არც საქმის ქვედა ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვის დროს არ წარმოდგენილა. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ ლუ. მ-ძის გარდაცვალების ფაქტი არ არის პირდაპირ კავშირში მოსარჩელეთა სახელშეკრულებო ურთიერთობებით წარმოშობილ ვალდებულებებთან. შესაბამისად, კასატორთა მოთხოვნა მათი ბინის გამოსყიდვისათვის საჭირო თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები არ იკვეთება. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობებს და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს.

რაც შეეხება კასატორთა მოთხოვნას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ლუ. მ-ძის სასარგებლოდ სარჩოს ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ ლუ. მ-ძის გარდაცვალების დროისათვის ლუ. მ-ძე არ იყო საპენსიო ასაკს

მიღწეული. მის მიერ წარმოდგენილი ცნობა, რომ იგი იღებს კომპენსაციას, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, არ ადასტურებს მის საპენსიო ასაკს და არც მის შრომისუუნარობას. ეს დოკუმენტი ადასტურებს მის მიერ არა ასაკის გამო, არამედ შრომითი სტაჟის გამო კომპენსაციის მიღებას. ამასთან, საქმეში მხარეთა მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ლუ. მ-ძის მიერ მის გარდაცვალებამდე კასატორთა რჩენის ფაქტი. საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მითითებული მუხლის გამოყენებისათვის სახეზე უნდა იყოს დაზარალებულის ცალსახად დადასტურებული ვალდებულება – არჩინოს ან სარჩო გადაუხადოს პირს, რისი დამტკიცებაც მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეებმა ვერ უზრუნველყვეს. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ ლე. მ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ აღნიშნული ცნობა იძლევა მხოლოდ ინფორმაციას დავის მიმდინარეობის დროს კასატორის სამედიცინო დიაგნოზების შესახებ, თუმცა არ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს, იყო თუ არა იგი შრომისუუნარო ან შეზღუდული შრომისუნარიანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ლუ. მ-ძის გარდაცვალების დროს. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას და სამართლებრივ დასკვნებს აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ არ არსებობს სარჩელის მითითებულ ნაწილში დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი ვერ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილების უსაფუძვლობას მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, რის გამოც წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრისა და მორალური ზიანის სახით 50 000 ლარის ანაზღაურების დავალების თაობაზე ლე. მ-ძის და ც. ბ-ის მიერ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი საკითხის გადანყვეტისათვის არსებითია განისაზღვროს მშობლის მიერ შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი წინაპირობები, კერძოდ, დადგინდეს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია თუ არა მშობლისათვის ამგვარი ზიანის ანაზღაურება და ამგვარი შესაძლებლობის დადასტუ-

რების პირობებში, განისაზღვროს, თუ რა წინაპირობები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ასეთი მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცებისათვის.

საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, უდავოა, რომ ლე. მ-ი ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტისათვის იყო სამინისტროს თანამშრომელი. ხსენებული შემთხვევის მომენტისათვის იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას – ჯერ კიდევ იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში. სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოთავსებული ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმის თანახმად კი, ლე. მ-მა იმ დღით დალია 4 ბოთლი ლუდი, აქვს ალკოჰოლის მკვეთრი სუნი და დაუდგინდა ნასვამობა – 0.8 პრომილე. ასევე, სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოთავსებული, ლე. მ-ის მოწმის სახით დაკითხვის ოქმის თანახმად, იგი აცხადებს, რომ საჭეს მართავდა ნასვამ მდგომარეობაში, თუმცა შემდეგ განმარტავს, რომ იყო წინა დღის ნასვამი.

საგულისხმოა ისიც, რომ 2018 წლის 18 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად, ლე. მ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, 17:25 წუთზე, მან თავი დამნაშავედ სცნო, აღიარა ჩადენილი ქმედება და მოინანია იგი. აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისას აღსანიშნავია შემდეგიც: ლე. მ-ქმ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ თუკი იგი დათანხმდებოდა ლე. მ-ის მიმართ საქმის შეწყვეტას ამნისტიის საფუძველზე, მას შესაძლოა დაეკარგა შემდგომში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაზეც მოსამართლემ განუმარტა, რომ მისი თანხმობის შემთხვევაში საქმე შეწყდებოდა არა პირის გამართლების, არამედ ამნისტიის გამოყენების გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

როგორც ზემოაღნიშნული, ასევე სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ სახეზეა სამინისტროს თანამშრომლის – ლე. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სახეზეა შედეგიც – პირის გარდაცვალება, უდავოა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის და ასევე ლე. მ-ის ბრალიც, რაც ზიანის ანაზღაურების საფუძველია. ლე. მ-ის მიერ მარ-

თლსანინაალმდეგო ქმედების ჩადენაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მასზე გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირი, რომელმც ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი „დანაშაული“... მართალია, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში ვერ მოხდება პირის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, თუმცა საკასაციო სასამართლოსათვის ნათელია კანონმდებლის მიზანი, პირს აპატიოს დადასტურებულად მიჩნეული უკანონობა, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ადასტურებს ლე. მ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი კომპონენტების დადასტურების შემდგომ, აუცილებელია შეფასდეს უშუალოდ მორალური ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი სამართლებრივი რეგულირება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. მონუმბოილი მუხლის დისპოზიცია ცხადყოფს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, კანონმდებლობა პირდაპირ იცნობდეს კონკრეტული სახის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა საკმაოდ არათანმიმდევრულად ყალიბდებოდა წლების განმავლობაში, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილებით საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili-Bolkvadze v Georgia), no. 58240/08) მიდგომა საკითხისადმი რადიკალურად შეიცვალა. კერძოდ, მონუმბოილ გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ქართული კანონმდებლობა, რომელიც ყველა შემთხვევაში „უპირობო უარს“ აცხადებდა შვილის გარდაცვალების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „უზენაესი სასამართლოს მიერ იმის დადასტურების ფონზე, რომ მომჩივანმა „უდავოდ“ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მომჩივანს

გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა, სასამართლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალება“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili-Bolkvadze v Georgia), no. 58240/08); §97).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პრინციპში შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც სამართლიანი დაცვის ერთ-ერთი ფორმა (§96). სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი კომპენსაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მოქმედმა საკანონმდებლო შეზღუდვამ მოსარჩელეს ჩამოართვა მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ევროპულ სასამართლოს არ დაუდგინებია დავის განმხილველი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასათანადოდ გამოკვლევა, ფაქტობრივი გარემოებების არასრულად დადგენა და სხვ., სახელმწიფოს მიერ კონვენციის ნორმების დარღვევა სათანადო საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოს არარსებობის გამო დადგინდა (§§95-97).“

საკასაციო სასამართლო ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულ მიდგომებზე. კერძოდ, ევროპული სასამართლო ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კონტექსტში ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავს საჯარო მოხელის და კერძო პირის ქმედებით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევებს. ორივე შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა არის განსხვავებული, უფრო კონკრეტულად, ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ავალდებულებს, კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლებიდან გამომდინარე, ეროვნულ კანონმდებლობაში იქონიოს შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის მარეგულირებელი ნორმები (იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე აკოცი თურქეთის წინააღმდეგ (Akkoc v. Turkey), nos. 22947/93, 22948/93, 2000, კენანი გაერთიანებული

სამეფოს წინააღმდეგ (*Keenan v. United Kingdom*), no. 27229/95, 2001, ზეტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Z and others v. United Kingdom*), no. 29392/95, 2001, რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Reynolds v. The United Kingdom*), no. 2694/08, 2012), მაშინ, როდესაც კერძო პირის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში, სახელმწიფოებს არ აკისრიათ ვალდებულება, კანონმდებლობით კომპენსაციის სახედ გათვალისწინებული ჰქონდეთ მორალური ზიანი, იმ შემთხვევაში, თუკი ხელმყოფი პირი არ არის სახელმწიფოს წარმომადგენელი და აღნიშნულ შემთხვევასთან მიმართებით, არ იკვეთება სახელმწიფოს არც პირდაპირი და არც ირიბი პასუხისმგებლობა (იხ. მაგალითად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე ზავოლოკა ლატვიის წინააღმდეგ (*Zavoloka v. Latvia*), no. 58447/00, 2009, ბრინკატი და სხვები მალტის წინააღმდეგ (*Brincat and others v. Malta*), nos. 60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11, 62338/11, 2014).

საკასაციო პალატა უპირველესად აღნიშნავს, რომ მოსარჩელები არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ არა როგორც გარდაცვლილი შვილის უფლებამონაცვლეები, არამედ პირადად, როგორც შვილის გარდაცვალებით უშუალოდ დაზარალებული პირები. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ კანონმდებლობაში სათანადო რეგულირების არარსებობის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 19.07.2018წ. გადაწყვეტილებაში საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (*Sarishvili-Bolkvadze v. Georgia*) (no. 58240/08) მიუთითა გარდაცვლილის დედისათვის განცდილი მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის კომპენსირების აუცილებლობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლზე (სიცოცხლის უფლება), რომლის თანახმად, ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რამდენადაც კონვენცია ინკორპორირებულია სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კონვენციით, ისევე, როგორც შიდა სამართლის სხვა ნორმებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველ-

თაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი სასამართლო პრაქტიკა შეესატყვისება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახულ მოთხოვნებს მშობლისათვის შვილის გარდაცვალების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო სათანადო სამართლებრივი საშუალებების არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სათანადო საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის მიუხედავად, ჩამოყალიბებულმა ერთგვაროვანმა სასამართლო პრაქტიკამ გვერდი აუარა საკანონმდებლო ვაკუუმს და შესაბამისი პირობების არსებობისას, დასაშვებად აქცია შვილის გარდაცვალების შედეგად მშობლისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შვილის გარდაცვალებით განცდილი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში ძირითად კრიტიკის საგნად არის ქცეული ამგვარი ზიანის ანაზღაურების უპირობო გამორიცხვა. ევროპული სასამართლო ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ აუცილებელია ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში გაითვალისწინონ აღნიშნული სახის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო სამართლებრივი საშუალებები, თუმცა სტრასბურგის სასამართლო თავად სახელმწიფოებს უტოვებს მიხედულების თავისუფალ ფარგლებს ამგვარი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დეტალური საკითხების განსაზღვრაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო მოხელის ბრალეული ქმედების შედეგად პირის გარდაცვალებით გამოწვეული უდიდესი ტრაგედია გარდაცვლილი პირის მშობლებში უდავოდ იწვევს განსაკუთრებით მტკივნეული სულიერი განცდების წარმოქმნას. საგამონაკლისო შემთხვევების გარდა (მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბიოლოგიურ მშობლებს არანაირი ურთიერთობა არ აქვთ გარდაცვლილ პირთან), შვილის გარდაცვალებას მოჰყვება მშობლების სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის №ას-660-660-2018 გადაწყვეტილებაზე (§64), სადაც საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული

ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. შესაბამისად, მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ სანინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.“ ანალოგიური განმარტებებია მოცემული 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-979-940-2014 განჩინებაში.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება არა მხოლოდ ზოგადად შვილის გარდაცვალების ფაქტს, არამედ იმ გარემოებებს, თუ რის შედეგად და რა ვითარებაში გარდაიცვალა დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი – ლუ. მ-ძე. საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ განსახილველი საქმისათვის დამახასიათებელია ფაქტობრივ გარემოებათა სპეციფიკურობა, რამდენადაც ლუ. მ-ძის გარდაცვალება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული საჯარო მოხელის ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია, კერძოდ, სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში დადგენილ იქნა და სადავო არ არის ის გარემოება, რომ ლუ. მ-ძე გარდაცვალების მომენტისათვის ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, კერძოდ, ჯერ კიდევ იმყოფებოდა მივლინებაში და ქალაქ ქუთაისიდან ქალაქ თბილისში ბრუნდებოდა ავტომობილით, რომელსაც ნასვამ მდგომარეობაში მართავდა დეტექტივი ლე. მ-ლი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მივლინებაში მყოფი ლუ. მ-ძის უსაფრთხო გადაადგილება დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებას განეკუთვნებოდა. სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრებული უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნის ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვა შედეგად ლუ. მ-ძის მოულოდნელი გარდაცვალება. შესაბამისად, დაზარალებულ პირთა მძიმე სულიერი ტკივილების წარმოშობა განაპირობა ლუ. მ-ძის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ.

ამასთან, საკასაციო პალატა საგულისხმოდ მიიჩნევს მიუთითოს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის №ბს-78-78(კ-12) გადაწყვეტილებაზე, რომლითაც წარდგენილი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რამდენიმე ფიზიკურ პირს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით. მოხმობილ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად მიუთითებდა არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე შვილის უკანონოდ დაკავებას, მის ნამებით სიკვდილს, წლების განმავლობაში ეფექტური მართლმსაჯულების განუხორციელებლობას შვილის დაღუპვით განცდილი უდიდესი სულიერი ტანჯვის ფონზე, ასევე, მოპასუხეთა მიერ აღნიშნული საქმის მიმართ ცინიკური დამოკიდებულებით მისთვის უშუალო ზიანის მიყენებას.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის №ბს-1107-1096(კ-11) გადაწყვეტილებაში ასევე აღინიშნა, რომ „მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე სამხედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითა და საქმიანობის შედეგად უშუალოდ მათთვის მიყენებულ ზიანს. მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ შვილის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადება მათთვის პიროვნულად დამორგუნველი იყო, შეიცვალა მათ მიმართ თანამშრომლებისა და მეზობლების დამოკიდებულება, ნ. ხ-ი, გარდაცვლილის მამა, ერიდებოდა საზოგადოებაში გამოჩენას, რის გამოც მოუხდა სამსახურისათვის თავის დანებება. საომარი მოქმედებების დროს, გარდაცვლილი შვილის ცხედრის მოსაძებნად და გადმოსასვენებლად, ე. მ-ს ორჯერ მოუხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასვლა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, შვილის ცხედრის მოძებნის მიზნით, სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მითითებულ ადგილას გათხარეს საფლავი, სადაც ნახეს თავმოჭრილი გვამი, რომელიც არ აღმოჩნდა მისი შვილი, ანუ მოსარჩელებს სახელმწიფო მოხელეთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად უშუალოდ მიადგათ მორალური ზიანი.“ საქმეზე არსებულმა ფაქტობრივმა მდგომარეობამ საბოლოოდ განაპირობა წარდგენილი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ფიზიკური პირებისათვის მორალური ზიანის – 4000 ლარის გადახდის დაკისრება.

განსახილველ საქმესთან მიმართებით, საკასაციო პალატა ასე-

ვე დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელებს მრავალი წლის მანძილზე (დაახლოებით 10 წლის განმავლობაში) მოუწიათ უდიდესი ძალისხმევა და სამართლებრივი ბრძოლა იმისათვის, რომ მათი შვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ჯერ განახლებულიყო, ხოლო შემდგომ კი დასრულებულიყო გამოძიება და დამდგარიყო საბოლოო განაჩენი. 2008 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში მოსარჩელები აქტიურად ცდილობდნენ სისხლის სამართლის საქმეზე სხვადასხვა საპროცესო მოქმედების ინიცირებასა თუ მათი განხორციელების დაჩქარებას, რაც, ცხადია, მათთვის დამატებით სტრესულ გარემოს ქმნიდა და კიდევ უფრო ამძაფრებდა იმ ფსიქიკურ ტრავმას, რომელიც მათ შვილის გარდაცვალებით გამოწვეული თავდაპირველი შოკით მიადგათ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილი ლე. მ-ძის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაზე, რომლის თანახმადაც, მას აქვს გიდ. მოციმციმე არითმია, პერმანენტული არტერიული ჰიპერტენზია I, გულის უკმარისობა, პროსტატის ადენომა, შაქრიანი დიაბეტი ტ.2. დეკომპენსირებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მორალური ტრავმის შედეგები წლების შემდგომ იჩენს თავს. ამას განაპირობებს მორალური ტრავმის განგრძობადი ხასიათი, კერძოდ, ტრავმით გამოწვეული სულიერი ტანჯვა არ არის იმნუთიერი ან დროის კონკრეტულ მონაკვეთში განცდილი. იგი გრძელდება ხანგრძლივად, ტრავმის წარმოშობიდან მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, თავად სულიერი ტანჯვის მიმართ ადამიანის ჯანმრთელობის მდგრადობა არის ინდივიდუალური, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა ერთი და იმავე ინტენსივობის მორალურმა ტრავმამ სხვადასხვა ადამიანში ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები გამოიწვიოს. ამდენად, წარმოუდგენელია არსებობდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანების უნივერსალური საზომი, რომლის ფარგლებშიც ყველა პირის მიმართ იქნებოდა შესაძლებელი მორალური ზიანის არსებობა-არარსებობის საკითხის განსაზღვრა. აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხელმძღვანელობს განსახილველი საქმისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მახასიათებლებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი ლე. მ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გარეშეც, ცალსახად სახეზეა მოსარჩელეთათვის შვილის გარდაცვალების შედეგად მიყენებული პრეზუმირებული მორალური ზიანის არსე-

ბობა, რომლის გაბათილებაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საქირო მტკიცებულებების წარმოდგენით თუ რელევანტური მსჯელობით ვერ შეძლო. თავის მხრივ, წარმოდგენილ ცნობაში გადმოცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანებები თავისი ბუნებით სავსებით დასაშვებია გამონვეული იყოს სწორედ ლე. მ-თვის შვილის გარდაცვალებით გამონვეული ხანგრძლივი სულიერი ტანჯვითა და განგრძობადი ძლიერი ემოციური სტრესით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება მოსარჩელეთათვის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მორალური ზიანის მიყენება.

რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, ზოგადი წესის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედვლებით წყდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, მორალური ზიანი ანაზღაურდება გონივრული და სამართლიანი ოდენობით. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვ.. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მორალური ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამონვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამონვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამონვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი და კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს მონყვეტილი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, არსებითაა გათვალისწინებული იქნეს ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ლ. მ-ძე მართალია, გარდაცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, თუმცა არა უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების, უფრო კონკრეტულად კი, პოლიციელის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელების შედეგად. ამასთან, მოსარჩელეთათვის ასანაზღაურებელი მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლე. მ-ძის ოჯახზე სახსრების გაცემის ფაქტს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ 2008 წლიდან 2017 წლის ჩათვლით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლე. მ-ძის ოჯახზე გაცემულმა თანხამ ჯამში 25 000 ლარს გადააჭარბა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, მითითებული სახსრების გაცემას გააჩნდა მაკომპენსირებელი ბუნება და შესაბამისი კანონისმიერი საფუძველი, თუმცა თანხების გაცემის ფაქტი, ცხადია, მეტყველებს უშუალოდ მოსარჩელეთა და ზოგადად, ლე. მ-ძის ოჯახის მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გულისხმიერ დამოკიდებულებაზე. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოსარჩელეთა ოჯახზე თანხების გაცემის ფაქტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ სხვა ფაქტობრივ გარემოებებზეც, კერძოდ, გარდაცვლილი ლე. მ-ძე იყო 24 წლის, მას დარჩა მეუღლე და შვილი, ასაკში შესული მშობლები, ერთადერთი მცირე ფართის საცხოვრებელი, ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მის მშობლებს მოუწიათ მრავალი წლის განმავლობაში აქტიური ბრძოლა ლე. მ-ძის გარდაცვალების ფაქტზე სამართლის ძიებისათვის. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა გონივრულად, ადეკვატურად და სამართლიანად მიიჩნევს მორალური ზიანის სახით მოსარჩელეთა სასარგებლოდ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის დაკისრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნა-

ნილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელებს – ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მორალური ზიანის სახით 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ლე. მ-ძისა და ც. ბ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელებს – ლ. მ-ძისა და ც. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის სახით 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ანაზღაურება;
6. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge